ინეზა გაგნიძე

# მართლმადიდებლობა
# და
# ეკონომიკა

III შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2025

მართლმადიდებლურ სწავლებასა და ეკონომიკის თეორიას შორის კავშირის მოძებნა, ერთი შეხედვით, შეიძლება რთული და ანტაგონისტურიც მოგვეჩვენოს. ეს იმის გამოა, რომ ინდივიდებისთვის ეკონომიკური და ბიზნესაქტივობა ხშირად მხოლოდ მოგებას, გადასახადების დამალვასა და შემოსავლის კორუფციული გზებით მიღებასთან ასოცირდება, მართლმადიდებლური სწავლება კი, ადამიანებს კეთილსინდისიერებას უქადაგებს. ავტორი ცდილობს მოძებნოს ამ ორ სფეროს შორის თანაკვეთის არეალები.

წარმოდგენილი ნაშრომი ამ თემაზე წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის ლოგიკური გაგრძელებაა და არის 2013 წელს ამავე სახელწოდებით მომზადებული ბროშურის შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი. იგი ეხება რელიგიისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხების ხედვას მართლმადიდებლური მოძღვრების რაკურსით.

ნაშრომი გათვალისწინებულია მართლმადიდებლური მოძღვრების და ეკონომიკისა და ბიზნესის ურთიერთკავშირის საკითხებით დაინტერესებული ინდივიდებისა და მკითხველის ფართო წრისთვის.

**რედაქტორები:** **ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ გოგოხია**
**ეკონომიკის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი, ნინო პაპაჩაშვილი**

**კონსულტანტი:** **არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)**

**რეცენზენტები:** **ეკონომიკის დოქტორი, გიორგი შიხაშვილი**
**ეკონომიკის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი**

**ISBN 978-9941-525-14-8**
©ი. გაგნიძე, 2025

გამომცემლობა „უნივერსალი", 2025

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

**INEZA GAGNIDZE**

# ORTHODOXY AND ECONOMY

**III filled and revised edition**

Publishing House **“UNIVERSAL”**

Tbilisi 2025

Finding the links between Orthodox teaching and economics may, at first glance, seem difficult - even antagonistic. This is because economic and business activity is often associated with profit-seeking, tax evasion, and corrupt means of income generation, whereas Orthodox teaching advocates for personal conscientiousness. The author seeks to identify areas of overlap between these two fields.

The present work is a logical continuation of research conducted over several years, and offers a revised and expanded version of a brochure previously published under the same title. It examines the relationship between religion and science, the basic principles of economics, inter-company relations, and the challenges of national competitiveness, all viewed through the lens of Orthodox doctrine.

This work is intended for readers interested in the connection between Orthodox doctrine and issues of economics and business, as well as a broader audience.

Edited by

**Revaz Gogokhia**, Doctor of Economic Sciences, Professor

**Nino Papachashvili**, Doctor of Economics, SABAUNI Professor

**Consultanting Archimandrite Lazarus (Gagnidze)**

Reviewed by

**Giorgi Shikhashvili**, Doctor of Economics

**Irina Gogorishvili**, Doctor of Economics, TSU Associate Professor

**ISBN 978-9941-22-137-8**

© I. Gagnidze, 2025

Publishing House “UNIVERSAL”, 2025

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

*ვუძღვნი ჩემი მშობლების*
*ნუნუ და შალვა გაგნიძეების*
*ნათელ ხსოვნას...*
*ვინც სიცოცხლე მაჩუქა და*
*ცხოვრება მასწავლა*

***In loving memory of my parents,***
***Nunu and Shalva Gagnidze...***
***the ones who gave us***
***life and taught us how to live***

# შინაარსი

**შესავალი ..... 9**
**თავი 1. ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური სწავლებით ..... 15**
1.1 ინდივიდთა გადაწყვეტილების მიღების პრინციპები ეკონომიკაში მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით ..... 15
1.2 ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური სწავლების პრიზმით ..... 34
1.3 ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება..... 40
**თავი 2. ეკონომიკის თეორიის და მართლმადიდებლური სწავლების თანაკვეთის ზოგიერთი მიმართულება..... 47**
2.1 განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის შესახებ ..... 47
2.2 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამართლიანობა კეთილდღეობის ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება ..... 54
2.3 გენდერული თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური სწავლების რაკურსით..... 59
2.4 ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სწავლების შუქზე ..... 70
2.5 მართლმადიდებლური სარწმუნოება – საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი ..... 80
**თავი 3. ბიზნესის მართვის ზოგიერთი საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით..... 91**
3.1 შიდასაფირმო შრომითი ურთიერთობები და მართლმადიდებლური სწავლება..... 91
3.2 სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა ..... 105
**დასკვნა..... 114**
**გამოყენებული ლიტერატურა ..... 119**
**Annotation ..... 131**
**რედაქტორის მინაწერი (პროფესორი რევაზ გოგოხია) ..... 135**

## CONTENT

**Introduction** ..... **9**
**Chapter 1. Principles of Economics in Orthodox Teaching**
**1.1** Principles of Individual Decision-Making in Economics from the Aspect of Orthodox Teaching ..... 15
1.2 Principles of Economics about Human Interaction though the prism of Orthodox Teaching ..... 34
1.3 Principles Describing the Functioning of the Economy as a Whole System and Orthodox Teaching ..... 40
**Chapter 2. Several Directions of Intersection of Economic Theory and Orthodox Teaching** ..... **47**
**2.1** On the relationship between education and faith ..... 47
2.2 Horizontal and Vertical Justice in the Welfare Economics and Orthodox Teaching ..... 54
2.3 The Issue of Gender Equality from the Aspect of Orthodox Teaching ..... 59
2.4 Sustainable economic development in the Light Orthodox Teaching ..... 70
2.5 Orthodox Faith – One of the Factors for Increasing the Competitiveness of the Economy of Georgia..... 80
**Chapter 3. Some Issues of Business Administration from the Aspect of Orthodox Teaching**
**3.**1 Intra-firm Labor Ethics and Orthodox Teaching..... 91
3.2 The Gospel Parable of the Talents - The Problem of Delegated Ownership..... 105
**Conclusions** ..... **114**
**References** ..... **119**
**Annotation** ..... **131**
**From the Editor Professor Revaz Gogokhia** ..... **135**

# შესავალი

*„რამეთუ მეუფე არს ყოვლისა ქუეყანისაი*
*ღმერთი, უგალობდით მას მეცნიერებით"*
*ფსალმ. 46*

*„გაუაზრებელ სარწმუნოებას ღვთის*
*მონობამდე მიჰყავს ადამიანი,*
*ხოლო გააზრებულ რწმენას კი*
*ღმერთთან მეგობრობამდე"*
*კლიმენტი ალექსანდრიელი*

*„მეცნიერება და სარწმუნოება კი*
*არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს,*
*არამედ ისინი ავსებენ ერთმანეთს.*
*ეს ჰარმონიული განვითარება*
*უნდა იყოს ყოველ ადამიანში"*
*სრულიად საქართველოს*
*კათოლიკოს-პატრიარქი ილია II*

საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000-წლიანი ისტორიის მეორე ნახევარზე მეტი მთლიანად განისაზღვრა მართლმადიდებლური ცხოვრების წესითა და მისთვის უკიდურეს აღმოსავლეთში მყარი პლაცდარმის ფუნქციის აღსრულებით, რა როლიც ჩვეულებრივ საველე ბრძოლაშიც კი ურთულესი შესასრულებელია და ამიტომ დიდი ქარტეხილებითაც აღინიშნა. თუ ამ პრობლემას ენისა და კულტურული ტრადიციების თვითმყოფადობის შენარჩუნება-დაცვისა და თაობებისათვის გადაცემის პრიზმაში განვიხილავთ, სურათი გაცილებით მუქ ფერებში წარმოგვიდგება. აღნიშნულის გამო, მართლმადიდებლური სარწმუნოება შეისისხლხორცა ქართველმა ერმა არა მარტო თავისი ცხოვრების სტილში, არამედ აზროვნებაშიც და ასახა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე პოეზიისა და მწერლობის, ასევე უნიკალური ხალხური ფოლკლორის ნიმუ-

შებში. ისტორიულად, ქართველის ცნობიერებაში ბრძოლა სიცოცხლისთვის, სამშობლოსთვის და სარწმუნოებისთვის ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო, ხოლო სახარებისეული სიბრძნე – სამოქმედო წესების მარეგულირებელი.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში მრავალი რეფორმა გატარდა, რაც საზოგადოებამ არაერთგვაროვნად შეაფასა. ხშირად ურთიერთობებში ისეთი ნორმების დანერგვის მცდელობა იყო, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ურთიერთობის წესებს. აღნიშნულის გამო, მიგვაჩნია, რომ განათლების სფეროში გასატარებელი რეფორმები კარგად უნდა მომზადდეს და მიესადაგოს ეროვნულ ცნობიერებას.

გელათის აკადემიის დაარსებისას წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი ოცნებობდა, რომ აკადემია ყოფილიყო - „მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა“. რელიგიასა და საღ აზრს შორის ეს ორმხრივი კეთილგონივრული დამოკიდებულება დღესაც დევიზია ქართული ეკლესიისათვის. „ორიათასწლოვანი ისტორია ჩვენი ქვეყნისა ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი კულტურა, არქიტექტურა, მწერლობა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე იყო დაფუძნებული. ქრისტიანობა იყო ის მთავარი ძალა, რომელზეც შენდებოდა ჩვენი სულიერი შენობა. ამასთან ერთად, მინდა ვთქვა, რომ საქართველოში ქრისტიანობა და ქრისტიანული რწმენა მუდამ იყო დაკავშირებული ცოდნასა და მეცნიერებასთან. ჩვენი ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ყოველი მონასტერი, ყოველი სულიერი სავანე არა მარტო სულიერი მოღვაწეობის ადგილი, არამედ დიდი მეცნიერული ცენტრიც იყო“[1].

ზოგადად, ადამიანთა განწყობა მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობისადმი სამგვარია: ერთნი მეცნიერების სახელით რელიგიას უარყოფენ, მეორენი – რელიგიის გამო უნდობლობით ეკიდებიან მეცნიერებას, ხოლო მესამენი - ადამიანის სულის ამ ორ მოთხოვნილებას შორის ცდილობენ ჰარმონია იპოვონ.

[1]https://www.scribd.com/document/723507916/1

აღსანიშნავია, რომ უცხოეთში რელიგიისა და ეკონომიკის ერთობლივი კვლევები აქტიურად მიმდინარეობს და სამეცნიერო კონფერენციები ტარდება ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის (აშშ) კოლუმბიის ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯი (მსოფლიო რელიგიების შემსწავლელი დეპარტამენტი[2]), კემბრიჯის უნივერსიტეტი (გაერთიანებული სამეფო), კოპენჰაგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები) და სხვა. შექმნილია და აქტიურად ფუნქციონირებს ქრისტიან ეკონომისტთა ასოციაცია[3], არის რელიგიის, ეკონომიკისა და კულტურის კვლევის ინსტიტუტი და მასთან დაფუძნებული ასოციაცია[4], რომელიც აქტიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს.

უცხოელ მკვლევრებს შორის უდავოდ აღსანიშნავია გერი ნორთი (Gary North) აშშ-დან, რომელიც ამტკიცებდა რომ ეკონომიკა არის მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული. მან ნაშრომზე „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“, 37 წელი იმუშავა, რომელიც საბოლოოდ 8825 გვერდი გამოვიდა. გ. ნორთის პირველი დასტამბული ნაშრომი იყო „მარქსის რევოლუციის რელიგია“ (1968), მარქსის მოსაზრებების კრიტიკული ანალიზი, მის ეკონომიკურ თეორიასთან ერთად. გ. ნორთი ადრევე მიხვდა, რომ „ადამიანთა გონებისთვის ბრძოლა XX საუკუნეში, უპირველეს ყოვლისა იყო ბრძოლა კომუნიზმსა და ქრისტიანობას შორის, და რომ ეს ომი შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს“ (North, 2012, xvii). ის წერდა: „ესაა ომი, რომელიც აღარ გრძელდება - კომუნიზმი დამარცხდა ყველაზე სანახაობრივი კოლაფსით, რაც კი მომხდარა ინტელექტუალურ და ინსტიტუციურ ისტორიაში“ (North, 2012, xvii). ეს გ. ნორთმა ნახა წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც, ერთი მხრივ, მეორადი წიგნების მაღაზიაში მარქსის ნაშრომები 1$-ად იყიდებოდა (ვინაიდან დაინტერესებული მკითხველი უკვე აღარ იყო), და მეორე მხრივ,

[2] https://religion.columbian.gwu.edu/
[3] https://christianeconomists.org/faith-economics/articles/
[4] https://www.asrec.org

ერთი გასროლის გარეშე, 1991 წლის დეკემბერში დაიშალა მსოფ-ლიოში ყველაზე დიდი იმპერია.

საბჭოთა სისტემაში დაბადებული მეცნიერები, იძულებულ-ნი იყვნენ შეეწყვიტათ ბიბლიის კვლევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კონფერენციის - „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ წლების მანძილზე ცხრაჯერ ჩატარებით (ივანე ჯავახიშვილის სა-ხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტში, წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახე-ლობის გორის გიმნაზიაში, ბოლნისსა და მესტიაში) და შემდგომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ დამოუკიდებელი სექციუ-რი მუშაობით, საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა ქრის-ტიანული სწავლების, ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხების ერ-თობლივი განხილვა. სწორედ ამ ღონისძიებებზე წაკითხული მოხ-სენებებიდან გვსურს რამდენიმე მოსაზრების გაზიარება, კერძოდ: „აუცილებელია განვითარებადი და მათ შორის გარდამავალი ეკ-ონომიკის მქონე ქვეყნებმა, ახალი სოციალურ-ეკონომიკური სის-ტემის ფორმირების პროცესში, უპირველესი ყურადღება მიაქცი-ონ მათთან ჩამოყალიბებული ტრადიციული მეურნეობრიობის გა-ნახლებული მოდელისა და უცხოური სამეურნეო გამოცდილების ორგანული შეხამების ურთულესი პრობლემის გონივრულად გა-დაწყვეტას, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორები ერთიმეორეს ავსებს და ახალი სიმბი-ოზის სახით წარმოჩინდება“ (გოგოხია, 2016, 49). სამწუხაროდ, „ჩვენ ამჟამად საქმე გვაქვს ფინანსების ჰიპერტროფირებასა და მოხმარების ფეტიშირებაში გამოხატულ კაპიტალისტური საბაზ-რო ეკონომიკის ირაციონალურ მოდელთან. მისი შეცვლა ჰუმა-ნურ ფასეულობებსა და ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ნორ-მებზე ორიენტირებული პრინციპულად ახალი მოდელით, დამან-გრეველი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პრევენციის უმ-ნიშვნელოვანეს პირობად მიგვაჩნია“ (მექვაბიშვილი, 2016, 92). „მართლმადიდებლურ-ეკონომიკური პარადიგმების გამოკვეთა,

თეოლოგიურ-აქსიოლოგიურ-ეკონომიკური ჭრილით, მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად“ (პაპაჩაშვილი, 2016, 130). „ქართველისთვის მთავარ, „დასაფიც ცხოვრების ძალად და გზის მაჩვენებელად“ რწმენა და ქრისტიანობა უნდა დარჩეს. „სხვათა გავლენის“ და შეცვლილი სოციალურ-კულტურული ცხოვრების გამო არ უნდა დავუშვათ ჩვეულებითი სამართალით რეგულირებული რწმენის შემნარჩუნებელი წეს-ადათების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების მივიწყება“ (შავიანიძე, 2016, 155).

„საუკუნეების განმავლობაში, ღვთის და სარწმუნოების წინააღმდეგ წარმოებულმა მეთოდურმა ბრძოლამ თავისი შედეგი ნაწილობრივ მაინც გამოიღო. თანამედროვე კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს ღვთის რწმენა უკვე დაკარგული აქვს და ფსევდოკულტურის, ფსევდოხელოვნების თუ ფსევდოფილოსოფიური აზროვნების უბადრუკი ნიმუშებით, მასში ბუნებითი შჯულის - სინდისის აღმოფხვრასაც ლამობენ. სამწუხაროდ, ამ პროცესების შესუსტება ჯერჯერობით არ შეინიშნება, მაგრამ უნუგეშოდ სრულიადაც არ ვართ, და თუ ჭეშმარიტი რწმენით, სიყვარულითა და სასოებით შევიმოსებით და მივენდობით უფალს, არაერთ პრობლემას დავძლევთ, რადგან ვუწყით - „უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28, 11) (დეკანოზი ბიძინა (გუნია), 2016, 11).

მართლმადიდებლური სწავლებისა და ეკონომიკის თეორიის ერთმანეთთან დაკავშირების ჩემი პირველი მცდელობა შედგა 1996 წელს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე. ამჯერად, მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი ნაშრომი - „მართლმადიდებლობა და ეკონომიკა“, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საპირისპირო ხედვის დაკავშირებისა და მათი თანაკვეთის არეალების მოძებნის კიდევ ერთი მცდელობაა.

წარმოდგენილი ნაშრომი, ამავე სახელწოდების 2013 წლის მეორე გამოცემის გადამუშავებული და შევსებული ვარიანტია და ეყრდნობა ზემოაღნიშნულ და ამავე თემაზე უცხოეთში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ ჩემს მოხსენებებს.

ნაშრომში მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკისა და ბიზნესის სასწავლო სახელმძღვანელოებში განხილული საკითხები გადმოცემულია ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის), წმიდა მამათა გამონათქვამების, ქართველი და უცხოელი ავტორების, ქართული და უცხოური ანდაზების და სხვა ლიტერატურული წყაროების გამოყენებით. თხრობაში ჩართულია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ეპისტოლეები. კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულია ანალიზი, სინთეზი, შედარება, ანალოგია, კორელაცია და სხვა. ნაშრომში გამოყენებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, ლოზანის საერთაშორისო მენეჯმენტის ინსტიტუტის და სხვა აღიარებული საერთაშორისო და კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები, საქსტატის მონაცემები, ინტერნეტ-მასალები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ადგილი სახარებიდან და წმიდა წერილიდან მეორდება, რაც იმის გამოა, რომ სახარების მოწოდებები უნივერსალურია და ისინი ცხოვრების მრავალი შემთხვევისგან გამოსავლის მოსაძებნადაა განკუთვნილი. შევნიშნავთ, რომ საეკლესიო ტექსტებში განსხვავებულია მართლწერის სტილი, ამიტომ ციტირება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში არსებული წყაროებიდან მოვახდინეთ.

ნაშრომი გათვალისწინებულია მართლმადიდებლური მოძღვრების და ეკონომიკისა და ბიზნესის ურთიერთკავშირის საკითხებით დაინტერესებული ინდივიდებისა და მკითხველის ფართო წრისთვის.

# თავი 1. ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური სწავლებით

## 1.1 ინდივიდთა გადაწყვეტილების მიღების პრინციპები ეკონომიკაში მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით*

მიმდინარე პერიოდში ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემები იმ ცვლილებების შედეგია, რაც გამოიწვია მბრძანებლური ეკონომიკის ადგილზე (რომელიც ემყარებოდა სახელმწიფო საკუთრებას), საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობების (რაც, თავის მხრივ, განისაზღვრება კერძომესაკუთრული ინტერესებით) დამკვიდრების პროცესმა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სახელმწიფო საკუთრების პირობებში ურთიერთობებს განსაზღვრავდა ზემოდან დაშვებული ბრძანებისადმი უსიტყვო მორჩილება და პიროვნების ინდივიდუალურობის მაქსიმალური უგულებელყოფა (არადა სახალხო საკუთრება იყო გაცხადებული). აღნიშნულის საპირისპიროდ, კერძო საკუთრების პირობებში მართვაში იყენებენ ადამიანებთან ინდივიდუალურ მიდგომას, მათი ინტერესების გათვალისწინება-დამთხვევას ფირმის ინტერესებთან და ორგანიზაციისადმი, როგორც ერთი დიდი ოჯახის წევრებისადმი დამოკიდებულებას.

საბჭოთა საქართველოში საუფლო სწავლების გარეშე აღზრდილი თაობებისთვის მართლმადიდებლური სწავლება გაიგივდა მხოლოდ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა შესასწავლ ასპარეზთან. ეს განწყობა ახალგაზრდებში მემკვიდრეობით გადმოვიდა. ამის გამო, მართლმადიდებლური სწავლება და ეკონომიკის თეორია დღესაც ერთმანეთისგან თითქმის აბსოლუტურად გამიჯნულ სფეროებად აღიქმება. ნაშრომის ამ ნაწილში შედარებულია სახარებისეული სიბრძნე და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ გრეგორი მენქიუს ნაშრომში „ეკონომიკის პრინციპები“ ჩამოყალიბებული ეკ-

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 21-41.

ონომიკის 10 პრინციპი. აღნიშნული სახელმძღვანელო მსოფლიოშია ცნობილი, თარგმნილია ოც ენაზე და გაყიდულია მილიონზე მეტი ტირაჟით. იგი ეკონომიკის საფუძვლების შესწავლის ახალი სტანდარტია და ერთ-ერთი აუცილებელი სასწავლო ლიტერატურაა ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. ქართულ ენაზე ის ორჯერ გამოიცა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში ავტორი წერს: **„ეკონომიკა არის იმის შესწავლა, როგორ მართავს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს“** (მენქიუ, 2008, 4). „სიტყვა **„ეკონომიკა“** ბერძნულია და ნიშნავს: **საოჯახო მეურნეობის გაძღოლას**. ერთი შეხედვით, ასეთი ახსნა შეიძლება ცოტა უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში, საოჯახო მეურნეობის გაძღოლასა და ეკონომიკას ბევრი რამ აქვთ საერთო. ოჯახი მრავალი გადაწყვეტილების წინაშე დგას. გადასაწყვეტია, ოჯახის რომელი წევრი რას აკეთებს და რას იღებს სანაცვლოდ. საოჯახო მეურნეობამ თავისი შეზღუდული რესურსების განაწილებისას უნდა გაითვალისწინოს თითოეული წევრის უნარი, ძალისხმევა და სურვილი.

ოჯახის მსგავსად, საზოგადოებაც მრავალი არჩევანის წინაშე დგას. მან უნდა გადაწყვიტოს რა სამუშაოები განხორციელდეს და ვინ რა სამუშაო შეასრულოს. საზოგადოების რესურსების მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რესურსები შეზღუდულია. **შეზღუდულობა** ნიშნავს, რომ საზოგადოებას იმაზე ნაკლების შეთავაზება შეუძლია, ვიდრე ხალხს სურს. როგორც საოჯახო მეურნეობა ვერ მისცემს თავის თითოეულ წევრს ყველაფერს, რასაც ეს უკანასკნელი მოისურვებს, ასევე საზოგადოებაც ვერ უზრუნველყოფს თითოეულ ინდივიდს ცხოვრების იმ უმაღლესი დონით, რომლის მიღწევაც ამ ინდივიდებს სურთ“ (მენქიუ, 2008, 3-4).

ვფიქრობთ, აღნიშნულის გამოა, რომ გ. მენქიუ ეკონომიკას ასე განსაზღვრავს: **„ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანების არჩევანს და ამ არჩევანის გაკეთებისას წარმოქმნილ ურთიერთობებს“** (მენქიუ, 2008, 461). ცნობილი მეცნიერის მიერ მოცემული განმარტებები კიდევ ერთხელ ხაზს

უსვამს ინდივიდთა მიერ სწორი არჩევანისა თუ გადაწყვეტილების მიღების უდიდეს მნიშვნელობას. **„სწორი არჩევანი“** ძალზე პირობითი ცნებაა იმის გამო, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში არსებული კონკურენცია გამარჯვებისკენ მისასვლელი გზების დიდ მრავალფეროვნებას სთავაზობს ადამიანებს და სწორედ მათი შერჩევაა პრობლემა ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოებისთვის.

ზოგადად, დებულებები სამყაროს შესახებ ორი სახეობისაა: პოზიტიური და ნორმატიული. „პოზიტიური დებულება სამყაროს გვიხატავს ისეთს, როგორიც ის არის. ნორმატიული დებულებები სარეკომენდაციო ხასიათისაა. ისინი ეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს სამყარო. ნორმატიული დასკვნებისთვის საჭიროა როგორც პოზიტიური ანალიზი, ისე ფასეულობათა აწონ-დაწონა“ (მენქიუ, 2008, 29).

ნობელის პრემიის ლაურეატის, მსოფლიოში აღიარებული ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის აზრით **„შეუთანხმებლობა აღმოცენდება ორ ფართო არეალზე. ეკონომისტები ვერ თანხმდებიან პოლიტიკის შედეგებზე (პოზიტიური ანალიზი) და ღირებულებების გარშემო (ნორმატიული ანალიზი)“** (stiglitz, 2000, 19).

„რატომ იძლევიან ასე ხშირად ეკონომისტები ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევებს? ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს:

- ეკონომისტებს შესაძლო სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ სამყაროს მოწყობასთან დაკავშირებული ალტერნატიული პოზიტიური დებულებების სამართლიანობის შესახებ.
- ეკონომისტებს, შესაძლოა, **სხვადასხვა ფასეულობები და, ამიტომ, სხვადასხვა ნორმატიული შეხედულებები** ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რის მიღწევას უნდა ცდილობდეს ეს პოლიტიკა“ (მენქიუ, 2008, 32).

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო რესურსების განაწილებაში. არსებობს განსხვავება იმ სახელმწიფო ჩარევასა, რომლის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს შემოსავლის გა-

ნაწილებაზე და იმ ჩარევას შორის, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი დოვლათის აუცილებელი წარმოება გარკვეული მოცულობით და ის გარემოება, რომ გარეგანი ეფექტები აისახოს საბაზრო ფასებში. ორ უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს ისე, რომ პრინციპში მაინც უმჯობესდება საზოგადოების ყოველი წევრის მდგომარეობა (იქმნება პოლიცია, თავდაცვა, ეროვნული პარკები და სხვა. ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია პროდუქტების შემადგენლობის შესახებ, შეიქმნას ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობები), ხოლო, როდესაც სახელმწიფო ერევა შემოსავლების განაწილებაში, ის აუმჯობესებს ზოგიერთის მდგომარეობას (საფასო ზედნადებები ან სუბსიდირება ზოგიერთი სახეობის პროდუქტების წარმოებისთვის ხელშეწყობის მიზნით, შემწეობა უმუშევართათვის და ა.შ.) სხვებისთვის მისი გაუარესების ხარჯზე.

სახელმწიფო ორგანოები ერევიან არამარტო შემოსავლების განაწილებაში, არამედ ზრუნავენ ისეთი აუცილებელი პროდუქტების და მომსახურების წარმოებასა და მოხმარებაზე, რაც ღირსეულ ცხოვრებას განაპირობებს, მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, თავდაცვა, უსაფრთხოება და სხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზრო ეკონომიკა თავისი პრინციპების პრაქტიკაში რეალურად გატარებით, გვევლინება როგორც სულიერებისათვის პრივატის მიმნიჭებელი, სხვა ორ უკიდურესობასთან შედარებით (იგულისხმება მბრძანებლური და თავისუფალი ბაზრის ეკონომიკები).

საქართველოში შექმნილი ვითარება შორსაა განვითარებულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობისაგან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ის ფაქტი, რომ მათ ამის მიღწევას მრავალი ათეული წელი მოანდომეს, ხოლო ჩვენ ძალზე შემჭიდროებულ ვადებში გვიწევს ძველის ნაწილობრივ უარყოფა და იმავდროულად ახლის მშენებლობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით აზროვნების გარდაქმნის პროცესი ძალზე ხანგრძლივია და მას შეიძლება თაობები დასჭირდეს, არადა დროის გაჭიანურება მხოლოდ ზიანს თუ მოგვიტანს.

**ისმის კითხვა, როგორი არჩევანი უნდა გააკეთოს ადამიანმა ისეთი, რომელიც მხოლოდ ინდივიდის ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუ თვით საქმისა და სხვათა ინტერსებსაც უნდა ითვალისწინებდეს? რომელ მათგანს მოაქვს სასურველი შედეგები? ვისთვის და რატომ?** გ. მენქიუ მიუთითებს: „იმის გადაწყვეტა, თუ რომელი პოლიტიკაა კარგი და რომელი - ცუდი, მხოლოდ მეცნიერების საქმე არაა. აქ მონაწილეობენ აგრეთვე თქვენი შეხედულებები ზნეობაზე, რელიგიასა თუ პოლიტიკურ ფილოსოფიაზე“ (მენქიუ, 2000, 38). აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, საინტერესოა პარალელებში განვიხილოთ ეკონომიკის თეორიასა და მართლმადიდებლურ სწავლებაში გადმოცემული ადამიანთა გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი პრინციპები.

„ეკონომიკის პრინციპები“-ს ავტორი გამოყოფს ეკონომიკაში მოქმედ **ათ ძირითად პრინციპს** და წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა მრავალწახნაგოვანია, მას რამდენიმე ცენტრალური იდეა აერთიანებს“ (მენქიუ, 2008, 4). „თვით ყველაზე რთული ეკონომიკური ანალიზიც კი ამ ათ პრინციპზეა აგებული“ (მენქიუ, 2008, 14). **მათ შორის პირველი ოთხი მათგანი ეხება იმას, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს, სამი მათაგნი ახასიათებს ადამიანების ურთიერთქმედებას, ხოლო დანარჩენი სამი კი, იმას, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორც მთლიანი სისტემა.** აღნიშნული პრინციპებიდან ნაშრომის ამ ნაწილში პირველ ოთხზე შევაჩერებთ ყურადღებას.

**პრინციპი 1. ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან**

გ. მენქიუ ეკონომიკის პირველი პრინციპის ახსნისას წერს, „გადაწყვეტილების მიღების არსი შეგვიძლია შემდეგი გამონათქვამით გამოვხატოთ: „უფასო სადილები არ არსებობს“. იმის მისაღებად, რაც მოგვწონს, როგორც წესი, უნდა დავთმოთ სხვა რამ, რაც აგრეთვე მოგვწონს. გადაწყვეტილების მიღება ერთი მიზნის მეორესთან დაპირისპირებას მოითხოვს“ (მენქიუ, 2008, 4).

უფლისმიერი სიბრძნე აქტიურად მოგვიწოდებს ამავეს და ლუკას სახარებაში გვირჩევს ნებისმიერი არჩევანის გაკეთებისას გვახსოვდეს, რომ „არავის მონასა ხელ-ეწიფების ორთა უფალთა

მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი იგი შეიყუაროს, და ანუ ერთისა თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ხელ-ეწიფებს ღმრთისა მონებად და მამონაისა“ (ლუკა, 16; 13).

გ. მენქიუ წერს: „იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები ალ-ტერნატივების წინაშე დგანან, თავისთავად ვერ გაგვცემს პასუხს, თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ადამიანებმა ან რო-მელს მიიღებენ. მიუხედავად ამისა, ცხოვრების ალტერნატივების გაცნობიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ადამიანები მხოლოდ მაშინ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს, როდესაც ზუს-ტად იციან, რის არჩევა შეუძლიათ და რისა – არა“ (მენქიუ, 2008, 5).

უფალმა ადამიანებს ალტერნატივები, ანუ ქცევის განმსაზ-ღვრელი ფუნდამენტური წესები **ათი მცნების (დეკალოგის)** სახით მისცა, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის მიმდევართათვის ერ-თნაირია, კერძოდ:

1. „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე;
2. არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდ-ენი არს ცათა შინა და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდ-ენი რაი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანასა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა ჰმსახურებდე მათ;
3. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა;
4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ყავ იგი;
5. პატივ-ეც მამასა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა;
6. არა კაც-ჰკლა;
7. არა იმრუშო;
8. არა იპარო;
9. არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა;
10. არა გული გითქუმიდეს ცოლისა მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მი-სისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა

მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა“ (მართლმადიდებლური კატეხიზმო, 2001, 106).

ამგვარად, უფლისათვის სათნო ქცევის ძირითადი მიმართულებები მოცემულია ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში, ხოლო მისი აკრძალვების შერბილება, ადამიანთა ბუნების სისუსტის გამო, უფალმა ახალ აღთქმაში მოგვცა. ფარისეველთა შეკითხვაზე, თუ რომელი მცნებაა უპირატესი იგი პასუხობს მათ:

- „ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.
- ესე არს დიდი და პირველი მცნებაი.
- და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.
- ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე, 22; 37-40).

პავლე მოციქული წერს: „ყოველი შჯული ერთითა სიტყუითა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (გალ. 5; 14). წმიდა წერილის ეს ადგილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოყვასის სიყვარულის მოწოდებას მართლმადიდებლურ სწავლებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ანალოგიურია წმიდა იოანე მოციქულის მოწოდება: „და ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“ (I იოანე 4; 16), ხოლო წმიდა მოციქული პავლე გვმოძღვრავს: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროის ამათსა სიყვარული არს“ (I კორ. 13; 13). აღნიშნულის დასაბუთების მიზნით, გვსურს გავიხსენოთ კაცთმოყვარეობის დიდი შედეგების რეალური ცხოვრებისეული მაგალითი, იაპონელი გამომგონებელი დოქტორი იოშირო ნაკამაცუ. იგი 3218 გამოგონებისა და 2300 პატენტის მფლობელია, ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აღიარებულია მსოფლიოს ხუთ უდიდეს მეცნიერთა შორის. მისი ერთსაათიანი ლექციის ღირებულებაა 10000 აშშ დოლარი. იგი ამბობს, რომ „ადამიანები

ქმნიან ფულისა და დიდებისათვის, ის კი ადამიანების გამო ქმნის“ და მას მტკიცედ სჯერა, რომ დიდებული ქმნილებების სათავეს მხოლოდ სიყვარული წარმოადგენს (ბურჯალიანი, 2004).

უფალი ადამიანისგან მსხვერპლს არ მოითხოვს, არამედ იმ-ას, რასაც ინდივიდი თავისი თავისუფალი ნებით, უფლის სიყვარუ-ლით აღასრულებს.

- „ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაი არს: წყალობაი მნე-ბავს და არა მსხუერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალ-თა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე, 9; 12-13. 12; 1-13. მარკოზი, 2; 17. ლუკა, 5; 32).

გადაწყვეტილების დროს მუდმივი ყოყმანიც არა არის უფლის-თვის სათნო, ამიტომ გვირჩევს:

- „ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერ-იყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი.
- არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტფილი; მეგულების აღმოგდებაი შენი პირისაგან ჩემისა“ (გამოცხ. იოან. 3; 15-16).

ვინაიდან სამსაჯავრო, სადაც ადამიანები განისჯებიან ძალ-ზე მკაცრია და იქ დაუფიქრებელი ნათქვამის გამოც კი ისჯება ად-ამიანი, უფალი გვაფრთხილებს:

- „ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ: ყოველი სიტყუაი უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაი მისთვის დღესა მას სასჯელისასა.

  - რამეთუ სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მათე, 12; 36-37).

აღნიშნულის გამო, ყოველი ადამიანი სიტყვასა და დაპირე-ბას ძალიან უნდა უფრთხილდებოდეს. საზოგადოდ, ადამიანთა საქ-მიანობა მძიმე ტვირთია და უფალი მიგვითითებს, რომ: „ურთიერ-თას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრის-ტესი“ (გალ. 6; 2). თუმცა, აქვე აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ტვირთის ტარება ყველას თავისი მოეთხოვება და არა სხვისთვის გადაბარება, „რამეთუ კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“ (გალ. 6; 5).

ზემოაღნიშნულის გარდა გვსურს შეგახსენოთ მოწყალების სულიერი და ხორციელი საქმეები, რომელსაც, როგორც ქცევის ალტერნატივებსა და ცხოვრებაში არჩევანის განმსაზღვრელი წესების ერთობლიობას, ოდითგან მრევლს სამოძღვროს ფორმით უქადაგებს მართლმადიდებლური სარწმუნოება, კერძოდ:

- **შვიდნი მოწყალებათა საქმენი სულიერნი:** 1. მოქცევა ცოდვილთა; 2. სწავლება უმეცართა; 3. განმართვა დაბრკოლებულთა; 4. ნუგეშინისცემა მწუხარეთა; 5. მოთმინებით ატანა უსამართლობისა; 6. მიტევება შემცოდეთა (თანანადებთა); 7. ღმერთთან ვედრება მოყვასთა საცხოვნებლად.
- **შვიდნი მოწყალებათა საქმენი ხორციელნი:** 1. ჭმევა მშიერთა; 2. სმევა მწყურვალთა; 3. შემოსვა შიშველთა; 4. შეწყნარება უცხოთა; 5. მოკითხვა სნეულთა; 6. მიხედვა პატიმართა; 7. დაფვლა მიცვალებულთა.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მართლმადიდებლურ სწავლებაში ალტერნატივების ფორმით მოცემული **შვიდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი და წამალნი მათნი – შვიდნი სათნოებანი,** კერძოდ: 1. ამპარტავნება - სიმდაბლე; 2. ანგარება – მოწყალება; 3. სიძვა – უმანკოება; 4. მრისხანება - სიმშვიდე; 5. ნაყროვანება - მარხულობა; 6. შური - სიყვარული; 7. მიმომწვლილველობა - სასოება (ლოცვანი, 2007, 228).

ცნობილია, რომ საქართველოში სუფრასთან ტრადიციულია მშვიდობის სადღეგრძელოს შესმა. იგი საბჭოთა პერიოდამდე **„შვიდობის“** სადღეგრძელო იყო, რაშიც იგულისხმებოდა უფლისგან სულიწმიდის შვიდი ზემოაღნიშნული მადლის მონიჭებისა და 7-7 სულიერი და ხორციელი საქმეების საკეთებლად შეწევნის გამოთხოვა. ათეიზმის ეპოქაში კი იგი **„მშვიდობის“** სახით დამკვიდრდა.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ წმიდა ამბროსი ნეკრესელი „მამაო ჩვენოს“ განმარტებისას ამ უპირველეს ლოცვაში გაერთიანებულ შვიდ თხოვნაზე მიუთითებს, რაც შეიძლება ტრადიციული „შვიდობის“ სადრეგრძელო-დალოცვის ერთ-ერთი მიზეზიც იყო და კიდევ ერთხელ ადასტურებს რიცხვის – შვიდი, საკრალურობას. „შვიდსა ამას სავედრებელსა თხოვნასა დაგვარიგებს და განგვიწე-

სებს, ვითარმედ ესრეთ ილოცვიდეთ და ამას სთხოვდეთო: პირველად - წმიდა იყავნ სახელი შენი; მეორედ - მოვედინ სუფევა შენი; მესამედ - იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა; მეოთხედ – პური ჩვენი არსობისა  მოგვეც ჩვენ დღეს; მეხუთედ - მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; მეექვსედ – ნუ შემიყვან ჩვენ განსაცდელსა; მეშვიდედ – გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ (საქართველოს დიდება, 2009,137).

ამგვარად, არჩევანის ალტერნატივები ადამიანთა წინაშე უდავოდ ბევრია და სწორი არჩევანის გაკეთება არცთუ ადვილია, მაგრამ საუფლო სიბრძნე მრავალ დარიგებას გვაძლევს საიმისოდ, რომ არ ავცდეთ სწორ გზას და გვასწავლის ისეთი არჩევანი გავაკეთოთ, რაც მარტო ჩვენი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს „არა ვეძიებ თავისა ჩემისა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა“ (I კორ. 10; 33). საამისოდ გავიხსენოთ „ლოცვა სწავლის დაწყების წინ“, სადაც ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესები საოცარი ჰარმონიულობითაა გადმოცემული, კერძოდ: „ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩუენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულის-ხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი, ძალთა სულთა ჩუენთასა, რათა ჩუენ, ყურადმღებელნი გარდამოცემულისა ჩუენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩუენისა სადიდებლად, მშობელთა ჩუენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდივიდის ცხოვრებაში არჩევანის უამრავი ვარიანტია, მაგრამ იქ, სადაც მრავალთა ინტერესია გათვალისწინებული და ადამიანი თავის ეგოისტურ „მე“-ს საღვთო სიყვარულით გადალახავს, შედეგი სინერგიულია და უფლის მადლიც არასოდეს დააყოვნებს.

**პრინციპი 2. ნივთის დანახარჯი არის ის, რასაც ვთმობთ ამ ნივთის ფლობისთვის**

ეკონომიკის მეორე პრინციპის განმარტებისას გ. მენქიუ წერს: „იმის გამო, რომ ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგები-

ან, გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს კონკრეტული ქცევის დანახარჯებისა და სარგებლობების შედარებას. თუმცა, ხშირად ქცევის დანახარჯები ისეთი აშკარა როდია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ნივთის ალტერნატიული დანახარჯი ისაა, რასაც ვთმობთ ამ ნივთის ფლობის სანაცვლოდ, როდესაც ვიღებთ რაიმე გადაწყვეტილებას“ (მენქიუ, 2008, 5-6).

აღიარებულია, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ანალიზის ამ მეთოდის გამოყენება ყველაზე უფრო ეფექტიანი და თანმიმდევრულია, ამასთან, უმრავლესობისთვის მარტივად გასაგები და თვალსაჩინო. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სახარებაში მკითხველისთვის ნებისმიერი არჩევანის სისწორე თუ საუფლო სათნო ქმედება სწორედ ალტერნატიული ღირებულების პრინციპის გათვალისწინებითაა ახსნილი და განმარტებული. თითოეულ შემთხვევაში არჩევანის გაკეთების დროს უფალი არ მბრძანებლობს, არამედ გადაწყვეტილების მისაღებად ქცევიდან გამომდინარე, შესაძლო შედეგების ჩვენებით გვიხსნის ამა თუ იმ არჩევანის ავკარგიანობას, ე.ი. გამოიყენება - „დანახარჯი-სარგებლობა“ შედარების, ანუ არჩევანის ალტერნატიული ღირებულების დღეისათვის პოპულარული პრინციპი.

ამის დასადასტურებლად სახარებიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. დასაწყისისთვის შევჩერდეთ ცხრა ნეტარების მაგალითზე (მათე, 5; 1-11): „და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ, და მოუხდეს მას მოწაფენი მისნი.

- და აღაღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა.
- ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი (ასევე, ლუკა, 6; 21).
- ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ (ასევე, ლუკა, 6; 20).
- ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაი (ასევე, ფს. 36; 11).
- ნეტარ იყვნენ რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღნენ.
- ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

- ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ (ასევე, ფს. 23; 4).
- ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ (ასევე, ებრ. 12; 14).
- ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი (ასევე, I პეტ. 3; 14).
- ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუა ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის“ (ასევე, I პეტ. 4; 14).

აქ უფლისთვის სათნო თითოეული გადაწყვეტილება იმავე წინადადების მეორე ნაწილში თავისი ალტერნატიული ღირებულებითა და მოსალოდნელი შედეგით აიხსნება, რაც მსმენელისთვის შედარების საფუძველზე ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით ძალზე ეფექტიანია.

მორწმუნისთვის, სულის ძლიერი გამოცდის დროს, ალტერნატიული ღირებულების საშუალებით არჩევანის გაკეთება ყველაზე უფრო მეტადაა საჭირო. ეს სახარებაში თავად უფლის ორმოცდღიანი უდაბნოში ყოფნის გამოცდითაა ნაჩვენები. იესო ქრისტე მარხულობდა და 3-ჯერ გამოიცადა ბოროტისგან, მაგრამ იმის გამო, რომ ამ გამოცდას მტკიცე რწმენით, ღრმა და კარგად გააზრებული სწავლებით აღჭურვილი შეხვდა, დაძლია იგი. ამას მათესა და ლუკას სახარებები მოგვითხრობენ (მათე, 4; 1-11, ლუკა, 4; 8-12).

დღეს, ფასეულობათა აღრევის ურთულეს პირობებში, განსაკუთრებით ძნელია დარჩე წესიერი და სიბრძნისმოყვარე. თუმცა, ასეთი არჩევანისთვის ჯილდოდ და ალტერნატიულ ღირებულებად უფალი ადამიანებს ურთულეს პირობებში გადარჩენასა და გასაჭირში თანადგომას ჰპირდება, როცა ამბობს:

- „და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკვლად. არამედ გეშინოდენ მისა უფროის, რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა (ლუკა, 12; 6).

განსაკუთრებით დიდი ალტერნატიული ღირებულებითაა შეფასებული მართლმადიდებლურ სწავლებაში საკუთარი ჯვრის აღ-

ება. აქაც უფალი უდიდეს ტვირთს თავის თავზე იღებს, თუმცა ჩვენგან გულგრილ დამოკიდებულებაზე მკაცრ ალტერნატივას გვთავაზობს:

- „რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი“ (მათე, 10; 38-41. ასევე: მარ. 8; 35. ლუკა, 9; 24. იოანე,12; 25).
- „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისუენო თქუენ.
- აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა. და ჰპოვოთ განსუენებაი სულთა თქუენთაი.
- რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მათე, 11; 28-30).
- „და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე, 16; 24. მარ. 8; 34).
- „რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველ-მან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუ-ეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მათე, 3;10).

დასასრულ, მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო თავად უფლის მიერ მოცემულ ძირითად ლოცვაზე „მამაო ჩუენო“, სადაც უფლისადმი თხოვნით „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი ვი-თარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“, ზემოაღნიშნუ-ლი ალტერნატიული ღირებულების მეთოდის თანახმად, ჩვენი საქ-ციელით თავადვე გამოგვყავს საკუთარი განაჩენი იმის თაობაზე ვიმსახურებთ, თუ არა უფლისგან დალოცვას „ორთავ სოფელსა ში-ნა“.

უდიდესი ალტერნატიული ღირებულებით ხასიათდება სახა-რებაში მტკიცე სარწმუნოება, სინანული, ცათა სასუფევლისკენ სვლის მცდელობა. ისინი მართლმადიდებლურ სწავლებაში განსა-კუთრებული შედეგების მომცემია ადამიანის სულის გაფაქიზების, სწორი არჩევანისა და ცხონების გზაზე.

**პრინციპი 3. რაციონალური ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას ზღვრულ ანალიზს იყენებს**

გ. მენქიუს მოსაზრებით, რაციონალურია ადამიანი, „რომელიც სისტემატურად და მიზნობრივად მოქმედებს იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობების პირობებში მიზანს მიაღწიოს“ (მენქიუ, 2008, 6). „მრავალი ცხოვრებისეული გადაწყვეტილება გულისხმობს მოქმედების არსებულ გეგმაში მცირე ცვლილებების შეტანას. ამ ცვლილებებს ეკონომისტები ზღვრულ ცვლილებებს უწოდებენ. ხშირად რაციონალური ადამიანი მოქმედებას იწყებს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მოქმედების ზღვრული სარგებლობა ზღვრულ დანახარჯებზე მეტია“ (მენქიუ, 2008, 6; 7).

ვნახოთ, რას გვასწავლის მახარებელთა მიერ მოცემული უფლისმიერი სიბრძნე ინდივიდის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს ზღვრული არჩევანის გამოყენებასთან დაკავშირებით. საამისოდ, ვფიქრობთ, საინტერესოა მათეს სახარებაში აღწერილი იგავი სიძის დასახვედრად გამზადებული ათი ქალწულის შესახებ, კერძოდ: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაი ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თვისნი და განვიდეს მიგებებად სიძისა.

- ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი, და ხუთნი სულელნი.
- მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი.
- ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.
- და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს.
- ხოლო შუაღამეს ოდენ ღაღადებაი იყო. ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა.
- მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი.
- ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან.
- მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროის-ღა წარვედით სავაჭროდ, და იყიდეთ თავისა თქუენისა.

- და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეხშა კარი“ (მათე, 25; 1-10).

ამგვარად, იგავში სიძესთან შესახვედრად ქალწულთათვის ხელში ანთებული ლამპარის ქონა ქორწილში მოხვედრის აუცილებელი პირობა იყო, თუმცა, სიძის მოსვლის ზუსტი დრო არავინ იცოდა. ბრძენ ქალწულთა პირველი სწორი ზღვრული არჩევანი უკავშირდება სიძის მოსვლის ზუსტი დროის გაურკვევლობის გამო, დამატებითი ზეთის მომარაგებას (რეზერვის შექმნას). მეორე გონივრული არჩევანი კი, აღებული ზეთის სწორი განაწილებაა.

კრიტიკოსებმა შეიძლება გაკიცხონ ბრძენ ქალწულთა გადაწყვეტილება რეზერვში არსებული ზეთის სულელთათვის არგაცემის თაობაზე, მაგრამ ზეთის განაწილების შემთხვევაში ლამპრები ყველას ჩაუქრებოდა და ქორწილში ვერავინ მოხვდებოდა. აღწერილ შემთხვევაში კი, ხუთი თადარიგიანი ქალწული მოხვდა. აქ სახარება სწორი ზღვრული არჩევანის გაკეთებას გვასწავლის ცუდსა და უარეს ვარიანტებს შორის (ცუდი ვარიანტი იყო ის, რომ ხუთი ქალწული ქორწილში ვერ შევიდოდა, მაგრამ უარესი იქნებოდა ის, თუ სიძეს ათიდან ვერცერთი შეხვდებოდა). ბრძენ ქალწულთა ქცევა „ეკონომიკის პრინციპებში“ განსაზღვრული რაციონალური ადამიანისთვის დამახასიათებელი ქცევის ანალოგიურია და რისკისგან თავის დასაცავად რეზერვების შექმნასა და წინდახედულებას გვასწავლის.

რაც შეეხება „სულელ ქალწულებს“, ამ იგავში დასაწყისშივე, ხაზგასმით მათი ასეთი შეფასება, მათი ქცევის ორმაგი ანალიზის გამოა, კერძოდ: ერთი რომ მათ სწორად არ გათვალეს რისკები და დეტალურად არ გაიაზრეს მოსალოდნელი შედეგები და არ მოიმარაგეს ზეთი. და მეორე, „ბრძენი ქალწულების“ სწორი გადაწყვეტილების შემყურენიც კი არ დაფიქრდნენ, არ შეცვალეს გადაწყვეტილება, არ ისწავლეს სხვისგან უკეთესი მიდგომა და არ მოიმარაგეს ზეთი.

„დანახარჯი-სარგებლის“ შედარების შედეგად სწორ არჩევანს გვასწავლის უფალი კლდეზე სახლის მაშენებელი ადამიანის

მაგალითზე, როცა გვეუბნება მათესა (7; 24-27) და ლუკას (6; 48-49) სახარებებში:

- „ყოველმან, რომელმან ისმინეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა.
- და გარდამოხდა წვიმაი, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.
- და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყვნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქვიშასა ზედა.
- და გარდამოხდა წვიმაი. მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას და დაეცა. და იყო დაცემაი იგი მისი დიდ ფრიად“.

ამგვარად, უფალი გონივრულს ისეთ არჩევანს უწოდებს, რომელი გადაწყვეტილების შედეგიც მოსალოდნელ ავბედითობასა და რისკებს მედგრად გაუძლებს. აღნიშნულის მსგავსია გადაწყვეტილება ძველ ქსოვილზე ახალი საკერებელისა და ახალი ღვინის ძველ ტიკებში ჩასხმასთან დაკავშირებით. ისინი მათესა და მარკოზის სახარებებშია აღწერილი. თუმცა, უფალი გადაწყვეტილების მიღებისას გონივრული სიფრთხილის გამოჩენას გვირჩევს და გვეუბნება, „არავინ სუამნ ღვინოსა ძუელსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, რამეთუ თქვის: ძველი უმჯობეს არს“ (ლუკა, 5; 39).

**პრინციპი 4. ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ**

აღნიშნული პრინციპის ახსნის დროს გ. მენქიუ წერს: „ვინაიდან ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ დანახარჯებისა და სარგებლობის შედარების გზით, მათი ქცევა შეიძლება შეიცვალოს დანახარჯებისა და სარგებლობის ცვლილებასთან ერთად, ე.ი. ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ. სტიმული არის ის, რაც ადამიანს მოქმედებისკენ უბიძგებს. ქცევის განსაზღვრაში სტიმულების ცენტრალურ როლს დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვინც სახელმწიფო პოლიტიკას ქმნის. სახელმწიფო პოლიტიკა ხშირად ცვლის კერძო ქმედების დანახარჯებსა თუ სარგებლობას. როდე-

საც პოლიტიკოსები არ ითვალისწინებენ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანების ქცევა მათი პროგრამების განხორციელებისას, შედეგები შეიძლება სრულიად მოულოდნელი იყოს. ამ კანონის ეფექტის სრულად გასაგებად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **ადამიანები თავიანთ ქცევას ცვლიან სტიმულების შესაბამისად“** (მენქიუ, 2008, 7). უფალმა ძველი და ახალი აღქმის მიმდევრებს ქცევის წესების განმსაზღვრელი **ათი მცნება არ შეუცვალა.** ეს იმაზე მეტყველებს, რომ უფალმა კარგად უწყის, რომ ადამიანები თავიანთ ქცევას ცვლიან სტიმულების შესაბამისად.

უფალმა საუკეთესოდ იცის ადამიანის სუსტი ბუნების შესახებ და გვასტიმულირებს კეთილი საქმეების კეთება არ დაგვეზაროს, კერძოდ: „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა“ (იაკ. 4; 17). თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ სიკეთე გონივრულად ვაკეთოთ, მითუმეტეს, რომ ეს შეიძლება ჩვენ ცუდად შემოგვიბრუნდეს. გავიხსენოთ, ათი ქალწულის იგავი, როცა ზეთის არ განაწილებით ბრძენი ქალწულები მოხვდნენ ქორწილში. ასევე, „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მათე, 7; 6).

ყურადსაღებია უფლის მოწოდება, „უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა, იხსნეს სული თვისი სიკუდილისაგან და დაფაროს სიმრავლე ცოდვათაი“ (იაკ. 5; 20). თუ უფალი სხვის მომქცეველს ცოდვებს პატიობს, განსაკუთრებით სჯის მას, ვინც ვინმეს დააბრკოლებს უფალთან მისვლისას, კერძოდ: „და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაი, უმჯობეს არს მისა, დამოთუ-იკიდოს წისქვლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვასასა“ (მათე, 18; 6).

უფალი მუდმივად მიუთითებს ადამიანებს სიკეთის კეთებისკენ და შედეგად გასაჭირში თანადგომას სთავაზობს მათ:

- „მოიქეცინ ბოროტისაგან, ქმენინ კეთილი, მოიძიენ მშვიდობაი და მისდევდინ მას,

- რამეთუ თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცვათა მათთა ზედა, ხოლო პირი უფლისაი მოქმედთა ზედა ძვირისათა“ (I პეტ. 2; 11-12).
- „ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლიე კეთილითა მით ბოროტსა მას“ (რომ. 12; 21).
- „კეთილისა საქმე ნუმცა გუეწყინების, რამეთუ თვისსა ჟამსა მოვიმკოთ, არა თუ მოვმედგრდეთ“ (გალ. 6; 9).

გ. მენქიუ წერს: „საზოგადოებრივი პროგრამების შედეგები დასაწყისიდანვე ცხადი არ არის. ნებისმიერი პოლიტიკის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი ეფექტებიც, რომლებიც სტიმულების მეშვეობით იქმნება. თუ პოლიტიკა სტიმულებს ცვლის, ეს იწვევს ადამიანების ქცევის შეცვლას“ (მენქიუ, 2008, 8). აღნიშნულის საპასუხოდ გვსურს გავიხსენოთ უფლის მოწოდებები საერო საქმეებში სათანადოდ ქცევის შესახებ, ასე მაგალითად:

- „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (II თეს. 3; 10). ამ შეგონებით უფალი შრომისკენ მოუწოდებს ყველას. „ზარმაცი ხელი აღარიბებს, ხოლო გამრჯე ხელი ამდიდრებს“ (იგავ. 10; 4). „თავისი მიწის მუშაკი პურით დანაყრდება, ხოლო ვინც ამაოდ ირჯება, სიღარიბით დანაყრდება“ (იგავ. 28; 19).
- „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა - პატივი“ (რომ. 13; 7).

ასევე უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ ყველას, მათ შორის იმათაც ვინც ჩვენს დაქვემდებარებაშია, ვინაიდან:

- „უფალი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4;1).

ხანდახან კეთილი ადამიანები ვარდებიან განსაცდელში, ამ დროს უფალი მოთმინებას გვირჩევს და გვეუბნება, რომ ეს ის ქმედებაა, რასაც მშობლები ხშირად მიმართავენ ურჩი შვილების მიმართ, კერძოდ:

- „და მოჰმედგრდეთ ნუგეშინისცემისაგან, რომელი ვითარცა შვილთა გეტყვს თქუენ: შვილო ჩემო, ნუ სულმოკლე იქმნები სწავლასა უფლისასა, ნუცაღა დაჰხსნდები მის მიერ მხილებასა.
- რამეთუ რომელი უყუარს უფალსა, სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის.
- უკუეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა შეგიწყნარებს თქუენ ღმერთი. რამეთუ ვინ-მე არს შვილი, რომელი არა სწავლის მამამან?“ (ებრ. 12; 5-7).

უფალი ადამიანებს მადლიერებისკენ მოუწოდებს. ცნობილია ათი კეთროვანის განკურნების მაგალითი ლუკას სახარებაში, კერძოდ: „და შე-რაი-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებვოდეს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დადგეს შორს. და მათ აღიმაღლეს ხმაი მათი და იტყოდეს: იესუ მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ! და თავადმან ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მღდელთა. და იყო ვითარცა წარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს კეთროვნებისა მისგან. ხოლო ერთმან მათგანმან იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და ხმითა დიდითა ადიდებდა ღმერთსა. და დავარდა წინაშე ფერხთა იესუისთა და ჰმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან? ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაითამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაი ღმერთსა, გარნა უცხო-თესლი ხოლო ესე? და ჰრქუა მას: აღდეგ და წერვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“ (ლუკა, 17; 12-19). აღსანიშნავია, რომ ის 9 ადამიანი, ვინც მადლობა არ გადაუხადა უფალს განკურნებისთვის, კვლავ დაავადდნენ.

სახარებაში, რწმენისა და საქმის ერთიანობის მოთხოვნით უფალი სწორი ქცევის საუკეთესო სტიმულს აყალიბებს, კერძოდ: **„სარწმუნოება, უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო. რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“** (იაკ. 2; 17; 26).

## 1.2 ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური სწავლების პრიზმით*

აღინიშნა, რომ ეკონომიკის პრინციპების მეორე ჯგუფი (#5-7), არის ადამიანების ურთიერთქმედების აღმწერი პრინციპები, რომელთა მართლმადიდებლური სწავლების შუქზე განხილვას ქვემოთ შევეცდებით.

ათი მცნება ღმერთმა თავად ამოტვიფრა ქვის ორ ფილაზე და სინას მთაზე გადასცა წინასწარმეტყველ მოსეს. ბიბლიიდან ცნობილია, რომ „უთხრა უფალმა მოსეს: ამოდი ჩემთან მთაზე და აქ იყავი; მოგცემ ფიქალებს - რჯულსა და მცნებებს, მათ დასამოძღვრად, რომ დავწერე“ (გამ. 24; 12). **ერთ ფილაზე ოთხი მცნება ეწერა, ხოლო მეორეზე - ექვსი. ეს გაყოფა შემთხვევითი არ იყო. პირველი ოთხი მცნება განსაზღვრავს ადამიანების ურთიერთობას ღმერთთან, ხოლო დანარჩენი ექვსი ეხება ადამიანებს შორის ურთიერთობებს,** ესენია:

1. *„მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე;*
2. *არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი რაი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანასა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა ჰმსახურებდე მათ;*
3. *არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა;*
4. *მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ყავ იგი;*
5. პატივ-ეც მამასა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა;
6. არა კაც-ჰკლა;
7. არა იმრუშო;

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2019). ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 36-39.

*8.* არა იპარო;

*9.* არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა;

*10.* არა გული გითქუმიდეს ცოლისა მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა“ (მართლმადიდებლური კატეხიზმო, 2001, 106-110).

ზემოაღნიშნულთან ერთად გვსურს, გავიხსენოთ, რომ უფალმა ფარისეველთა შეკითხვაზე, თუ რომელი მცნებაა უფრო მნიშვნელოვანი, უპასუხა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაი. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე, 22; 37-40. ლუკა, 10; 27).

ამგვარად, უფალმა 10 მცნება 2 ძირითად მცნებამდე დაიყვანა. ეს პასუხი გამომდინარეობს 10 მცნების „4-6“-ზე დაჯგუფების განზოგადებიდან, ანუ პირველ ფილაზე მოცემული მცნებები (#1-4) უფალთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს და შესაბამისად ორი მთავარი მცნებიდან, პირველი უფლის სიყვარულია, ხოლო მეორე, მოყვასის საკუთარი თავის მსგავსად შეყვარება, #5-10 მცნებების განზოგადებითაა მიღებული. აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანების ურთიერთქმედებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ სწავლებაში.

**პრინციპი 5. ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობის გაუმჯობესება**

ამ პრინციპის ახსნისას გ. მენქიუ წერს „ქვეყნები, ისევე როგორც ოჯახები, ბევრს იგებენ ერთმანეთთან ვაჭრობით. ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს, აკეთონ ის, რაშიც საუკეთესონი არიან და მიიღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება“ (მენქიუ, 2008, 9).

აღსანიშნავია, რომ ახალ აღთქმაში ადამიანებს შორის ვაჭრობის შესახებ მაგალითები მრავლად მოიპოვება, კერძოდ, ლუკას

სახარებაში აღნიშნულია: „და იყო მოქცევასა მას მისა, მო-რაი-აქ-უნდა მეუფებაი თვისი, და ბრძანა მოწოდებაი მათ მონათაი, რო-მელთადა მიეცა ვერცხლი იგი, რაითა უწყოდეს, რაი-იგი ივაჭრეს“ (ლუკა, 19, 15), ანუ, მფლობელი დაინტერესდა სავაჭროდ გაცემუ-ლი ვერცხლის დაბანდების შედეგებით.

ასევე, მათეს სახარებაში მითითებულია, მონაგების სხვა ად-ამიანთათვის სავაჭროდ გაცემის შესახებ, კერძოდ, „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონათა თვისთა და მისცის მათ მონაგები თვისი“ (მათე, 25, 14 ).

დაშვებულია ვაჭრობაში სარგებლის მიღებაც დამქირავებ-ლის სასარგებლოდ, რაც ჩანს დამქირავებლის მოთხოვნაში დაქი-რავებულისთვის გაცემული ვერცხლის ვაჭრობაში დაბანდებისა და დამატებითი მოგების მიღებით „ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცავედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინები-თურთ“ (მათე, 15, 27). ცნობილია, რომ ის დაქირავებული, ვინც მი-ღებული თანხა არ დააბანდა მოგების მისაღებად და იმავე მოცუ-ლობით დაუბრუნა მფლობელს, დაისაჯა და მისთვის განკუთვნილი თანხა იმას გადაეცა, ვინც ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო. წარ-მატებული მოვაჭრე კი დაჯილდოვდა მფლობელისგან დაწინაურ-ებითა და მეტი ნდობის გამოცხადებით: „ჰრქუა მას უფალმან მის-მან: კეთილ მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარ-წმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათე, 25, 21).

ლუკას სახარებაში მფლობელის ტონი გაცილებით მკაცრია იმ დაქირავებულისადმი, რომელმაც მიღებული ვერცხლი არ დააბ-ანდა, კერძოდ, „და ჰრქუა მას: პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ბოროტო; იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: მოვიღი, სადა არა დავდვი, და მოვიმკი, სადა არა დავთესი. და რაისათვის არა დასდევ ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, მომცავედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი?“ (ლუკა, 19, 22-23). მფლობელის საბოლოო გადაწყვეტილება ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მათეს სახარებაში, ანუ ვერცხლი გადაეცა მას, ვინც ყველაზე მეტი მოგება მიიღო.

**პრინციპი 6. ბაზრები, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა**

ამ პრინციპის ახსნისას გ. მენქიუ წერს, „საბაზრო ეკონომიკაში ცენტრალური მგეგმავის გადაწყვეტილებები შეცვლილია მილიონობით ფირმისა და საოჯახო მეურნეობის გადაწყვეტილებებით... ეს ფირმები და საოჯახო მეურნეობები ურთიერთქმედებენ ბაზრებზე, სადაც მათ გადაწყვეტილებებს ფასები და **საკუთარი ინტერესები წარმართავს...** ფასების მხედველობაში მიღებით გადაწყვეტილებების ეს ინდივიდუალური მიმღებები ისეთ შედეგებს აღწევენ, რომლებიც ხშირად ხელს უწყობს **საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას“** (მენქიუ, 2008, 9).

აღნიშნულის მართლმადიდებლური ასპექტით გააზრებისას გვსურს გავიხსენოთ უფლის მოწოდებები საერო საქმეებში სათანადოდ ქცევის შესახებ, ასე მაგალითად: „სამართალი და წყალობა და სარწმუნოება; ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არა დატევებად“ (მათე, 23; 23), „ნუ სჯით თუალთ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (იოანე, 7; 24). „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა - პატივი“ (რომ. 13; 7). ასევე, უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ ყველას, მათ შორის იმათაც ვინც ჩვენს დაქვემდებარებაშია, ვინაიდან: „უფალი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4; 1).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან საკუთარი ინტერესების გატარებისას საუფლო სწავლების გათვალისწინება რეალურად გამოიწვევს საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.

**პრინციპი 7. მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება**

გ. მენქიუ წერს, რომ „სახელმწიფო პოლიტიკა, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი და კეთილდღეობის სისტემა, მიზნად ისახავს ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო სამართლიან განაწილებას“ (მენქიუ, 2008, 11). ამ შინაარსით გვსურს გავიხსენოთ

ფარაონის სიზმარი და მისი ახსნა იოსების მიერ. „ესიზმრა ფარაონს სიზმარი: აჰა, დგას იგი ნილოსის პირას. აჰა, ამოდის ნილოსიდან შვიდი კარგი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა და ლერწმიანში ბალახობს. აჰა, შვიდი სხვა ძროხა, შეუხედავი და ხორცდაყრილი, ამოჰყვება მათ ნილოსიდან და გვერდში დაუდგება იმ ძროხებს ნილოსის პირას. შეჭამეს შეუხედავმა და ხორცდაყრილმა ძროხებმა შვიდი კარგი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა - და გაეღვიძა ფარაონს“ (დაბ. 41; 1-5). ანალოგიური შინაარსის იყო ეგვიპტის ფარაონის სიზმარი ხორბლის თავთავების შესახებაც (დაბ. 41; 1-7). იოსებმა ასე აუხსნა სიზმარი ფარაონს: „აჰა, მოვა შვიდი უხვმოსავლიანი წელიწადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. მას შემდეგ დადგება შვიდი მოუსავლიანი წელიწადი, გაქრება ბარაქა ეგვიპტეში და შიმშილი გააჩანაგებს ქვეყანას (დაბ. 41; 29-30).

შექმნილი სიტუაციიდან  იოსების რჩევა იყო: „ასე ქნას ფარაონმა: ზედამხედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მეხუთედი ახდევინონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე. დააგროვონ ამ მომავალი ბედნიერი წლების მთელი საზრდო, დაახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. იყოს ეს საზრდო მარაგად ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს“ (დაბ. 41; 34-36).

აღწერილ შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის დაწესებით რეზერვების შექმნამ და დანაზოგის სწორად განაწილებამ ქვეყანა შიმშილობისგან იხსნა. ამგვარად, სახელმწიფოს პოლიტიკა საშემოსავლო გადასახადის დაწესების, რეზერვების შექმნისა და მოსახლეობაზე ზრუნვის შესახებ, ჯერ კიდევ ბიბლიაშია გადმოცემული.

საზოგადოდ, საგადასახადო პოლიტიკა სამთავრობო პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია, შესაბამისად, გადასახადის გადახდისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხია. ალბათ, სწორედ ამიტომაც ახალ აღთქმაში, სამგან: მათეს (22; 22), მარკოზის (12; 17) და ლუკას (20; 25) სახარებებში გადმოცემულია მაცხოვრის პასუხი ფარისეველთა კით-

ხვაზე უნდა გადაუხადონ თუ არა კეისარს ხარკი: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“.

სახარებიდან ჩანს, რომ კორუფციული აზროვნება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ იყო პრობლემა მოსახლეობისთვის. ამაზე მეტყველებს იოანე ნათლისმცემლის პასუხები მებაჟეთა და სამხედროთა შეკითხვებზე: იგი არიგებს მათ, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებენ“. აქვე უნდა გავიხსენოთ ასევე უფლის მე-8 მცნება - „არ იპარო“.

გ. მენქიუ წერს: „ის რომ მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება, სულაც არ ნიშნავს, რომ ამას ყოველთვის ახერხებს. **სახელმწიფო პოლიტიკას ქმნიან არა ანგელოზები, არამედ პოლიტიკური პროცესები, რომლებიც შორსაა სრულყოფილებისგან. ზოგჯერ პოლიტიკა მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების მქონეთა ინტერესების დასაცავადაა შექმნილი. ზოგჯერ კი, პოლიტიკას ქმნიან კარგი განზრახვის მქონე, მაგრამ ცუდად ინფორმირებული ლიდერები“** (მენქიუ, 2008, 11). ამ პრობლემის გადასაჭრელად, ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალს გვთავაზობს უფალი, როდესაც გვარიგებს: „ყოველსავე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24), ხოლო მათთვის, ვისაც კეთილი საქმის კეთება ეზარება, ამბობს: „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა“ (იაკ. 4; 17).

საზოგადოდ, ადამიანთა საქმიანობა მძიმე ტვირთია და უფალი მიგვითითებს, რომ: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6; 2). თუმცა, აქვე აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ტვირთის ტარება ყველას თავისი მოეთხოვება და არა სხვისთვის გადაბარება, „რამეთუ კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“ (გალ. 6; 5).

## 1.3 ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება*

გ. მენქიუს მიერ ჩამოყალიბებული ეკონომიკის პრინციპებიდან ბოლო სამი აღწერს იმას, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორც მთლიანი სისტემა (#8-10), სწორედ მათი მართლმადიდებლური ასპექტით განხილვას შევეცდებით ნაშრომის ამ ნაწილში.

**პრინციპი 8. ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე**

ამ პრინციპის ახსნისას ავტორი წერს: „რით აიხსნება ცხოვრების დონეების განსხვავება როგორც სხვადასხვა ქვეყნებში, ისე დროის სხვადასხვა მონაკვეთებში? პასუხი მეტად მარტივია. **ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების მიზეზი უნდა ვეძიოთ ქვეყანათა მწარმოებლურობაში - ანუ დროის ერთეულში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაში...** მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის ურთიერთდამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკისთვისაც, როდესაც ვფიქრობთ როგორ იმოქმედებს ესა თუ ის პოლიტიკა ცხოვრების დონეზე. მთავარია გავიგოთ, თუ როგორ იმოქმედებს ეს პოლიტიკა ჩვენს უნარზე ვაწარმოოთ საქონელი და მომსახურება“ (მენქიუ, 2008,12).

განვიხილოთ როგორ უწყობს მართლმადიდებლური სწავლება მწარმოებლურობის ამაღლებას, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ინდივიდების მხრიდან შრომისმოყვარეობაზე, მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, პასუხისმგებლობაზე, ღვთისმოყვარეობასა და ღვთისადმი

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2020). ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.100-106.

მინდობაზე. ამ საკითხებს ეძღვნება ძველი და ახალი აღთქმის მრავალი მუხლი.

უპირველეს ყოვლისა გავიხსენოთ რა ამბობს წმიდა წერილი შრომისადმი დამოკიდებულებაზე - „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (II თეს. 3; 10). ამგვარად, შრომა გარდაუვალი მოთხოვნაა, ვინაიდან საკვების მიღება ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელია. დასაქმებულთან დამოკიდებულებისას უფალი ამბობს, რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“ (მათე, 10; 10; ლუკა, 10; 7).

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დაქირავებული შრომის უბრალოდ ანაზღაურების გაცემაზე არ მოგვიწოდებს უფალი, არამედ დასაქმებულთა შრომის შედეგების მიხედვით სტიმულირებაზეც, რაც აღნიშნულია მათეს სახარებაში ტალანტების შესახებ იგავში (მათე, 25; 14-29). აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ირგვლივ ბევრია უქნარა, ფუქსავატი, ყბედი და შურიანი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მოკლას ნებისმიერი საღი აზრი, ჩაახშოს სხვათა ენერგია და კეთილი მისწრაფებები. სწორედ ამის გამოა, რომ სახარება გვეუბნება - „განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყუარული მრავალთა“ (მათე, 24; 12). აღნიშნულის გამო, უფალი ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას მიგვითითებს - „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მათე, 7; 6).

ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გვხვდება საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების მქონე ინდივიდები. ასეთებს უფალი არიგებს: „ყოველსავე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24).

ვინაიდან გ. მენქიუს ეკონომიკის პრინციპებიდან ბოლო ორი მათგანი #9-10 შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია და მთავრობის საქმიანობის შედეგებს აანალიზებს, მათ მართლმადიდებლური სწავლების შუქზე ერთად განვიხილავთ.

**პრინციპი 9. ფასები იზრდება, როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს**

„რა იწვევს ინფლაციას? დიდი და ხანგრძლივი ინფლაციის თითქმის ყველა შემთხვევაში დამნაშავეა ფულის რაოდენობის ზრდა, როდესაც მთავრობა ეროვნული ვალუტის დიდ რაოდენობას უშვებს, ფულის ღირებულება მცირდება“.

**პრინციპი 10. მოკლევადიან პერიოდში საზოგადოება დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე**

ამ პრინციპის სათაურში აღნიშნული „ეს მოკლევადიანი არჩევანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქმიანი აქტივობის ციკლის - ეკონომიკური აქტივობის არარეგულარული და მოულოდნელი ცვლილებების - ანალიზის საქმეში, რომელიც გაიზომება საქონლისა და მომსახურების წარმოების ან დასაქმებულთა რაოდენობით... პოლიტიკოსებს შეუძლიათ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებულ ამ ალტერნატივას სხვადასხვა პოლიტიკური იარაღებით გაუმკლავდნენ... **ის თუ როგორ გამოიყენონ პოლიტიკოსებმა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ეს პოტენციურად უძლიერესი ინსტრუმენტები ეკონომიკის კონტროლისთვის, ან, საერთოდ, გამოიყენონ თუ არა ისინი, დაუსრულებელი დებატების საგანია“** (მენქიუ, 2008, 13).

ამ პინციპის ასეთი ნორმატიული მიდგომით ახსნისას გვახსენდება ამავე ავტორის მიერ აღნიშნული „ჩვენი პოზიტიური შეხედულებები სამყაროს მოწყობის შესახებ ჩვენსავე ნორმატიულ შეხედულებებზე მოქმედებს. ნორმატიული დებულებების შესაფასებლად არა მხოლოდ ფაქტებია საჭირო, **არამედ გარკვეული ფასეულობითი ორიენტირებიც“** (მენქიუ, 2008, 29).

მათთვის, ვინც სახელმწიფოს მართავს უფალი ამბობს: „სამართალი და წყალობა და სარწმუნოება; ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არა დატევებად“ (მათე, 23; 23), „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში, პატივსა – პატივი“ (რომ. 13; 7). „ნუ სჯით თუალთ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (იოანე, 7; 24). ასევე,

უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ ყველას, მათ შორის იმათაც ვინც ჩვენს დაქვემდებარებაშია, ვინაიდან, მმართველებს უფალი ციდან აკვირდება (კოლ. 4; 1).

უფალი მათ, ვისაც ხელმძღვანელობა სურს, ურჩევს ემსახურონ ხალხს და ამისთვის პირად  მაგალითს აძლევს: „ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი ხელმწიფებედ მათ ზედა? ხოლო არა ეგრე იყოს თქუენ შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ ყოფაი თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაი, იყოს ყოველთა მონა. რამეთუ ძე კაცისაი არა მოვიდა ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთა“ (მარკ. 10; 42-45).  ასევე, „ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკა, 16; 15), „ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი ამაღლდეს“ (მათე, 10; 10. ლუკა, 10; 7).

როგორც ამ ბოლო პრინციპის ახსნისას წერს გ. მენქიუ - მთავრობას შეუძლია ეკონომიკურ გამოწვევებს სხვადასხვა პოლიტიკური იარაღით გაუმკლავდეს. ამ მრავალფეროვან არჩევანში მავანმა შესაძლებელია მართვის მეთოდები პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენოს და ასეთი პიროვნებები გარკვეულწილად არიან ქურდობის ან ქრთამის აღების საცდურის წინაშე. ამ შემთხვევებისთვის უნდა გავიხსენოთ იოანე ნათლისმცემლის პასუხები მებაჟეთა და სამხედროთა შეკითხვებზე: იგი არიგებს მათ, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებენ“. აქვე უნდა გავიხსენოთ ასევე უფლის მე-8  მცნება - „არ იპარო“.

მათ, ვინც შეცდომა დაუშვა, უფალი  გამოსავალს უჩვენებს როცა ამბობს: „განიძარცუეთ ძველი იგი კაცი საქმით მისითურთ“ (კოლ. 3; 9). ასევე, „განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სვლისა თქუენისა ძველი იგი კაცი, განხრწნილი გულისთქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაითა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბა-

დებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაითა. ამისთვის განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად კაცადი მოყუსისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთას ასოებ... ნუ სცემთ ადგილ ეშმაკსა. მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროისღა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თვისითა ხელითა, რაითა აქუნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს“ (ეფეს. 4; 22-28). გავიხსენოთ, წმიდა მეფე თამარის გადაწყვეტილებით, ქურდს აღარ აჭრიდნენ ხელზე თითს (ასეთი წესი ქურდობისთვის არსებობდა), ვინაიდან ჩადენილი საქციელისთვის დაწესებული სასჯელის მოხდის შემდგომ, ადამიანს თუ არ ექნებოდა დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ხილული ნიშანი, უფრო იოლად შეძლებდა ცხოვრების სწორი გზით გაგრძელებას.

საუფლო წესების დაცვისას უფალი წყალობას აღუთქვამს მორწმუნეებს და ძველ აღთქმაში გვეუბნება: „თუ ივლით ჩემს წესზე და დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, რთველი თესვაზე ადრე, ძღომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ.

მშვიდობას ჩამოვაგდებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისგან აღვგვი სასტიკ მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე. გარეკავთ თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე. ასს გარეკავს ხუთი თქვენგანი და ასი თქვენგანი ათიათასს გარეკავს. მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე. მოგხედავთ და ნაყოფიერს გაგხდით, გაგამრავლებთ და შევასრულებ თქვენთვის მოცემულ აღთქმას“ (ლევ. 26; 3-9). „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, დაიცავ და შეასრულებ ყველა ანდერძს, რომელსაც დღეს გიცხადებ, ქვეყნიერების ყველა ხალხზე მაღლა დაგსვავს უფალი. შენი ღმერთი... მოგაფენს უფალი კურთხევას შენს ბეღლებში და ყველაფერში, რასაც შენი ხელი გააკეთებს“ (რჯლ. 28; 1-12).

აღსანიშნავია, კვებაში ზომიერების გამოვლენის აუცილებლობაც. ნ. ჩიხლაძე აღნიშნავს, რომ „უდაბნოში მოსიარულენი განსაკუთრებით ხორცეულს ითხოვდნენ მოსესაგან. ერის წინამძღოლი საგონებელში ჩავარდა, თუ საიდან ეშოვა ამდენი საკვები 600 ათასი ადამიანისათვის. უფალმა არ გააწბილა მოსე და მწყერთა უთვალავი გუნდი მოუვლინა ხალხს, რომელთა ნაწილი მეტისმეტი ძღომისა და გემოთმოყვარეობისაგან დაიხოცა და კიბროთ-ჰაათავა („სიხარბის სამარხები“) წარმოშვა (რიცხ. 11; 33-34)“ (ჩიხლაძე, 2013, 48).

გავიხსენოთ რომ დიდგორში, შამქორსა თუ ბასიანში ქართველები ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ მტერზე წარმატებული სტრატეგიით იმარჯვებდნენ. წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სამოციქულოს წიგნი ერთი წლის მანძილზე 24-ჯერ ჰქონდა წაკითხული, რასაც ამდენივე დასმული ჯვარი ადასტურებდა[5], რაც იმას ნიშნავდა რომ „გალობანი სინანულისანი“-ს ავტორი დიდი მეფე წმიდა წერილს განუწყვეტლივ კითხულობდა (ისიც ცნობილია ისტორიიდან რომ წმიდა წერილის კითხვაში გართულ მეფეს მტერი დაესხა თავს, თუმცა მას ვერაფერი ავნეს).

წმიდა თამარ მეფე მისი საკვებისთვის საჭირო თანხას საკუთარი ხელსაქმით გამოიმუშავებდა, სამეფოში ქურდობა აღარ იყო და ამ პერიოდში ქართველები 12 მლნ-ს შეადგენდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოქროს ხანას საქართველოში წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელის სულიერი ღვაწლის თითქმის საუკუნოვანი ეპოქა უძღოდა წინ. ვინაიდან უფალი გვარიგებს: „სარწმუნოება, უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო. რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2; 17; 26). „სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!“ (მათე, 9; 29) და „უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“ (მარკ. 9; 23) „და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“ (მათე, 21; 22).

[5] http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/statiebi/wmina_mefr_daviT_aRmaSenebeli.htm

ეს ყველაფერი უფლის აღთქმისამებრ მაშინ ხდებოდა, როდესაც ქართველები „ეძიებდნენ ქრისტესთვის სიკვდილს“, რაც წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძშია აღნიშნული. საქართველოს ისტორიის ეს მცირე ეპიზოდები ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნის მართვაში სარწმუნოებრივი ღირებულებების მატარებელი ლიდერები ნორმატიულ საკითხებსაც (რაც გადამწყვეტია ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის) ამ საფუძველზე წყვეტდნენ.

მსჯელობის დასაწყისში მოვახდინეთ გ. მენქიუს სიტყვების ციტირება, სადაც ის, მის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკის ათი პრინციპის შესახებ მიუთითებდა, რომ „თვით ყველაზე რთული ეკონომიკური ანალიზიც კი ამ ათ პრინციპზეა აგებული“.

აღნიშნული ათი პრინციპის მართლმადიდებლური სწავლების რაკურსით განხილვამ ნათლად გვაჩვენა, რომ ოც საუკუნეზე მეტი ხნის წინ, სახარებაში გამოიყენებოდა ქცევის/გადაწყვეტილების ახსნის ისეთი მეთოდები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ამა თუ იმ ქმედების ავკარგიანობის გაგება და შეფასება.

# თავი 2. ეკონომიკის თეორიის და მართლმადიდებლური სწავლების თანაკვეთის ზოგიერთი მიმართულება

## 2.1 განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის შესახებ*

განათლება არის ცოდნის, უნარის, დახელოვნების, აზროვნების კულტურის, ხასიათის და სხვა თვისებების სწავლებისა და განვითარების პროცესი ლეგალურ სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლო აქტივობა გულისხმობს ცოდნის წარმოებასა და განაწილებას, რომელიც ტარდება რეგულარულად სასწავლო ინსტიტუტებში, დაწესებულებებში ან სხვაგან. აქცენტი ასეთ დაწესებულებებში გაკეთებულია ოფიციალურად მიღებულ საგანმანათლებლო სისტემაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სხვა ინსტიტუტებშიც, როგორიცაა ეკლესიები, სამხედრო დაწესებულებები, სამოქალაქო ორგანიზაციები, კლუბები, ბიზნეს-ფირმები და სხვა.

მიმოვიხილოთ განათლების სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის არგუმენტები, ესენია:

- გარე ეფექტების არსებობა;
- სახელმწიფოს მიერ უმცირესობის უფლებების დაცვა;
- განათლების როლის ზრდა დემოკრატიის განვითარებაში;
- სასტარტო შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფა;
- „საერთო ღირებულებების“ დადგენის აუცილებლობა;
- ეკონომიკურ ზრდაზე განათლების ეფექტის განსაზღვრა (მაღლაკელიძე)[6].

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2013). განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის სინერგიული ეფექტის შესახებ, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბ., გვ. 31-34.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს მხრიდან განათლების სისტემაში ჩარევის ერთ-ერთი არგუმენტია „საზოგადოებაში „საერთო ღირებულებების“ დადგენის აუცილებლობა“. აღნიშნული, ჩვენი აზრით, გულისხმობს, იმას რომ განათლების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მსოფლიო ღირებულებებისა და კონკრეტული ქვეყნის ქცევის სტანდარტების ჰარმონიული გათავისება ახალგაზრდებში, რაც საბოლოოდ უნდა აისახოს მათ ქცევაზე.

განათლების სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ „განათლების სოციალური ღირებულება აღემატება კერძოს. ამდენად, სოციალურად ოპტიმალური რაოდენობა მეტია, ვიდრე კერძო ბაზრის მიერ განსაზღვრული რაოდენობა. ამ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია გამოასწოროს საბაზრო ჩავარდნა ბაზრის მონაწილეების სტიმულირებით, გაითვალისწინონ დადებითი გარე ეფექტი. იმისათვის, რომ საბაზრო წონასწორობა საზოგადოებრივ ოპტიმუმთან დააახლოოს, დადებით გარე ეფექტს სუბსიდირება სჭირდება, სწორედ ამიტომ ახდენს მთავრობა განათლების სფეროს სუბსიდირებას“ (მენქიუ, 2008, 197-198).

იმის ასახსნელად, თუ როგორ განათლებას ვთვლით მისაღებად, გვსურს ვისარგებლოთ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებით: „განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილებს კაცსა ყოვლის მხრით, და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა, მისსა ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა არის ორპიროვანი იარაღი; შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმეზეც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე, ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე.

სწავლამ, განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენნი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა

[6] http://videochannel.iliauni.edu.ge

და ცხოვრებისაგან“ (ქადაგებანი, II, 1990, 402). ვფიქრობთ, ამ სიტყვებშია მოცემული ის მოდელი, რაც საქართველოს განათლების სისტემამ კარგად უნდა გაითავისოს.

საღმრთო სიბრძნემ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც უდიდეს სამსახურს უწევს ადამიანს. ბიბლიის მიხედვით, ჭეშმარიტების შემეცნებისთვის საჭიროა როგორც რაციონალური (ლოგიკური, ცდისეული), ასევე ირაციონალური (ინტუიციური, მისტიკური) გაგების, წვდომის, ჭვრეტის კულტურა. სარწმუნოებისა და მეცნიერების დაპირისპირება ნიშნავს შემეცნების საზღვრების შევიწროვებას, სამყაროს შესახებ არასრული, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნას. ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა გულისა და გონების ჰარმონიული მონაწილეობით შემეცნებისა და შემოქმედების პროცესში (პრეამბულა, 2012).

ის, რომ განათლება (ცოდნა, მეცნიერება) და რწმენა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და პირიქით აძლიერებს ერთურთს, აღნიშნულია მსოფლიოში ცნობილი მოაზროვნეების გამონათქვამებში. ასეთი გამონათქვამები მრავლად მოიძებნება ინტერნეტ-სივრცეში, ასე მაგალითად: ი. ვ. გოეთე წერდა: „როგორადაც არ უნდა მოინდომოს ადამიანმა, ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაშთოდ არ იყოფა, ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისათვის, რწმენისათვის“. მ. ებნერ-ეშენბახი ფიქრობდა, რომ: „მთელი ცოდნა იწყება ეჭვით და მთავრდება რწმენით“. ა. აინშტაინი წერდა: „მეცნიერება რელიგიის გარეშე ხეიბარია, ხოლო რელიგია მეცნიერების გარეშე - ბრმა“[7]. ცნობილი მკვლევარი მ. პლანკი წერდა: „მეცნიერება და რელიგია სინამდვილეში არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ნებისმიერი მოაზროვნე კაცისათვის ისინი აუცილებელია ერთმანეთის შესავსებად და გასაღრმავებლად“. დიდი მეცნიერი ა. ამპერი ახალბედებს ასწავლიდა: „უფრთხილდი მარტო მეცნიერების შესწავლას. ისწავლე გამოიკვლიე ქვეყნიერი; ეს ვალია მეცნიერის კაცისა; გარნა ხილულ ქვეყანას განიცდიდე ერთის თვალით, მეორე კი დაუცხრომელად მიაპყარ საუკუნო ნათელს. ერთის ხელით გამოიკვლიე ბუნე-

[7] www.goodreads.com/author/quotes/9810.Albert_Einstein

ბა, მეორით კი, როგორც ბავშვს მამის კალთა, გეპყრას ბოლო ღვთის სამოსელისა“ (ღირსი მამა ალექსი (შუშანია), 1999, 185).

განათლებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირის შესახებ მსჯელობისას საქართველოს პატრიარქი ილია II აღნიშნავს: „თავისთავად მეცნიერება ღვთისაგან ნაკურთხია. იგი ადამიანის ინტელექტის, ადამიანის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა. ამიტომაც მეცნიერების მონაპოვარი დალოცვილია და უნდა გამოიყენებოდეს პროვნების სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისთვის მხოლოდ და არა მის დასათრგუნად. ზოგჯერ ამბობენ: მეცნიერება და რწმენა ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო. არ არის სწორი. განა შეიძლება ისინი დაუპირისპირდნენ ურთიერთს, როდესაც ჩვენი ყოფის სულ სხვადასხვა სფეროებს მოიცავენ: რწმენა - სულიერს, მეცნიერება - მატერიალურს? ისინი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ და აუცილებელნი არიან პიროვნებისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისა და არსებობისათვის“ (საქართველოს დიდება, 2009, 67-68, 246).

აქვე გვსურს მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაჭის (წმიდა ილია მართალი) სიტყვა წარმოთქმული იმერეთის ეპისკოპოსის, წმიდა გაბრიელის (ქიქოძე) დაკრძალვაზე, სადაც მან აღნიშნა: „... ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

ბატონებო, ქვეყანა სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძენისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე ვერ ირწმუნებ და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც, საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალხილულია და გონებაგაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არა არის რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად (მოგეხსენებათ გაბრიელ ეპისკოპოსს გამოკვლევები ქონდა ფსიქოლოგიაში – ი.გ.). ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთის და ბუნების მეტყველნი“ (ქადაგებანი, I, 1990, 10).

სიბრძნე ზირაქისა გვასწავლის: „ყოველი სიბრძნე უფლის შიშია და ყოველ სიბრძნეში კანონის აღსრულებაა. ჭკუანაკლი, მაგრამ ღვთის მოშიში სჯობს დიდად გაბრძნობილს, მაგრამ სჯულის დამრღვევს“ (თ. 19-20). თავისი გონიერებით ცნობილი მეფე სოლომონი კი მიუთითებდა, რომ „უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი, გონიერება“ (იგავნი სოლომონისა, თ. 9; 10). დიდი ვაჟა ამბობდა, რომ „სარწმუნოება მე მესმის, როგორც შედეგი ადამიანის გონებრივის, სულიერის განვითარებისა და არა იმათი შუაზე გადალეწვა-გადამტვრევისა და დასახიჩრებისა“ (კვირის პალიტრა, კალენდარი, 14.07.2015).

მსჯელობის გაგრძელება გვსურს ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით. ბიბლიაში წერია, რომ „გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა“ (დაბ. 3; 1) (ბიბლია, 1989, 14). (ასევე სხვა თარგმანში მოცემულია, „ხოლო გველი იყო უგონიერესი ყველა მხეცს შორის ქვეყანაზე, რომლებიც შექმნა უფალმა“). გველმა იცოდა, თუ რა მოყვებოდა აკრძალული ხილის მიღებას (ე.ი. ძველ აღთქმაში ცბიერება, გონიერება იზომებოდა ცოდნის და ინფორმირებულობის შესაბამისად) და ღვთის შიშის გარეშე არსებულმა ასეთმა ცოდნამ, შეაცდინა ედემის მკვიდრნი და ღვთის წყევლის ტვირთით დააკარგვინა მათ უფლის სამყოფელი. დაიწყევლა ადამიც („მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. პიროფლიანი ჭამდე პურს...“ დაბ. 3; 17-19), ევაც („სატანჯველს გაგიმრავლებ...“ დაბ. 3;

16) და გველიც („მუცლით იხოხდე და მტვერი ჭამო მთელი სიცოცხლე...“ დაბ. 3; 14). ხაზგასასმელია, რომ უფლისგან დაიწყევლა არა-მარტო შემცდენელი (გველი), არამედ მისი დამჯერნიც, რომლებ-მაც უგულებელყვეს უფლის დარიგება.

შემდგომ, ახალ აღთქმაში გველი ასოცირდება სიბრძნესთან (საგულისხმოა, რომ გველი აღმოსავლეთშიც სიბრძნის სიმბოლო-დაა მიჩნეული). სასურველია გავიხსენოთ, რომ ძველ აღთქმაში მო-სეს მიერ გველის უდაბნოში ამაღლების ფაქტი მოხსენიებულია ახ-ალ აღთქმაშიც, რაც ძველი და ახალი აღთქმის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ხიდია. იოანეს სახარებაში წერია, „ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ არს ამაღლებაი ძისა კაცი-საი“ (იოანე, 3; 14).

ბოროტების სიმბოლოდან გველის სიბრძნის სიმბოლოდ მე-ტამორფოზას საუკეთესოდ ხსნის ბერი ეფრემ ფილოთეველი „და როგორც ყოველი, გველისაგან დაკბენილი, ძელზე ჩამოკიდებული რვალის გველის შეხედვისას იკურნებოდა, ასევე ქრისტიანიც, რო-მელსაც სწამს ქრისტესი, ისწრაფვის უფლის ცხოველსმყოფელი იარებისკენ, იღებს მის ხორცს და სვამს ყოვლადწმიდა სისხლს, ცოდვის - სულიერი გველის - ნაკბენისგან იკურნება. ამ ყოვლად-წმიდა საზრდოს მიღებით მას ეძლევა სიცოცხლე, რომ განახლდეს და ახალ ქმნილებად იქცეს“ (ბერი ეფრემ ფილოთეველი, 2012, 379). ამგვარად, უფლის შიშის გარეშე ბოროტებადქცეული ცოდნა უფლის რწმენით სუფთავდება და მისგან კურთხეული ხდება ახალ სიმაღლეებზე ასასვლელად, კერძოდ, **„აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა: იყვენით უკუე მეცნიერ, ვი-თარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათე, 10; 16).** ამ შემთხვევაში ცხვრის გადარჩენის შანსი ნულის ტოლფასია, თუმცა, უფალი მათ უვნებლად დარჩენას ჰპირდება. აქვე გვახსენდება ხი-ლული სასწაულიც, როდესაც წმიდა მამა შიო მღვიმელის ლოცვით მგელი ტყიდან მოვიდა და მონასტრის სახედრებს მწყემსავდა.

**„და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ**

**სული მამისა თქუენისაი, რომელი იტყოდის თქუენ შორის“** (მათე, 10; 19-20). ანალოგიური აზრია მოცემული წმიდა წერილებშიც, კერძოდ, „მიხარის უკუე თქუენთვის და მნებავს თქუენი, რაითა ბრძენ იყვნეთ კეთილისთვის და უმანკო – ბოროტისთვის“ (რომ. 16, 19), ასევე, „რამეთუ სიწრფოებითა და ჭეშმარიტებითა ღმრთისაითა და არა სიბრძნითა ხორციელითა, არამედ მადლითა ღმრთისაითა ვიქცეოდეთ სოფელსა შინა“ (II კორ.1; 12).

ვინაიდან, პავლე მოციქულის წერილის მიხედვით **„საიდუმლოსა მას ღმრთისასა და მამისასა და ქრისტესსა, რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი“** (კოლ. 2; 2-3), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რწმენისა და განათლების (ცოდნის) ერთიანობაში ყველა საიდუმლოს გასაღები ძევს, ამიტომ ასპარეზი ფართოა და როგორც მიუთითებს წმიდა იაკობ მოციქული **„ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი სიმშვიდითა სიბრძნისაითა“** (იაკ. 3; 13).

შემთხვევითი არც ისაა, რომ საქართველოს საპატრიარქოს ელექტრონულ გვერდზე არის სპეციალური ნაწილი „მეცნიერება და რელიგია“, სადაც ამ საკითხზე თავმოყრილია დიდი მოცულობის ინფორმაცია და მოცემულია მრავალი აღიარებული მეცნიერის შეხედულება (ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული ეკლესია განათლების მოწინააღმდეგე არასდროს ყოფილა და არც დღეს არის)[8]. „წმიდა ილია მართლის სიტყვებით, იდეალური მდგომარეობაა, როცა ადამიანს აქვს გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება. ცოდნა და რწმენა არ უპირისპირდება ერთმანეთს. მარტო ცოდნა რწმენის გარეშე ხშირად გამხდარა ამპარტავნების მიზეზი. რწმენაც საღმრთო ცოდნის გარეშე არაერთგზის გამხდარა ფანატიზმის მიზეზი. ძალზე საჭირო

[8]საქართველოს საპატრიარქო, მეცნიერება და რელიგია, https://orthodoxy.ge/metsniereba.htm

მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლა, მაგრამ ყველაფერს საფუძვლად მაცხოვნებელი რწმენა უნდა ედოს“[9].

ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნულის გამო, წერს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, რომ: „თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს... საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა“ (საქართველოს დიდება, 2009, 68-69).

## 2.2 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამართლიანობა კეთილდღეობის ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება*

კეთილდღეობის ეკონომიკის თეორია განიხილავს **ნორმატიულ საკითხებს.** მისი მიზანია არა იმის აღწერა, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, **არამედ იმის შეფასება თუ რამდენად კარგად მუშაობს ეს ეკონომიკა**. რა არის ნორმატიული დებულება? „ნორმატიული დებულებების შესაფასებლად არა მხოლოდ ფაქტებია საჭირო, არამედ გარკვეული ფასეულობითი ორიენტირებიც... ჩვენი პოზიტიური შეხედულებები სამყაროს მოწყობის შესახებ ჩვენსავე ნორმატიულ შეხედულებებზე მოქმედებს... ნორმატიუ-

[9]საქართველოს საპატრიარქო, მეცნიერება და რელიგია, https://orthodoxy.ge/metsniereba.htm

*მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2021). „ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანასწორობა კეთილდღეობის ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 46-50.

ლი დასკვნებისთვის საჭიროა როგორც პოზიტიური ანალიზი, ისე ფასეულობათა აწონ-დაწონა“ (მენქიუ, 2008, 29).

ეკონომისტები სამართლიანობის ან თანასწორობის ასახსნელად სხვადასხვა კონცეფციას იყენებენ. ჰორიზონტალური სამართლიანობა არის ერთნაირი ადამიანებისადმი ერთნაირი მოპყრობა. ვერტიკალური სამართლიანობა - სხვადასხვა ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობა, რათა შემცირდეს მათი განსხვავებული სასტარტო პირობები.

„ჰორიზონტალური სამართლიანობა გამორიცხავს რასობრივ და სქესობრივ დისკრიმინაციას იმ ადამიანთა შორის, რომელთა ეკონომიკური მახასიათებლები და ქცევა იდენტურია. ადამიანთა უმრავლესობა თვლის რომ ჰორიზონტალური სამართლიანობა მისაღებია და ძალიან ცოტა თვლის, რომ ღარიბებმა უნდა იშიმშილონ. თუმცა, როგორ გადანაწილდეს შემოსავალი ან რესურსები „მქონებელთა“ და „უქონელთა“ შორის, ვერტიკალური სამართლიანობის ხარისხის ასამაღლებლად - მსჯელობის საგანია“ (Begg et al., 1991, 258).

ისტორიიდან ცნობილია, რომ გაერთიანებულ სამეფოში 1978-79 წლებში მილიონერი 83% საგადასახადო განაკვეთს იხდიდა ყველა შემოსავალზე, გარდა პირველი 54000 გირვანქისა, 1993-94 წლებში კი - 40%-ს. 1990 წელს უმაღლესი საგადასახადო განაკვეთი ჰოლანდიაში იყო 60%, საფრანგეთში – 57%, გერმანიაში - 53%, იტალიასა და იაპონიაში - 50%. ევროპის ქვეყნებში დღეისათვის საშემოსავლო გადასახადი ძირითადად პროგრესულია[10] და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გადასახადებით ხასიათდება ფინეთი, სადაც საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური დონე 67%-ია, საბერძნეთში - 65,67%, ესტონეთში - 57,8%, დანიაში - 56% და სხვა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა წყაროში ოდნავ განსხვავებული რიცხვებია, რაც განპირობებულია ცალკეულ ქვეყნებში არსებული სპეციალური გადასახადების ერთიან მაჩვენებელში ასახვა/არასახვის შედეგად. მაგალითად, ჩეხეთში მაქსიმალური საშემოსავლო განაკვეთია

[10] https://en.wikipedia.org/wiki/Tax_rates_in_Europe

53,5% (მ.შ. 15% საშემოსავლო გადასახადი + 6,5% დასაქმებულის მიერ + 25% დამსაქმებლის მიერ (მ.შ. 2,3% ჯანდაცვა + 21,5% სოციალური უზრუნველყოფა + 1,2% დასაქმების პოლიტიკა) + 7% სოლიდარობის წვლილი (თუ წლიური შემოსავალი აღემატება 1 277 328 ჩეხურ კრონს)). ამგვარად, ყველა განვითარებულ ქვეყანაში საგადასახადო სისტემა არის პროგრესული, რაც მოქალაქეებს, არ უღვივებს სტიმულს მიიღონ ძალიან მაღალი შემოსავალი.

განვიხილოთ თანხვედრაშია თუ არა მართლმადიდებლური სწავლება კეთილდღეობის ეკონომიკის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამართლიანობის კონცეფციასთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მრავალი ეკონომისტი წერს გადასახადებისა და მართლმადიდებლური სწავლების პარალელებზე, კერძოდ, მართლმადიდებლური სწავლებით ძველ აღთქმაში არსებული რამდენიმე მეათედის გადახდის აუცილებლობის შესახებ დეტალურ ანალიზს გვაწვდის ნ. ჩიხლაძე (ჩიხლაძე, 2009). მ. მიქელაშვილს გაანალიზებული აქვს ძველ აღთქმაში არსებული საგადასახადო სისტემა (მიქელაშვილი, 2015) და საგადასახადო კულტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში (მიქელაშვილი, 2019).

რელიგიური ასპექტით, ეკონომიკის როგორც მთლიანის ფუნქციონირებაში გადასახადების მნიშვნელობაზე, მრავალი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი წერს, კერძოდ: ი. გოგორიშვილი (2015), ნ. გრძელიშვილი (2013), ნ. ნიკოლაიშვილი და ე. ბაბუნაშვილი (2015), ნ. ჩიხლაძე და პ. კოღუაშვილი (2013), გ. შიხაშვილი (2013), მ. ცეცხლაძე (2016), ი. ჭილაძე (2013).

უპირველეს ყოვლისა, უფალი ინდივიდებისგან მოითხოვს სამართლიან დამოკიდებულებას ყველასადმი, როცა გვარიგებს: „სამართალი და წყალობა და სარწმუნოება; ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არა დატევებად“ (მათე, 23; 23). „ნუ სჯით თუალთ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (იოანე, 7; 24). ასევე, უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ მათაც ვინც ჩვენს დაქვემდებარებაშია, ვინაიდან: „უფალი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4; 1). „მისცემდით უკუე ყოველთა

თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა - პატივი“ (რომ. 13; 7).

გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით უფალი მოგვიწოდებს მათეს (22; 22), მარკოზის (12; 17) და ლუკას სახარებით (20; 25).

პროპორციულობისადმი საუფლო მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია ქვრივის მიერ შეწირული ორი ლეპტის შემთხვევა, როცა ღარიბის მცირეოდენი შენაწირი უფლისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მდიდრებისგან შეწირული რაოდენობრივად გაცილებით დიდი თანხა (მარკ. 12, 42-44).

აღსანიშნავია, რომ ახალ აღთქმაში მეათედის შეწირვის ვალდებულება აღარაა. კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული წერს[11]: **„ვინაიდან, როცა არის გულმოდგინება, შეწირულობა მიიღება იმის მიხედვით, ვის რა აქვს, და არა იმისა, რაც არა აქვს. ისე ნუკი იქნება, რომ სხვებს ლხინი, ხოლო თქვენ - ჭირი, არამედ თანასწორობით იყოს. ამჟამად თქვენმა ნამეტმა შეავსოს მათი ნაკლულება, შემდეგ კი თქვენი ნაკლულება შეივსოს მათი ნამეტით, რათა არ დაირღვეს თანასწორობა. რადგანაც დაწერილია: „ვინც ბევრი შეაგროვა, არ მოსჭარბდა, და ვინც ცოტა, არ დააკლდა“** (II კორ. 8; 12-15). აქ ვერტიკალური თანასწორობის პრინციპი გამოიყენება, რაც გულისხმობს ინდივიდებისთვის სასტარტო პირობებში განსხვავების შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ საუფლო სწავლება უფრო შორს მიდის, ვიდრე მხოლოდ შემოსავლისა და გადასახადებისადმი დამოკიდებულება. აღნიშნულის გამო, მსჯელობა გვსურს განვაგრძოთ იაკობ მოციქულის წერილში აღწერილი მღვდელმსახურთა ქცევისადმი მოთხოვნის ანალიზით. აქ მოცემულია, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპის გამოყენება.

---

[11] შენიშვნა: ვინაიდან ძველი ქართულით გაცილებით რთული აღსაქმელია, ტექსტი მოცემულია ახალი ქართულით.
https://orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/2korintelta/2korintelta-8.htm

წმიდა წერილის ამ ნაწილში უფლის მსახურებისგან იესო ქრისტე მოითხოვს ტაძარში შემოსული მდიდრებისა და ღარიბებისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას, მათდამი ერთნაირი მონდომებით მსახურებას (იაკ. 2; 1-10). უფალი მსახურებს შეახსენებს, რომ სწორედ მდიდრები უჩივიან მათ სასამართლოებში, ხოლო ქონებრივი მდგომარეობის გამო, ადამიანებისდამი განსხვავებული დამოკიდებულება არღვევს საუფლო სწავლებას და ისინი მხილებულ იქნებიან.

რჯულის აღსრულებისას უფალი, ნაწილისა და მთლიანის დამოკიდებულებას, განსხვავებულ შინაარსს სძენს. რას ვგულისხმობთ ამაში? როცა უფალს ჰკითხეს თუ რომელი მცნება იყო უპირატესი, მან უპასუხა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაი. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე, 22; 37-40. ლუკა, 10; 27).

„თუ წერილის მიხედვით ასრულებთ სამეფო რჯულს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, კარგს შვრებით. **თუ გარეგნობის მიხედვით ასხვავებთ ხალხს, ცოდვას სჩადიხართ და მხილებულნი იქნებით რჯულის მიერ, როგორც დამრღვევნი. რადგან ვინც იცავს მთელ რჯულს და მხოლოდ ერთში სცოდავს, ყველაფერში შემცოდეა“** (იაკ. 2; 8-10).

იაკობ მოციქულის წერილში აღნიშნულია, რომ თუ ადამიანი მრუშობს და კაცს არ კლავს, ის მაინც არღვევს რჯულს მთლიანად და არა ერთ ნაწილში, ანუ ვითარცა წმიდა სამება - ერთი ნაწილი უტოლდება მთლიანს. ეს კი ძალიან საინტერესო და სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულებაა, რომელზე მსჯელობაც ნაშრომის ფორმატს სცილდება.

ამგვარად, კეთილდღეობის ეკონომიკის ფუნდამენტური ცნებები - ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამართლიანობა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს ადამიანებისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას, ხოლო მეორეში - შემოსავლების შესაბამისად

გადასახადების დაწესებასა და გადანაწილებას, სრულად თანხვედრაშია მართლმადიდებლურ სწავლებასთან.

## 2.3 გენდერული თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური სწავლების რაკურსით*

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი **„გენდერი“** (Gender), სქესის ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად გამოიყენება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში კონსტრუირებული სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მაჩვენებელი. გენდერი საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან (კიკნაძე და დონაძე, 2006, 3).

**„გენდერული თანასწორობის კონცეფცია ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში მამაკაცებს და ქალებს აქვთ თანაბარი უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები.** საქართველოს კულტურაში და ისტორიაში ქალი განიხილება როგორც ოჯახის სოციალური და კულტურული ღირებულებების დამცველი. ქალს უდიდესი მოწიწებით ექცევიან საქართველოში, რაც ცხადად ჩანს ისტორიულ ძეგლებში, ხელოვ-

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2016). გენდერული თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 38-43.

ნებაში, ლიტერატურაში და უმდიდრეს ქართულ პოეზიაში და ფოლკლორში. ამ ძეგლებში ქალი არ არის მხოლოდ ოჯახის დედა, ის გვევლინება აგრეთვე პოლიტიკოსად და სამშობლოს დამცველად“ (ბერიძე, 2003, 7). გავიხსენოთ „ქართვლის დედის“ ქანდაკება თბილისში, ერთ ხელში ფიალითა (მოყვრისთვის) და მეორეში – ხმლით, მტერთან დასახვედრად.

2010 წელს მიღებული „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებია: „უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას. ამ კანონის მიხედვით გენდერი არის სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე; გენდერული თანასწორობა კი არის ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (მუხლი 3)“. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ერთ-ერთი მიზანია, გაიზარდოს ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ ადგილობრივ დონეზე მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ თემის განვითარების პროცესში. გენდერული თანასწორობის მკვლევართა აზრით, „გენდერული თანასწორობა აღწერს თანასწორობას ქალთა და მამაკაცთა შორის - ზოგადად ან კონკრეტულ კონტექსტში“ (ლაჰოუსენი და ჟვანია, 2014, 13).

The Financial Times-ის 2018 წლის 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ტობიას ბაკის სტატია სათაურით „**გერმანელი დამსაქმებლები იძულებულნი არიან აღიარონ განსხვავებული შრომის ანაზღაურება გენდერულ საფუძველზე**“, სადაც ვკითხულობთ, „ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა გერმანიაში, რო-

მელსაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს, როცა საუბარია შრომის თანაბარ ანაზღაურებაზე. ევროკავშირის მონაცემებით გერმანელ ქალებს საშუალოდ 22%-ით ნაკლებს უხდიან, ვიდრე კაცებს, რაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი განსხვავებაა ესტონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის შემდგომ. შრომის ანაზღაურებაში განსხვავების საშუალო მაჩვენებელი 28 წევრ-სახელმწიფოში[12] არის 16 პროცენტი... ოჯახის საკითხების სამინისტრო ამტკიცებს, რომ დისკრიმინაცია და გამჭვირვალობის არარსებობა შრომის ანაზღაურებაში ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს, რის გამოსწორებასაც ეცდება ახალი კანონი... კანონი გადაიხადეთ გამჭვირვალედ (Entgelttransparengesets) ასახავს ევროკავშირის სხვა 11 წევრ-ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას" (სლოუმენი და სხვ., 2025, 466). ვფიქრობთ, სწორედ ასეთი ფაქტები გახდა გენდერული მოძრაობის დაწყების საფუძველი მსოფლიოში.

გენდერული თანასწორობის საკითხი განვიხილოთ მართლმადიდებლური სწავლების შუქზე. ძველი აღთქმის მიხედვით: „თქვა ღმერთმა: გავაჩინო კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" (დაბ. 1; 26-27). **„თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს"** (დაბ. 2; 18). „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაიძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული" (დაბ. 2; 21-23).

ახალი აღთქმის მიხედვით ნათლობა ქრისტეში ათანაბრებს მამაკაცსა და ქალს, კერძოდ: „რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მი-

---

[12] შენიშვნა: სტატია გამოქვეყნდა 2018 წელს, როდესაც ევროკავშირში 28 ქვეყანა იყო გაერთიანებული.

მართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ჰურიაება, არცა წარმართება: არა არს მონება, არცა აზნაურება; **არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუის მიერ**“ (გალ. 3; 28). აღსანიშნავია სხვა ადგილიც, სადაც უფალი მასთან ერთად მლოცველებს საკუთარ დედად და და-ძმად აღიარებს, კერძოდ: „და სხდა გარემო მისა ერი მრავალი; და ვითარცა ჰრქუეს მას: აჰა დედაი შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და გეძიებენ შენ, მიუგო იესუ და ჰრქუა: ვინ არს დედაი ჩემი ანუ ძმანი ჩემნი? და მიმოიხილა გარემო მისა მოწაფეთა თვისთა მსხდომარეთა და ჰრქუა: **აჰა დედაი ჩემი და ძმანი ჩემნი. რამეთუ რომელმან ყოს ნებაი ღმრთისაი, ესე არს ძმაი ჩემი და დაი ჩემი და დედაი ჩემი**“ (მარკ. 3; 32-35). ანალოგიურ აზრია გამოთქმული მათეს (13; 49-50) და ლუკას (8; 20-21) სახარებებშიც.

წმიდა წერილში აღნიშნულია უფლის ნება ნებისმიერი ასაკის მდედრობითი სქესის წარმომადგენელთან პატივისცემით მოპყრობის შესახებ, კერძოდ: „მოხუცებულთა დედათა – ვითარცა დედათა, ჭაბუკთა – ვითარცა დათა, ყოვლითა სიწმიდითა. ქურივთა პატივ-ეც, ჭეშმარიტად ქურივთა“ (I ტიმ. 5; 2-3).

ვფიქრობ, საინტერესოა განვიხილოთ, თუ როგორ ქცევას იწონებს უფალი მამაკაცისა და ქალის მხრიდან ოჯახურ ურთიერთობაში. უფალი მამაკაცებს მეუღლეების საკუთარი თავის მსგავსად შეყვარებას და თავგანწირვისადმი მზაობას ავალებს, კერძოდ: „ჰმადლობდით ყოვლადვე ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ღმერთსა და მამასა. დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ქრისტესითა. ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაი; არამედ ვითარცა ეკლესიაი დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი – თვისთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდედ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაი და თავი თვისი მისცა მისთვის“ (ეფეს. 5; 20-25). სხვაგან ვკითხულობთ, **„ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვი-**

**თარცა-იგი სათნო არს უფლისა“** (კოლ. 3; 18). „ესრეთ ჯერ-არს ქმართაი ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა ხორცთა თვისთაი, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თვისი, თავი თვისი უყუარს“ (ეფეს. 5; 28).

ამგვარად, მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით მამაკაცს საკუთარი თავის დარად უნდა უყვარდეს ცოლი, ქალს კი, უფლისთვის მოსაწონი მორჩილება მოეთხოვება და არა ინდივიდისთვის (მეუღლისთვის) მოსაწონი. მეუღლესთან დამოკიდებულებაზე წმიდა წერილებში წერია, რომ ქალს ქმარი არ უნდა გაუბრაზდეს, მოექცეს როგორც უნაზეს ჭურჭელს, კერძოდ, „ქმარნი ეგრეთვე თანა-მკვიდრ ეყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკვიდრთა მადლისა ცხორებისაითა, რაითა არა დაბრკოლდებოდიან ლოცვასა თქუენსა“ (I პეტრე 3; 7), „ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი და ნუ განჰმწარდებით მათა მიმართ“ (კოლ. 3; 19).

ქართველი ოდითგან აფასებდა კარგ კაცს, როცა ამბობდა „კაი კაცი ხის წვერზე დაარჩენს ქალსაო“, ასევე, „კაცის აშენებული ოჯახი ღმერთმა ვერ დააქცია, ღმერთის აშენებული ოჯახი კი ქალმა დააქციაო“ (სახოკია, 2012, 110, 127).

ზემოაღნიშნული სწავლების ფონზე საქართველოში არცთუ სახარბიელო სურათი გვაქვს ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიხედვით, რაც დღეისათვის ჩამოყალიბდა როგორც გენდერული სტატისტიკის ერთ-ერთი ქვემიმართულება (ჩარექიშვილი, 2015).

ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 2012 წელს მსხვერპლი იყო 308 ქალი, ხოლო 27 -კაცი. ეს მაჩვენებელი 2022 წელს იყო 202 ქალი და 17 კაცი (ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2023, 191). აღსანიშნავია, რომ მსხვერპლი ქალების რაოდენობა საანალიზო პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (მაგალითად 2014 წელს მსხვერპლი იყო 742 ქალი და 87 კაცი), რის შემცირებასაც 2022 წლისთვის, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო გამკაცრებულმა კანონმდებლობამ. ხაზგასასმელია, რომ ასაკობრივ სტრუქტურაში ორივე წელს ჭარბობენ 25-44 წლის მოქალაქეები.

საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების შედეგია, 2022 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში. აღსანიშნავია რომ 2024 წელს საქართველოში აღირიცხა 21653 ქორწინება და 13520 განქორწინება (62,4%)[13]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განქორწინებათა მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ოჯახებში ძალადობაა. თავის მხრივ, განქორწინებათა დიდი რიცხვი ხელს უშლის ერის გამრავლებას. ქალი, რომელსაც არ გაუმრთლა ქორწინებაში, იღებს სულიერ ტრავმას და უჭირს კვლავ ენდოს სხვა მამაკაცს, მითუმეტეს იყოლიოს შვილი.

დანგრეული ოჯახების დიდი რაოდენობა გახდა ქართველთა დემოგრაფიული პრობლემის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. ამ მძიმე ვითარებაში „2007 წლის ოქტომბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ მართლმადიდებლურ ოჯახში ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, პირადად მონათლავდა... ასეთმა დაპირებამ გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის კვლავწარმოებაზე“ (ჭანიძე, 2015, 165). 2025 წლის 13 ივლისს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, შედგა რიგით 72-ე ნათლობა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლულების რაოდენობამ 49 ათასს გადააჭარბა.

ვინაიდან სტატისტიკის მიხედვით მსხვერპლი ქალების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცების, პირველ რიგში მათზე ვიმსჯელებთ. ახალი აღთქმის მიხედვით უფალი ჩასაქოლად მიყვანილ მრუშ დედაკაცს (ეს წესი ძველ აღთქმაში იყო) გაუშვებს და ეტყვის რომ აღარ სცოდოს (იოანე, 8; 4-11). გავიხსენოთ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები: „ქალს განსაკუთრებით სჭირდება გონიერება და მხნეობა, შეიძლება უფრო მეტადაც კი, ვიდრე მამაკაცს. როგორც ვიცით, ქალი აგებულებით მამაკაცზე ბევრად უფრო სუსტია, ამიტომ ეს სისუსტე, რათა მამაკაცს ძალიან არ ჩამორჩეს, მან გონიერებითა და ხასიათის სიმტკიცით უნდა შეავსოს. მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში არ გახდება ის მამაკაცის ხელ-

[13] www.geostat.ge

ში სათამაშო“ (საქართველოს დიდება, 2009, 94). ასევე, „ქრისტიანობა ქალისგან გონიერებასა და მხნეობას მოითხოვს, იგი ვერ მოითმენს, რომ მას მამაკაცთან მონური დამოკიდებულება ჰქონდეს, როგორც ეს გაუნათლებელსა და უსჯულო ქვეყნებში ხდება, სადაც ქალი მხოლოდ მამაკაცის პირუტყვულ ვნებათა მსახურად ითვლება. ქრისტიანულ საზოგადოებაში ქალს დიდი პატივი და დანიშნულება აქვს, რადგან ღმერთმა იგი მრავალი განსხვავებული თვისებითა და ნიჭით შეამკო“ (საქართველოს დიდება, 2009, 94).

მსხვერპლი მამაკაცების საკითხთან დაკავშირებით, გვსურს გავიხსენოთ წმიდა მამების გამონათქვამები: „ბოროტ დედაკაცთან ერთად ცხოვრება დიდი უბედურება და მოუთმენელი განსაცდელია. დედაკაცის სიბოროტე ყოველივე სხვას იმიტომ აღემატება, რომ ღმერთმა ქალს ჩვილი გული და ლმობიერი ხასიათი მისცა, მაგრამ თუ ქალმა ეს ბუნებითი თვისება შეიცვალა და ბოროტი შეიქნა, მასზე უფრო საძაგელი არაფერია“ (წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი) (საქართველოს დიდება, 2009, 93). „ბუნებამ უთხრა ქალს: იყავ მშვენიერი, თუ შეგიძლია, ბრძენი, თუ გსურს, ოღონდ კეთილგონიერი კი აუცილებლად უნდა იყო“ (პ. ბომარშე) (სიბრძნის საუნჯე, 1987, 433). აგრეთვე სოლომონის იგავში ნათქვამია: „უბედურ ქვეყანაში ცხოვრება სჯობია ანჩხლ და ბრაზიან ცოლთან ყოფნას“ (იგავნი სოლომონისა, თ. 21; 19). ქართული ანდაზა კი ამბობს: „ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული ღმერთმა ვერ გააბედნიერაო“ (სახოკია, 2012, 227). ასეთი შემთხვევებისთვის საუფლო სწავლებით განსაზღვრულია: „ხოლო ცოლსა მას რაითა ეშინოდის ქმრისა“ (ეფეს. 5; 33).

თუ მეუღლეებს შორის სიყვარული სუფევს, მაშინ **„შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განდევნის შიში, რამეთუ შიშსა ტანჯვაი აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“** (I იოვანე, 4; 18). **ასევე, აღნიშნულია, რომ „სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არა უყვის; აღმასრულებელი შჯულისაი სიყუარული**

**არს“ (რომ. 13; 10).** სიყვარული კი წმიდა წერილში ასეა განმარტებული: „სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი. არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების, გინა თუ წინასწარმეტყუელებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი განქარდენ“ (I კორ. 13; 4-8).

აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ - **ოჯახში ძალადობა და კონფლიქტი სათავეს მართლმადიდებლური სარწმუნოების განდგომისგან იღებს.** „გუნდს ყოველთვის თავში ბელადი უდგას. ჩვენთვის აშკარაა თანხმობა ბუნების კანონებისა და საღვთო სჯულისა, რომელიც პირველობას მამაკაცს ანიჭებს: „რამეთუ ადამ პირველად დაიბადა და მერმე ევა“ (I ტიმ. 2; 13); „თავ დედაკაცისა – ქმარი... რამეთუ არა დაებადა მამკაცი დედაკაცისთვის, არამედ დედაკაცი მამაკაცისთვის“ (I კორ. 11; 3, 9)“ (არქიმანდრიტი ეპიფანე თეოდოროპულოსი) (კალანდაძე, 2007, 303).

**თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველობა პატივისცემასთან ერთად დიდ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, რასაც სამწუხაროდ ხშირად ივიწყებენ.** „ქრისტიანული ოჯახი დაფუძნებულია ერთობლივ საქმიანობაზე, პასუხისმგებლობაზე, „ურთიერთარს სიმძიმის“ ზიდვაზე... არ არის შემთხვევითი, რომ ქართულ ენაში სიტყვა „მეუღლე“ წარმოდგება „უღლისაგან“. უღელი ქართველი კაცისათვის დაკავშირებულია ხვნა-თესვასთან, მოსავლის აღებასთან, ანუ ოფლით და შრომით სარჩოს მოპოვებასთან... ამასთან, „უღლის გაწევა“ უფრო პროდუქტიულია თუ ის გათვლილია წყვილზე“ (ბაკურაძე, 2016, 27). ვფიქრობთ, საუკეთესო შეფასებაა მოცემული წმიდა იოანე ოქროპირის სწავლებაში „საქორწინო კავშირი არის არა მხოლოდ ფიზიკური ერთიანობა, არამედ ცოლ-ქმრის შინაგანი, სულიერი მთლიანობა, რაც აუცილებელია ურთიერთშემწეობისათვის მორალური სრულყოფილებისაკენ სწრაფვაში, ამიტომ ოჯახის ერთობა, ქორ-

წინებით დაკავშირებული და, ამგვარად, ღვთისგან ნაკურთხი, ადამიანთა ურთიერთობის საუკეთესო ფორმა იქნება, თუ თითოეულ პიროვნებას გაცნობიერებული ექნება ქორწინების ზნეობრივი მიზანი და ამ მიზნისკენ სწრაფვის აუცილებლობა“ (იოანე ოქროპირი, 2002, 15-16).

დღევანდელ ოჯახებში არსებული პრობლემების საფუძველს კარგად გვიხსნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის საშობაო ეპისტოლეში: „აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აქაც. სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ **თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია** (თავგანწირვა კი პირდაპირ მოითხოვება სახარებაში – ი.გ.), საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება. ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან. მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ. აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისაგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს“ (საშობაო ეპისტოლე, 2016). გავიხსენოთ, რომ როგორც ძველი, ასევე, ახალი აღთქმის ათი მცნებიდან მეხუთეა (ხოლო ადამიანებთან დამოკიდებულებაში - პირველი,

რაზეც ზემოთ ვიმსჯელეთ): **„პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა“.**

აღსანიშნავია, რომ უფალი ოთხთავის მრავალ ადგილზე ეწინააღმდეგება ცოლ-ქმრის განქორწინებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლური მოძღვრება ქალს გარკვეულწილად იცავს და მამაკაცს ავალებს მატერიალური კომპენსაცია მისცეს მეუღლეს, კერძოდ „თქუმულ არს, რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, მიეცინ მას განსატევებელი. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“ (მათე, 5; 31-32). ამგვარად, უფალმა იცის, რომ მეუღლეების დაშორების მიზეზები მრავალია და ისიც უწყის, რომ „განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყუარული მრავალთა“ (მათე, 24; 12), ამიტომ გვირჩევს - „ნუ მისცემთ სიწმიდეს ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მათე, 7; 6).

თუ ინდივიდს არ შეუძლია საოჯახო ტვირთის საკუთარ თავზე აღება, ასეთ შემთხვევაში უფალი ამბობს, „რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისაით საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის ცათაისა. რომელნი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ“ (მათე, 19; 12). ასევე, წმიდა წერილში პეტრე მოციქული წერს „იქორწინე თუ, არაი სცოდე; და თუ იქორწინოს ქალწული, არაი ცოდა“ (I კორ. 7; 28). „და რომელმან იქორწინოს თვისი იგი ქალწულებაი, კეთილად ჰყოფს. ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს“ (I კორ. 7; 38).

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ თუ ძველი აღთქმის მიხედვით ქალი – ევა შეცდა, ახალ აღთქმაში ქალი „უფლის მშობელი“ – ღმრთისმშობელი გახდა და გაღმერთდა (ზეცად თავად იესო ქრისტეს მიერ იქნა აყვანილი). ყოვლადწმიდა ღმრთისმ-

შობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. არ ვიცი როგორ ავხსნა ეს ფაქტი, მაგრამ ქართულ ხატწერაში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახე ყოველთვის შვილებზე მოფიქრალი დედაა, რასაც ვერ ვიტყვით რუსულ ხატებზე, სადაც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი უფრო მეტად ახალგაზრდა, უბიწო ქალწულის სახითაა დაწერილი.

ცნობილია, რომ საქართველოს განმანათლებელი ქალწული ნინო იყო, ასევე, წმიდა მეფე თამარი იწოდებოდა არა როგორც დედოფალი, არამედ – მეფე, რაც ადასტურებს, რომ სათანადო ქცევის პირობებში საქართველოში ქალს მამაკაცთან შედარებით არ აკნინებდნენ და ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ.

წმიდა ქეთევან დედოფლის (წმიდა ქეთევან წამებულის) თავგანწირვამ დიდწილად განაპირობა ქართველთა მართლმადიდებლობისადმი ერთგულება. გავიხსენოთ დიდი შოთას სიტყვები - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, ასევე, „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?“-ო. აქვე გავიხსენოთ ქართული ანდაზა - „ქალის პატივი ძაღლმაც იცისო“ ან იგივე შინაარსის „ქალს ძაღლიც არ დაჰყეფსო“ (სახოკია, 2012, 228-229). ქართულ ენაში აისახა ქალისადმი დიდი პატივისცემაც და მისი განსაკუთრებული როლიც, გავიხსენოთ შემდეგი სიტყვები „დედამიწა“, „დედასამშობლო“, „დედაქალაქი“, „დედა ენა“, „დედა ეკლესია“, „დედაბოძი“, „დედაკაცი“ და სხვა. ქართველი კაცისთვის დედის დაფიცება ხატზე დაფიცების ტოლფასი იყო და ბევრი შემთხვევა ვიცით, როცა დედის აუგად მოხსენებისთვის დავა მხარეთაგან ერთ-ერთის სიკვდილით დამთავრებულა. გ. ღავთაძე და დ. შავიანიძე (2020, 424) კითხვას სვამენ - „ქალის არატრადიციული ჯაფისთვის გამეტება ღმერთს მოეწონება? ქალს ხომ ქართველი ღვთის მსახურების საქმეში საჭიროს, თუმცა ელემენტარულს, ავალებდა? ქალს ხომ ქართველობა გარე, სხვადასხვა სამძიმო, მისთვის შეუსაბამო საქმით არ ტვირთავდა?!“ კარგად აღზრდილი ქართველი მამაკაცი ქალს, თუნდაც თავის ტოლს, გზას ყოველთვის მოწიწებით უთმობს. ქართულ ტრადიციულ ცეკვაში მამაკაცი ქალის კაბასაც კი არ უნდა შეეხოს.

ამგვარად, ტრადიციულად, ქალისადმი, დედისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ქალს აქვს უფლება ქორწინების შემდგომ ატაროს თავისი გვარი, საპენსიო ასაკი ქალბატონებისთვის 60 წელია, ხოლო მამაკაცებისთვის - 65, საერო დღესასწაულებს შორის 3 და 8 მარტს დაწესებული დღესასწაულები ქალბატონებს უკავშირდება, ამ მხრივ კი მამაკაცები თითქოსდა, დაჩაგრულები არიან.

## 2.4 ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სწავლების შუქზე*

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებისადმი ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ყველა სახეობის სტრატეგიასა თუ პოლიტიკას, ეკონომიკის მდგრადი განვითარებაა. მდგრადი განვითარებისათვის მოძრაობის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო 1987 წელს გაერო-ს გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მოხსენების - „ჩვენი საერთო მომავალი“ - გამოქვეყნებით. ნაშრომმა მწვავედ დააყენა განვითარების პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვის საკითხი როგორც განვითარებად, ისე ინდუსტრიულ ქვეყნებში. მთავარი დასკვნა ისაა, რომ „გარემოსა“ და „განვითარების“ ჩვენი გაგება ინტეგრირებული უნდა იყოს, რათა დამკვიდრდეს „მდგრადი განვითარება“, რაც თავის მხრივ გულისხმობს **„თანამედროვეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებთან კომპრომი-**

*მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2015). ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 31-35.

**სის გათვალისწინებით“** (საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის).

ევროპაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღეს პირველი კანონი ველური ბუნების დასაცავად. საქართველოში ბუნების დაცვის აუცილებლობის იდეა უძველეს წარსულში ჩაისახა. მაგალითად, თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია „ტყის მცველნი“, ხოლო უფრო ადრეულ სიგელში (1078 წ) დასახელებულნი არიან „ტყის მცველთუხუცესნი“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, XVIII ს) ვკითხულობთ: „აგრეთვე იყოს სანადიროთა ტყეთა და მინდორთა უფროსი კაცი, სამეფო სანადიროები ამას ებაროს, უამისოდ ვერვინ ინადირებდეს იქი“. ამასთან, ფრინველთა და პირუტყვთა გამრავლების ჟამს აკრძალული იყო ნადირობა (ქსე, 1981). 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველომ იკისრა ვალდებულება ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მიღებულ იქნა 1996 წელს.

აღიარებული მეცნიერების მიერ მდგრადი განვითარების პრობლემისადმი განსაკუთრებული მიდგომა დასტურდება იმითაც, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის მკვლევრებმა 2011-2012 წლების ანგარიშში დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას გრძელვადიან პერიოდში, რის გამოც შეიმუშავეს **მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი** (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კონტექსტებით). **მდგრადი კონკურენტუნარიანობა (sustainable competitiveness) განისაზღვრება, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს ქვეყნის მწარმოებლურობას იმ პირობით, რომ მომავალმა თაობამ აგრეთვე შეძლოს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება** (WEF, GCR, 51-74)[14]. სხვა სიტყვებით რომ აღვწეროთ, ინდექსი მოიცავდა ისეთ ელემენტებს, რომლე-

[14] https://www3.weforum.org/docs/WEF_GCR_Report_2011-12.pdf

ბიც უფრო მყარ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვის მიმართულებით.

თანამედროვე პირობებში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს სუსტი და ძლიერი მდგრადობის შესახებ. განიხილება ორი მოდელი. სუსტი მდგრადობა გულისხმობს ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკური და ეკოლოგიის სფეროების თანაკვეთას, რომელიც საკმაოდ მცირე ფართობია. ძლიერი მდგრადობის პირობებში კი, ეკონომიკის სფერო მოთავსებულია სოციალურ-პოლიტიკურში და ეს ორივე სფერო წარმოადგენს ეკოლოგიის სფეროს შემადგენელ კომპონენტს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძლიერი მდგრადობა ცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში.

1995 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აღნიშნა, „თუ სულიერებისა და ინტელექტუალური აზროვნების წარმომადგენლები ერთმანეთს არ დაუახლოვდებიან, მსოფლიო დადგება გაუთვალისწინებელი, საბედისწერო კატაკლიზმების წინაშე“. და ვიცით, რომ მართლაც 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი სწორედ ზემოგებაზე გამოდევნებული ინდივიდების საქმიანობის შედეგი იყო, რომ არაფერი ვთქვათ გარემოზე მიყენებული ზიანის შედეგად გამოწვეულ კატასტროფებზე. „XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ჩამოყალიბდა „მომხმარებელთა საზოგადოების“, „საყოველთაო სიუხვის საზოგადოების“, „ერთგანზომილებიანი ადამიანის“ და სხვა თეორიები. ამ თეორიების თანახმად, თანამედროვე სოციალურ საზოგადოებაში ადამიანებს სამომხმარებლო სტანდარტებით ცხოვრების გარდა, სხვა არჩევანი არ გააჩნია“ (მექვაბიშვილი, 2016, 91).

ამ მოვლენებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოეხმაურა. მაგალითად, ევროკავშირის საწარმოებისა და მრეწველობის გენერალურმა დირექტორატმა ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იდეას მრავალი დოკუმენტით უპასუხა. როგორც ამ ორგანიზაციის ვებ-გვერდზეა აღნიშნული,

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (კსპ) ეხება კომპანიებს აიღონ პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის საზოგადოებაზე ზეგავლენისთვის.

კსპ მნიშვნელოვანია საწარმოების კონკურანტუნარიანობისთვის. მას შეუძლია სარგებლის მოტანა რისკის მენეჯმენტის, დანახარჯების შემცირების, მომხმარებლებთან ურთიერთობების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და ინოვაციურობის მიმართულებით. დირექტორატმა და სხვა ორგანიზაციებმა მიიღეს მრავალი დოკუმენტი, მათ შორისაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეგზურები, ბიზნესისა და ადამიანთა უფლებების პრინციპები, ISO 26000[15], ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მეგზური მრავალეროვნული საწარმოებისთვის და სხვა.

შექმნილია უამრავი ქსელი, რომლებიც ცდილობენ მდგრადობის იდეები დაამკვიდრონ საზოგადოებაში, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სტრუქტურებში.

აქტიურად განიხილება 1994 წელს ჯონ ელკინგტონის მიერ შემოთავაზებული „**3 P“ (Profit, People, Planet)** მოგება, ადამიანები, პლანეტა, მოდელი – რომლის მიზანია დროის გარკვეულ პერიოდში შეფასდეს კორპორაციის მიღწევები ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით.

**თუ დავაკვირდებით, ხაზი: მოგება, ადამიანები, პლანეტა, აბსოლუტურად თავსებადია ძლიერი მდგრადობის მოდელთან (ეკონომიკა, სოციალური-პოლიტიკური გარემო, ეკოლოგია) და აღწერს ძლიერი მდგრადობისკენ მიმავალ გზას.**

საქართველოს პატრიარქი ილია II აღნიშნავს: „ვფიქრობ, როგორც ეკლესიას, ისე სახელმწიფოს ერთი მიზანი აქვს: ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხების სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას“. „ქრისტიანობამ უშუალოდ ადამიანის გულს მიმართა და იგი ისეთ სულიერ და ზნეობრივ სიმაღლეზე აიყვანა, რომლის მსგავსი ძველ რელიგიებს და ფილოსოფიას ვერც კი წარმოედგინა“. განვიხილოთ, როგორ უწყობს ხელს მართლმადიდებლური

[15] https://www.iso.org/iso-26000-social-responsibility.html

სწავლება და წმიდა მამათა მოსაზრებები ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

**პირველი კომპონენტი – მოგება (ეკონომიკის სფერო):**

ეკონომიკაში განსაკუთრებით მაღალი მოგების მიღება ხშირად გადასახადის დაფარვას, ტყუილს, მოპარვას, მშრომელებისათვის დაბალი ანაზღაურების გაცემას უკავშირდება. ასეთ ქცევას უფალი არავის უწონებს და გვასწავლის „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა - ხარკი, საზუერესა - ზუერი, საშინელსა - შიში, პატივსა - პატივი“ (რომ. 13; 7). მათეს სახარების მიხედვით (10; 10) იესო აგზავნის რა მოწაფეებს ხალხის განსაკურნებლად, არიგებს მათ, რომ არაფერი იქონიონ თან, რადგან შრომისათვის „მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“. ასევე ლუკას სახარებაშიც (10; 7) აღნიშნულია, რომ „მუშა ღირსია თავისი საზღაურისა“.

ფარისეველთა შეკითხვაზე - უნდა გადაუხადონ თუ არა კეისარს ხარკი, მათეს (22; 22), მარკოზის (12; 17) და ლუკას სახარებიდან (20; 25) ვიგებთ, რომ: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“. ამით  გადასახადების გადახდის აუცილებლობაზე მიუთითებს მაცხოვარი; იოანე ნათლისმცემელი მებაჟეებსა და სამხედროებს არიგებს, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებენ“. აქვე უნდა გავიხსენოთ უფლის მე-8 მცნება - „არ იპარო“, ასევე, მე-9 მცნება: „არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა“.

**მეორე კომპონენტი - ხალხი (სოციალურ-პოლიტიკური გარემო):**

წმიდა წერილი ადამიანებს შრომის აუცილებლობაზე მიუთითებს, „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (II თეს. 3; 10). ხაზგასმულია თანამშრომლებთან და ქვეშევრდომებთან სამართლიანად მოქცევის შესახებაც: „სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4; 1).

გავიხსენოთ უფლის სიტყვები, რომლითაც ძველი აღთქმის 10 მცნება 2 მცნებამდე დაიყვანა და სჯულის აღსრულება უფლის სიყვარულითა და შემდგომ, მოყვასის სიყვარულით განმარტა (ე.ი.

ზრუნვა ხალხზე): „ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

- ესე არს დიდი და პირველი მცნებაი.

- და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

- ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე, 22; 37-40).

პავლე მოციქული კიდევ უფრო შორს მიდის და წერს: „ყოველი შჯული ერთითა სიტყუითა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (გალ. 5; 14).

**მესამე კომპონენტი – პლანეტა (ეკოლოგია)**.

ერთი მხრივ, დედამიწა ყველა ჩვენთაგანის სახლია, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მასშტაბები ძალიან გაზრდილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საზღვრებში ვერ ექცევა და ეკოლოგიური პრობლემების საერთაშორისო ძალისხმევით გადაჭრას უკავშირდება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ქარხნებიდან გამონაბოლქვი გოლფსტრიმის დინებას ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიაქვს და სკანდინავიის ქვეყნების ტყეებზე აფრქვევს. ანალოგიურია მდინარეების დაბინძურება ერთი ქვეყნის მოსახლეობის მიერ და სხვა ქვეყნების მოსახლეობაზე დაბინძურებული წყლის მავნე ზემოქმედება. ამგვარი პრობლემების გადაჭრა ზემოაღწერილი ორი: ეკონომიკისა და სოციალურ-პოლიტიკური სფეროების პრობლემების (ანუ კომპონენტების: მოგება-ხალხი) რეალურად გათავისებითაა შესაძლებელი და მიღწევადი.

ედემის ბაღის მოვლა დაავალა უფალმა ადამს. „მიწა გახდა და არის საშუალება მოთმინების სწავლების, ღვთის აღთქმის შეგრძნების, ღმერთზე სასოების დამყარების. მიწა ჩვენი გამოხსნის, გადარჩენის გასაღებია, გზა-ბილიკია. მიწა მარადიულ, უბერებელ ღირებულებათა სალარო-საცავია“ (აბბა ალავერდელი დავითი (მახარაძე), 2015, 13). ვაზის მოვლასა და ვენახის გაშენებას,

როგორც საქმიანობას ისე აღწერს უფალი (მარკ. 12; 1-11). უფალი იოანეს სახარებაში (იოანე, 15; 1) თავის თავს ვენახს უწოდებს, ხოლო მევენახეს მამას, ადამიანებს კი რტოებს „მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაი ძალგიც ყოფად არცა ერთი“ (იოანე, 15; 5-7). „ვენახი, ვაზი საქართველოში გაიგივებულია სამოთხეს დანერგულ სიცოცხლის ხესთან, კეთილისა და ბოროტის შეცნობასთან. ალბათ, ამიტომაც, ჩვენი წინაპრების გაგებით, ბოგანო და უსამშობლო იყო კაცი, რომელსაც ვენახი არ ჰქონდა“ (აბბა ალავერდელი დავითი (მახარაძე), 2015, 16).

უფლის სისხლი და ხორცი, რითაც მორწმუნე მრევლი ეზიარება, მიიღება ღვინისა და პურისგან. აღსანიშნავია, ისიც რომ როგორც ღვინის დაყენებას, ასევე ხორბლის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას საქართველოში უძველესი, 8000 წლიანი ისტორია აქვს.

ძველი ქართული მხედრული წესის მიხედვით, ქართველი მეომარი უთანასწორო ბრძოლაში შესვლამდე ზურგზე ვაზის კალამს იკიდებდა, რადგან სწამდა, რომ თუ თანამოძმეები ვერ დაკრძალავდნენ, მაშინ თავისი ცხედრით გაანაყოფიერებდა მიწას. 3 წლის მერე აყვავებული ვენახი ქვრივ-ობლებს ნიშანს მისცემდა, „აქ ვართ არსად წავსულვართო და თქვენთან ვბრუნდებით სისხლად და ხორცად, ღვინის სულად და მარადისობის უძლეველობადო“ (ეს ტრადიცია ასახულია ქართულ მხატვრულ ფილმში „ბაში-აჩუკი“. ქართველი მორაგბეების სპორტული მაისურის ზურგის ნაწილში დატანილი ვაზის გამოსახულებაც ამავე ტრადიციას უკავშირდება).

აქ ჩანს ქართველი ადამიანის ცოდნა იმის შესახებ, რომ უფალმა კაცი მიწისგან შექმნა და მეომარი არამარტო სულით მაღლდებოდა ზეცამდე, არამედ ხორცითაც.

ერთი წმიდა მამის გამონათქვამია - ადამიანი ხით (ვაშლით) ცდუნდა და ხით (ჯვრით) დაუბრუნდა უფალს. ქართველებზე კი შეგვიძლია ასეთი პერიფრაზი ჩამოვაყალიბოთ: ვაზის ჯვრით გა-

ნათლდა, უფლის სისხლით (ღვინით) ეზიარა (ომში წასვლამდე საყოველთაო აღსარება-ზიარების ტრადიცია არსებობდა) და ვაზით განსხეულდა მარადისობაში (ბრძოლოს ველზე დაღუპული მებრძოლის გარდაცვალების ადგილზე თუ ვაზი აღმოცენდებოდა).

აღსანიშნავია ახალი აღთქმით ძველი აღთქმისეული მსხვერპლშეწირვის გაუქმებაც, რითაც შინაური ცხოველების უფლისათვის შეწირვაც აღარ არის აუცილებელი. „არა შევიწირავ სახლისა შენისაგან ვაცთა; რამეთუ ჩემი არს ყოველი მხეცი ველისაი, ნადირი მთათაი და ყოველი პირუტყვ. ვიცნი მე ყოველნი მფრინველნი ცისანი, და შუენიერებაი ველთაი ჩემ თანა არს“ (ფს. 49).

აღნიშნულს შეიძლება დავამატოთ ისიც, რომ მარხვები მართლმადიდებელთათვის ემთხვევა სწორედ ცხოველთა გამრავლების პერიოდს, რაც მათი რაოდენობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. წმიდა ნიკოლოზ სერბის მოსაზრებით: „ადამიანები, რომლებიც ბუნებას მონად აქცევენ, თვითონ ხდებიან მისი მტერნი და ჯალათნი. ბალკანეთზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნების პატივისცემა და გულმოწყალება. ჯერ კიდევ არსებობს ჩვევა: თუ გლეხს ხის მოჭრა, ბალახის მოთიბვა ანდა საქონლის დაკვლა სურს, იგი პირჯვარს იწერს და ამბობს: შემინდე ღმერთო!

ხალხები, რომლებიც ბუნებას სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ, საკუთარ თავზე უამრავ უბედურებას მოიწევდნენ და მოიწევენ; რამეთუ ის, ვინც ბუნებასთან მშვიდობიან ურთიერთობას დაარღვევს, უცილობლად არღვევს აგრეთვე კეთილ დამოკიდებულებას ღმერთთან“. გავიხსენოთ საქართველოს პატრიარქის ილია II-ის კურთხევა ხეების დარგვის შესახებ, რასაც იგი მუდმივად მოუწოდებს ერს.

კოვიდპანდემიამ დიდი გამოწვევები შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას, დაარღვია არსებული მიწოდების ჯაჭვები და სასურსათო უსაფრთხოების წინაშე დააყენა მრავალი ქვეყნის მოსახლეობა. „ამ პრობლემის მოგვარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ზოგადად საეკლესიო ეკონომიკის, კერძოდ, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას საერო ეკონომიკას-

თან სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე“ (დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი), 2013, 13). „საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საქართველოს თვითმყოფადობის დამკვიდრებაში. ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა საიმედო გზაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, სიღარიბის დაძლევისათვის, სამუშაო ადგილების დამკვიდრებისათვის და ა.შ.“ (ხარაიშვილი, 2019,141).

გარემოს დაბინძურების და არაგანახლებადი რესურსების უკონტროლო გამოყენებამ და ნარჩენების დიდმა მოცულობამ, მსოფლიო დააფიქრა წარმოების წესის შეცვლაზე, კერძოდ სწორხაზოვანი ეკონომიკის ნაცვლად დაინიცირდა წრიული ეკონომიკა.

წრიული ეკონომიკა ერთ-ერთი თანამედროვე აღდგენადი სისტემაა, რომელშიც როგორც  რესურსები, ისე ნარჩენები მინიმიზებულია. წრიული ეკონომიკის მთავარი კონცეფცია მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. გამოყოფენ წრიული ეკონომიკის 5 ბიზნეს-მოდელს: შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადააკეთე, აღადგინე და განაახლე (Shields, 2019). ჩვენი აზრით, ვინც კი ერთხელ მაინც ყოფილა მონასტრის სტუმარი რამდენიმე დღით, უდავოდ შეამჩნევდა, რომ მათ სამონასტრო მეურნეობა აწყობილი აქვთ ნარჩენების მინიმიზაციისა და ყველა რესურსის მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებაზე.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით გადარჩა უნიკალური ქართული მცენარეების ჯიშები. საქართველოს პარტრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის კურთხევით 2011 წლიდან გამოდის მრავალტომეული „ჩვენი ღირსებანი“, რომელიც ეძღვნება საქართველოს „სულიერი, ეროვნული და მატერიალური ფასეულობების“ (ჩვენი ღირსებანი, 2011, 1) აღწერას. მათში სხვათა გვერდით მოთხრობილია საქართველოს ფლორისა და ფაუნის იმ უნიკალური მრავალფეროვნების შესახებ, რითაც ჩვენს ქვეყანას მსოფლიო საგანძურში შეაქვს წვლილი. ამ ნაბიჯით საქართველოს პატრიარქი ცდილობს ჩვენ კიდევ ერ-

თხელ დაგვაფიქროს გლობალურად, ლოკალური უნიკალურობის გათვალისწინებით.

ასეთი სწავლებით მართლმადიდებლობა დიდად უწყობს ხელს ადამიანის გარემოსადმი კეთილგონივრული ურთიერთობის ფორმირებას და მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტას.

კიევ-პეჩერის ლავრის მღვდელ-მონაზონ ვლადიმერის აზრით „ბუნების კეთილისმყოფელი მოვლენები გვიხსნის და ასაზრდოვებს სიყვარულს და მადლიერების გრძნობას ღვთისადმი; მრისხანე მოვლენები შიშსა და კრძალვას აღგვიძრავს მისდამი; მშვიდი მოვლენები – სიმშვიდეს, მღელვარე მოვლენები გულის შემუსვრილებასა და ლოცვით განწყობას აღძრავს; ამაღლებული და გულისშემძვრელი მოვლენები ჩვენში ადამიანური უძლურებისა და სისუსტის გრძნობას შობს, ამიტომ აღძრავს მორჩილების გრძნობას, წარმოშობს სამყაროს შემოქმედისადმი რწმენასა და სასოებას“ (ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, 2007, 81).

საქართველოს პატრიარქი აღნიშნავს: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში, ერისა და ეკლესიის ერთიანობაშია სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის წყარო, და მხოლოდ ასეთ ერთიანობას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი დიდი მომავალი“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ 2004, 39). როდესაც ქვეყნის ეკლესიის საჭეთმპყრობელი ასე ფიქრობს, იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებლობას აღიარებს, თითოული მოქალაქის მიერ ზემოაღწერილი მიდგომის ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალურად გათავისება უდიდესი ეფექტის მქონე აღმოჩნდება რაც, ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი მდგრადობის მიღწევის საწინდარი გახდება.

## 2.5 მართლმადიდებლური სარწმუნოება – საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი*

თანამედროვე პირობებში მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ გარკვეულწილად შეცვალა ქვეყნების ეკონომიკის შეფასების მაჩვენებლები და კრიტერიუმები. ციფრული ტრანსფორმაციიის პროცესი იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ აღიარებულ კვლევით ინსტიტუტებს უჭირთ უნივერსილური, გრძელვადიანი შეფასების მაჩვენებლების შემოღება.

ნაციონალური კონკურენტუნარიანობის კვლევები ყველაზე ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა **მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმსა** (The World Economic Forum) და **მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტში (**IMD, WCC**).**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი  არის საერთაშორისო, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია საიმისოდ, რომ გლობალური, რეგიონული და დარგობრივი პროგრამების ფორმირებით, გააუმჯობესოს მსოფლიო სიტუაცია პროცესებში ბიზნესლიდერების, პოლიტიკური, სამეცნიერო და საზოგადოების სხვა ხელმძღვანელების ჩართვით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პროფ. კ. შვაბის ხელმძღვანელობით აქვეყნებდა მრავალი სახეობის ანგარიშს, რომელთა შორის იყო გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშებში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მკვლევრები მიუთითებდნენ, რომ **„გლობალური კონკურენტუნარიანობა ესაა ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში უზრუნველყოფს მწარმოებლურობის განსაზღვრულ დონეს.** მწარმოებლურობის დონე, თავის მხრივ, განაპირობებს კეთილდღეობის მდგრა-

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 55-64.

დობას, რასაც ეკონომიკა ქმნის საკუთარი მოსახლეობისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, მეტად ზრუნავს ჰქონდეს მაღალი შემოსავლები თავისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ“ (WEF, GCR, 43-63)[16].

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. პორტერი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევის წარმართვის დროს, თავის ცნობილ ნაშრომში - „ერების კონკურენციული უპირატესობები“ წერდა: „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს მისი ორგანიზაციის მოდელისა და მართვის პრაქტიკის შეერთების შედეგს, რომელიც უფრო მეტადაა მისაღები კონკრეტული ქვეყნისთვის და მოცემული დარგის კონკურენციული უპირატესობის წყაროებისთვის. **განსხვავებებს ეროვნულ ფასეულობებში, კულტურაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, არსებულ ორგანიზაციებსა და ისტორიულ განვითარებაში - შეაქვს წვლილი წარმატებული კონკურენციული უპირატესობების მოსაპოვებლად“ (**Портер, 2002, 162**).**

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი გ. მენქიუ წერს: „ჩვენი პოზიტიური შეხედულებები სამყაროს მოწყობის შესახებ ჩვენსავე ნორმატიულ შეხედულებებზე მოქმედებს. ნორმატიული დებულებების შესაფასებლად არა მხოლოდ ფაქტებია საჭირო, არამედ გარკვეული ფასეულობითი ორიენტირებიც“ (მენქიუ, 2008, 29). ამგვარად, ეროვნულ ფასეულობებს, რელიგიასა და კულტურას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ეს დიდი მეცნიერები ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური კურსისა და შედეგად, მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრში (WCC, www.imd.org) მსოფლიო კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევენ საუკეთესო ეკონომიკური შედეგების მქონე 60-ზე მეტი ქვეყნის მასშტაბით ამზადებდნენ. პროფ. ს. გარელის (რომელიც 20

[16]https://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2008-09.pdf

წელზე მეტი ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ცენტრს) განმარტებით: **„კონკურენტუნარიანობა არის ის, თუ როგორ აღწევს ერი მართოს თავისი რესურსები და კომპეტენციები საიმისოდ, რომ აამაღლოს ხალხის კეთილდღეობა.** კონკურენტუნარიანობა შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. მოკლევადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას (ფასდება მშპ-ის ზრდით) და საწარმოთა მომგებიანობას. გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდაზე მეტს, რაც გამოიხატება საერთო წარმატებაში (კეთილდღეობაში, აყვავებაში). არასპეციალისტის გაგებით ეს შეიძლება იყოს: ეკონომიკურ ზრდას დამატებული „კიდევ რაიმე". და ეს „რაიმე" შესაძლებელია იყოს ცხოვრების ხარისხი, გარემოს დაცვა, დაცული საზოგადოება, სამართლის გავრცობადობა, განათლების ხარისხი და ა. შ". იმავე ავტორის სხვა სტატიაში მოცემულია აღნიშნული ცნების უფრო ფართო განმარტება: **„კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური თეორიის სფერო, რომელიც აანალიზებს ფაქტებსა და ეკონომიკურ კურსს, რაც ქვეყანას უქმნის შესაძლებლობას შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებს შექმნან მეტი ღირებულება და ამაღლდეს ხალხის კეთილდღეობა".**

**ს. გარელიმ** ჩამოაყალიბა **ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ოქროს 10 წესი**, რომელთაგან ერთ-ერთში მიუთითებს, რომ კონკურენტუნარიანობის მისაღწევად **„აწონდაწონეთ გლობალიზაციის უპირატესობები და ქვეყნის სოციალური ერთობისა და მისი ღირებულებითი სისტემის შენახვის მოთხოვნები".**

ლოზანის საერთაშორისო მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტის, მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრში, მისი დაარსებიდან დრემდე არ შეწყვეტილა ამ თემატიკის წელიწდეულების (ანგარიშების) მომზადება. 2025 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშმა მოიცვა 69 ქვეყანა. ამ ინდექსში 341[17] კრიტერიუმი გაერთიანებულია ფაქტორთა ოთხ ძირითად

[17] methodology-in-a-nutshell

ჯგუფში, ესენია: **1)ეკონომიკის მიღწევები**; **2)მთავრობის ეფექტიანობა**; **3)ბიზნესის ეფექტიანობა**; **4)ინფრასტრუქტურა.**[18] სტატისტიკური მონაცემები შეადგენს მაჩვენებელთა საერთო რაოდენობის 2/3-ს, ხოლო 1/3 არის ინტერვიუებისა და გამოკითხვის შედეგად მიღებული მასალები.

ბიზნესის ეფექტიანობის განმსაზღვრელ ხუთ ქვეფაქტორს შორის არის **„დამოკიდებულებები და ფასეულობები“**, რომელიც თავის მხრივ ფასდება შვიდი მაჩვენებლით. სათაურში მოცემული აზრის განმარტების მიზნით გვსურს ამ შვიდი მაჩვენებლის განხილვა მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, კერძოდ:

**1**. **გლობალიზაციის მიმართ დამოკიდებულება** (აღნიშნული მაჩვენებელი ითვლება ქვეყნისთვის სასარგებლოდ თუ საზოგადოებაში გლობალიზაციის მიმართ  დამოკიდებულება ზოგადად პოზიტიურია). ამ ფაქტორის მიმართ საქართველოში დადებით დამოკიდებულებას ადასტურებს ის, რომ საქართველოს დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი, ახალციხე, ონი და სხვა) ერთად თავმოყრილი მართლმადიდებლური, იუდეური, მაჰმადიანური, კათოლიკური თუ სომხურ-გრიგორიანული ტაძრები მშვიდობიანად თანაარსებობენ. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 26 საუკუნის მანძილზე არასოდეს დაფიქსირებულა ქართველ და ებრაელ მოსახლეობას შორის ანტისემიტური განწყობის შემთხვევა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ქვეყნებზე.

წმიდა მოციქულთა საქმეებში აღწერილია შემთხვევა, როცა მოციქულ პეტრეს წინაცვეთილნი თავს არიდებდნენ, ვინაიდან იგი წინადაუცვეთელებთან ქადაგებდა და ურთიერთობდა. მაშინ წმიდა მოციქული ეუბნება მათ: „მე ვიყავ ქალაქსა შინა იოპესა და ვილოცევდ რა, ვიხილე განკვირვებასა ჩემსა ჩუენებაი, რამეთუ გარდამოვიდოდა ჭურჭელი რაიმე, ვითარცა ტილოი დიდი, ოთხთაგან კიდეთა დამოკიდებული ზეცით, და მოვიდა ვიდრე ჩემდამდე, რომელსა მივხედენ და გავიცდიდი, და ვიხილე მას შინა ოთხფეხი ქუეყანისა და მხეცნი და ქუეწარმავალნი და მფრინველნი ცისანი, და

[18] Methodology WCR 2025 - IMD business school for management and leadership courses

მესმა ხმაი, რომელი მეტყოდა მე: აღდეგ, პეტრე, დაკალ და ჭამე. და მე ვთქუ: ნუ იყოფინ უფალო, რამეთუ ბილწი რაივე გინა არაწმიდაი არასადა შესრულ არს პირსა ჩემსა. მომიგო მე ხმამან მან მეორედ ზეცით: რომელი ღმერთმან წმიდა ყო, შენ ნუ ბილწ გიჩნ. ესე იყო სამ გზის და კუალად აღმაღლდა ყოველი იგი ზეცად“ (საქმე, 11; 5-10). წმიდა წერილის ეს ადგილი მორწმუნეებს საყოველთაო ტოლერანტობისკენ მოუწოდებს, რაც ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას უწყობს ხელს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევართაგან ურთიერთობებში უფალი სიყვარულის უმაღლეს გამოვლინებას ითხოვს, როცა არიგებს მათ: „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა. აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“ (ლუკა, 6; 27-28), რაც ალბათ საკმაოდ ძნელი აღსასრულებელია დღევანდელ, სირთულეებით გაჯერებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გარემოში. აღსანიშნავია ისიც, რომ მიტევების შემთხვევაში უფალი გვპირდება, რომ თავად შეჰკრებს ნაღვერდალს მტრის თავზე.

**2. ქვეყნის იმიჯი საზღვარგარეთ** (უცხოეთში შენი ქვეყნის იმიჯი ხელს არ უშლის ბიზნესის განვითარებას). განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ხელს უწყობენ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოსთვის დადებითი იმიჯის ფორმირებას. მეორე მხრივ, სამწუხარო მაგალითებიც გვაქვს, როცა საქართველოს მოქალაქეები ხშირად არიან უცხო ქვეყნების საპატიმროებში ან იძულებით დეპორტაციას ექვემდებარებიან. ეს არასასურველი მოვლენები სწორედ უფლისგან განდგომის შედეგად ვითარდება, როცა ადამიანი გაურბის წესიერ შრომას და არაწესიერი, იოლი გზით ცდილობს ლელოს გატანას. აქ ერთადერთი გამოსავალი, ვფიქრობთ, სარწმუნოებით ცხოვრების დაწყებაშია, ვინაიდან უფალი მიგვითითებს: „განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ“ (კოლ. 3; 9).

**3. ეროვნული კულტურა** (ეროვნული კულტურა გახსნილია უცხოური სიახლეებისათვის). კულტურა, ანუ ცივილიზაცია, ფართო ეთნოგრაფიული აზრით, შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგე-

ნების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებათა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევებისაგან, რომლებიც აითვისა ადამიანმა, როგორც საზოგადოების წევრმა (ე. ბ. ტაილორი). „კულტურა არის ჩვეულება, რომ კმაყოფილებას გგვრიდეს ყველაზე უკეთესი რამ და თან იცოდე, თუ რატომ“ (ჰენრი ვან დაიკი) (სიბრძნის საუნჯე, 1987, 164). საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II წერს: „კულტურა არის მუდმივი მზადყოფნა სხვისთვის სიხარულის მისანიჭებლად, ზრუნვა მომავლისთვის, ახალგაზრდებისა და საერთოდ ადამიანისათვის. ღვთივმინიჭებული უნარისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის, მოყვასში და საკუთარ თავში შემოქმედებითი ძალისა და მრავალმხრივი ტალანტის აღმოჩენისა და გამომზეურებისთვის. ჭეშმარიტი კულტურა არის ისეთი რამ, რაც აახლოებს ერებს. იგი უმტკივნეულოა და სხვა ქვეყნის კულტურას არ შეურაცხყოფს. პირიქით, უფრო ამდიდრებს მას. არც შეიძლება, რომ რომელიმე კულტურა ჩაიკეტოს საკუთარ თავში, თავის ნაჭუჭში. დიდი შეცდომაა, რომელიმე ქვეყანამ ჩათვალოს, რომ მისი კულტურა სრულიად საკმარისია“ (ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, 2007, 192-193). თვითმყოფადი ეროვნული კულტურების გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნჯე და პირიქით, საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო. ვფიქრობთ, ყოველივე აღნიშნული საუკეთესოდ მიუთითებს, რომ ეროვნული კულტურა საქართველოში გახსნილია უცხოური სიახლეებისათვის.

ქართულ ენაში სიტყვა „საუცხოო“, საუკეთესოს შინაარსით იხმარება და იმაზე მიუთითებს, რომ ქართველს უცხოსთვის საუკეთესო ემეტება, რაც ზოგადად ეროვნული კულტურის გახსნილობაზე მიუთითებს. საქვეყნოდ განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობის სულისჩამდგმელი მართლმადიდებლური სარწმუნოებაა, ვინაიდან ის ასწავლის: „პატივისცემასა ურთიერთასა უსწრობდით; სტუმრისმოყუარებასა შეუდეგით; გიხაროდენ მოხარულთა თანა და ტიროდეთ მტირალთა თანა. უკუეთუ შესაძლებელ არს თქუენ მიერ, ყოველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდით“ (რომ. 12; 10-

18). ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული ადგილი სახარებიდან თუ წმიდა წერილიდან, ასევე, ციტირებული გამონათქვამები ღიად მიუთითებს ქართული ეროვნული კულტურის უცხოური სიახლეების მიმართ გახსნილობაზე.

უნიკალური ახსნაა გაცხადებული უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში, სადაც აღნიშნულია: „ახალმა აღთქმამ განაცხადა საოცარი რამ, - „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, 4; 8). ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერცერთმა რელიგიამ. ქრისტემდეც და შემდგომაც ადამის მოდგმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხონების ერთადერთ გზას გაუკვალავდა. „შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოანე, 13; 34); „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის“ (იოანე, 15; 13), - ბრძანებს იესო. ქრისტიანობამ აბსოლუტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა, - მისი ერის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი! „მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეციერისა“ (მათე, 5; 44-45). ეს არის მანამდე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანამდე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა“. ასეთი შეფასების შემდგომ, ვფიქრობთ სიტყვები უძლურია იმის გადმოსაცემად, თუ რამდენად ღრმაა ქრისტიანობაში მოყვასისა და მტრისადმი დამოკიდებულება.

**4. მოქნილობა და შემგუებლობა** (ხალხის მოქნილობა და შეგუებულობა ახალი გამოწვევების წინაშე მაღალია). „ქართული კულტურა კროსკულტურულ ველშია მოქცეული. ქართული პოლიტიკური ერთეულები რადიკალურად განსხვავებული (როგორც

თვისებრივად, ისე განვითარების დონის თვალსაზრისით) კულტურების მქონე სახელმწიფოთა თითქმის პერმანენტული პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის ობიექტს წარმოადგენდა. ასეთ პირობებში ბიოლოგიურ არსებობასთან ერთად, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ამოცანა ნებსით თუ უნებლიედ განსაზღვრავს, ერთის მხრივ, მოულოდნელად თავსმოხვეული მკვეთრი სიახლეებისადმი სწრაფად და ადეკვატურად რეაგირებისა და შეგუების უნარის განვითარებას, მეორე მხრივ კი – ერთგვარი კულტურულ-ღირებულებითი იმუნიტეტის გამომუშავებას; ამის შედეგად შეგუება ძირითადად გარეგნულ, არასიღრმისეულ ხასიათს ატარებს და არ ნიშნავს თავსმოხვეული სიტუაციის მიღებას, მის მიერ ნაკარნახები ყოფითი წესებისა თუ ღირებულებების აღიარება-შეთვისებას. პირიქით იგი ბაზირებულია არასასურველი გარემოს სიტუაციურ არაკანონზომიერ მოვლენად აღქმაზე. ამგვარ შეგუებას თან ახლავს შეუვალობა (ტრადიციულ-ღირებულებათა პრიზმაში გატარების შედეგად) თვითმყოფადი კულტურისათვის მიუღებლად მიჩნეული მოვლენების მიმართ“ (დურგლიშვილი, 1997, 9-10). შედეგად კი, საუკუნეების მანძილზე ქართველებში განვითარდა მოქნილობისა და შემგუებლობის უნარი.

აღნიშნულს გვინდა დავამატოთ ადგილი სახარებიდან, სადაც უფალი ასტიმულირებს მოქნილობის განვითარებას მორწმუნე ინდივიდში. „და აქო უფალმან მნე იგი სიცრუისაი, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ ძენი ამა სოფლისანი უგონიერეს არიან უფროის ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა. და მე გეტყვ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაისა მისგან სიცრუვისა, რაითა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ საყოფელთა“ (ლუკა, 16; 8-9). აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ აღნიშნულის შემავსებელი სხვა დარიგებაც: „ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ. ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა განეშორენით“ (I თეს. 5; 21-22).

**5. ეკონომიკური და სოციალური რეფორმების საჭიროება.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე ვნახულობთ, რომ მრავალი რეფორმისა და ინ-

დექსის მიხედვით საქართველო საკმაოდ გამორჩეულ ადგილს იკავებს. ეს ვერ მიიღწეოდა, თუ ეკონომიკური და სოციალური რეფორმების საჭიროება თითოეული მოქალაქისთვის კარგად გასაგები და მისაღები არ იქნებოდა.

**6. ფასეულობების სისტემა** (ფასეულობების სისტემა ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობას). აღნიშნული მაჩვენებლის შესახებ ვრცლად უკვე ვიმსჯელეთ ეკონომიკის პრინციპების მართლმადიდებლური ასპექტით განხილვისას. სადაც კარგად გამოჩნდა, რომ უფალი მორწმუნეებისგან უფლისა და ერთმანეთის მიმართ სიყვარულს ითხოვს. ეს განწყობა ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებასა და პატივისცემას აყალიბებს. საბოლოო ანგარიშით კი, ეს განსაკუთრებული ერთობა, როგორც ცალკეულ ინდივიდებს შორის, ასევე მთლიანად ქვეყანაში, ხელს უწყობს მაღალი ეკონომიკური შედეგების მიღწევას. გავიხსენოთ, რომ თამარ მეფის ოქროს ხანას საქართველოში გრიგოლ ხანძთელის სულიერი ღვაწლის ეპოქა უძღოდა წინ.

**7. კორპორაციის ფასეულობები** (კორპორაციის ფასეულობები დასაქმებულის ფასეულობებს ითვალისწინებს). ამ მაჩვენებლის გარშემო დეტალურად ქვემოთ ვიმსჯლებთ, მაგრამ შევეცდებით სხვა საკითხები წამოვწიოთ წინ.

მართლმადიდებლურ სწავლებასთან კავშირის უფრო ნათლად ახსნის მიზნით მოვახდენთ გ. მენქიუს ციტირებას: „სხვა დარგის მეცნიერების მსგავსად, ეკონომისტებიც ახალი სფეროების ძიებაში არიან და მუდამ ახალ-ახალი მოვლენების ახსნას ცდილობენ“ (მენქიუ, 2008, 461). ერთ-ერთი ასეთი სფეროა ასიმეტრიული ინფორმაცია, რომლის შესწავლას ეკონომისტები დიდ დროს უთმობენ. 2001 წელს ნობელის პრემია სწორედ ამ სფეროში შექმნილი ნაშრომის ავტორებს: ჯორჯ აკერლოფს, მაიკლ სპენსსა და ჯოზეფ სტიგლიცს გადაეცათ. ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში დგება მორალური საფრთხის პრობლემა, „როცა აგენტი რაიმე დავალებას ასრულებს ხელმძღვანელისთვის. თუ ხელმძღვანელი ვერ ახერხებს აგენტისთვის თვალყურის დევნებას, ეს უკანასკნელი საქმისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მორა-

ლური საფრთხე გულისხმობს რისკის ფაქტორს, აგენტის მხრიდან შეუსაბამო ან „ამორალურ“ ქცევას. მუშისთვის ნაკლები კონტროლი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების ცდუნებაა. იქ, სადაც საკუთრება და კონტროლი განცალკევებულია, როგორც ეს დიდი კორპორაციების უმრავლესობაში ხდება, გარდაუვალია აქციონერებისა და მენეჯერების ინტერესთა შეჯახება. ასე რომ, მორალური საფრთხის პრობლემა აქტუალური რჩება“ (მენქიუ, 2008, 462, 264).

აღსანიშნავია, რომ გ. მენქიუს მიერ აღწერილი მორალური საფრთხის პრობლემის გადაწყვეტა აღწერილია მათესა და მარკოზის სახარებებში, სადაც უმეთვალყურეოდ დატოვებული საქმის მიმართ მღვიძარე დამოკიდებულების გამოვლენის აუცილებლობაზეა მითითებული, კერძოდ: „ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თვისი და მისცის მონათა თვისთა ხელმწიფებაი და კაცად-კაცადსა საქმე თვისი და მეკარესა ამცნის, რაითა მღვიძარე იყოს. იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს-იგი უფალი სახლისაი მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუა ღამეს ანუ ქათმისა ხმობასა ანუ განთიად; ნუუკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი. ხოლო რომელსა-ესე გეტყვ თქუენ, ყოველთა ვეტყვ: მღვიძარე იყვენით“ (მარკ. 13; 34-37; მათე, 24; 42-51). უფალმა იცის, რომ ადამიანებს უგულისყურობა სჩვევიათ ამიტომ, უფლის წყალობის მოსაპოვებლად გვეუბნება, რომ ხშირად თავი უნდა ვაიძულოთ უფრო მეტის საკეთებლად, „რამეთუ დღითგან იოვანე ნათლისმცემელისაით ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაი იიძულების, და რომელნი აიძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მათე, 11; 12). უნდა გავიხსენოთ ასევე: „და ვითარცა იგი თქუენ გნებავს, რაითა გიყონ კაცთა, თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ“ (ლუკა, 6; 31) და რომ „სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!“ (მათე, 9; 29)

ყოველივე ზემოაღნიშნულს თუ იმას დავამატებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებლობას აღიარებს, მაშინ თითოული მოქალაქისთვის ამ სწავლების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალურად გათავისება უდიდესი ეფექ-

ტის მქონე აღმოჩნდება როგორც ქვეყნისთვის, ასევე თითოეული მოქალაქისთვის „რამეთუ ღმრთის მოყუარეთა ყოველივე განემარ-ჯუების კეთილად“ (რომ. 8; 28). აღნიშნული კი მეტყველებს მარ-თლმადიდებლური სარწმუნოების, როგორც საქართველოს ეკონ-ომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ერთ-ერთი რეალური ფაქტორის დიდ როლზე.

# თავი 3. ბიზნესის მართვის ზოგიერთი საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით

## 3.1 შიდასაფირმო შრომითი ურთიერთობები და მართლმადიდებლური სწავლება*

საზოგადოებრივი განვითარება მარტო ცალკეული პიროვნებებისა და ხელისუფლების ძალისხმევით ან კარგად ჩამოყალიბებული კონცეფციის საფუძველზე არ ხდება. განვითარებისთვის ყველაზე მთავარი მაინც თეორიული ცოდნის, სტრატეგიების, პოლიტიკური ნების ხორცშესხმა, რეალურად განხორციელება და მისი პრაქტიკად გადაქცევის უნარია.

საბაზრო ეკონომიკა, რომელიც საქართველოს რეალობაში ბოლო სამ ათეულ წელზე მეტია მკვიდრდება, იყო და რჩება საქმიანობისა და ურთიერთობის უმკაცრეს, ზოგჯერ სისასტიკემდე მისულ სისტემად. მაგრამ იგი, სხვა სისტემებთან შედარებით, გაცილებით მოქნილი და ეფექტიანია. სწორედ თავისი შედეგიანობით არის იგი მიმზიდველი შრომისმოყვარე, ენერგიული, ჭკვიანი და ინიციატივიანი ადამიანებისათვის. ასეთ პიროვნებებს ყოველთვის სჭირდებათ თვითრეალიზაციისა და ცხოვრებაში დამკვიდრების სივრცე და პირობები. და თუ ასეთი პირობები ვერ მიიღეს, მათი ენერგიისა და ნიჭის დადებითი მუხტი შეიძლება იქცეს ბოროტების წყაროდ.

„ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა დაუწესა. ადამიანმა თავისი თავისუფალი ნება, შემოქმედებითი უნარის საშუალებით უნდა გამოხატოს შრომით, ხოლო შედეგად მიიღოს თავისი შრომის კეთილი ნაყოფი, რაც ცათა სასუფეველში  დამკვიდრების ერთ-ერთი წინაპირობაა“ (ბერიძე და შიხაშვილი, 2016, 35). „არაერთი მოსაზრება არსებობს

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 42-54.

იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაში განსაკუთრებულად დიდი როლს ასრულებს შრომისადმი ადამიანთა გულმოდგინე დამოკიდებულება, ამ ღირებულებას (ფასეულობას) კი სხვა ფაქტორებთან ერთად აყალიბებს სარწმუნოება და მისგან მომდინარე ეთიკური ნორმები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები“ (პაპაჩაშვილი, 2013, 86).

თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ირგვლივ ბევრია უქნარა, ფუქსავატი, ყბედი და შურიანი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მოკლას ნებისმიერი საღი აზრი, ჩაახშოს სხვათა ენერგია და კეთილი მისწრაფებები. სწორედ ამის გამოა, რომ სახარება გვასწავლის: „განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყუარული მრავალთა“ (მათე, 24; 12). აღნიშნულის გამო, უფალი ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას მიგვითითებს: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მათე, 7; 6).

ერთ-ერთი პირველი ქართველი ბიზნესმენი და დიდი მეცენატი დ. სარაჯიშვილი წუხდა: „ვაგლახ ქართველობა ხელის გამოღებას ხელის გაშვერას ამჯობინებს და ვაითუ, დადგეს დრო, სხვისი ქველმოქმედების იმედიღა დარჩესო“ (დურგლიშვილი, 1997, 4-5). სამწუხაროდ ეს გამონათქვამი დღესაც ძალიან აქტუალურია, არადა წმიდა წერილი მიგვითითებს, „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (II თეს. 3; 10).

საზოგადოდ, ნებისმიერი კულტურა - ეროვნული, ბიუროკრატიული ან ორგანიზაციული - ძალასა და ენერგიას იძენს თავისი ისტორიის, გეოგრაფიის, ტექნოლოგიისა და ფილოსოფიის თავისებურებებიდან. არ არსებობს ორი მსგავსი ორგანიზაციული კულტურა, ისე, როგორც არ არსებობს ორი მსგავსი ეროვნული კულტურა (ბურჯალიანი, 2004). ამის გამო, ცნობილი ექსპერტები მიუთითებენ, რომ ნებისმიერი მოდელი ცალკეულ ქვეყანაში განიცდის ცვლილებებს ეროვნულ ნიშან-თვისებათა და ტრადიციებიდან გამომდინარე.

სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ „შრომითი კმაყოფილება სამუშაოსთან დაკავშირებული მოლოდი-

ნისა და რეალური სამუშაოს ურთიერთმიმართების ფუნქციაა“ (ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, 1999, 42). ე.ი. სასურველ გარემოში ადამიანთა შრომის შედეგები გაცილებით მაღალია, ვიდრე იქ, სადაც შრომითი ურთიერთობების განმსაზღვრელი საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობები სათანადო დონეზე არ მოქმედებს.

ჩვენში, სამწუხაროდ, მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც რეალური ცოდნისა და შესაძლებლობების მიუხედავად მხოლოდ პირველობას ჩემულობენ. ასეთი კადრების მართვა კი დიდ სირთულეებს უკავშირდება. ამას ემატება ისიც, რომ პირადი ნაცნობობის ინსტიტუტი ძლიერადაა ფესვგადგმული ქართველთა ცნობიერებაში, რაც დადებით მომენტებთან ერთად, გარკვეულწილად აფერხებს შრომით ურთიერთობებში სამართლიანობის, ობიექტურობისა და ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების დამკვიდრებას. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ბატონ ვ. პაპავას, როდესაც ის წერს „პოსტსაქმოსნის მეწარმით ჩანაცვლება საკმაოდ რთული პრობლემაა და ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს“ (პაპავა, 2020, 51). აღწერილ სიტუაციას ამძაფრებს ის, რომ ინდივიდთა უმრავლესობაში სასურველი თანაფარდობით არ არის განვითარებული „უფლებებისა და მოვალეობების“ გრძნობა. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებრივ ურთიერთობებში აშკარად დომინირებს მხოლოდ „უფლებებზე“ აქცენტის გაკეთება და მოვალეობები ნაკლებად გვახსოვს. მოვალეობები ქვეყნის, საკუთარი ოჯახის წევრთა, საზოგადოებისა და შრომითი კოლექტივის წევრთა წინაშე. ამ გრძნობის ნაკლებობა უპასუხისმგებლო საქციელის, არასათანადო, დაუდევარი მოქმედებებისა და მიღებული არასასურველი შედეგების საფუძველია, ქვეყნის, ოჯახების, ინდივიდებისა და საკუთარი შრომითი კარიერის დონეზე.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის უმოკლეს გზად ქართველი ხალხის დედაეკლესიის წიაღში დაბრუნება მიგვაჩნია, ვინაიდან იქაა რელიგიასა და საღ აზრს შორის ჰარმონიულად ორმხრივი და ურთიერთშემავსებელი დამოკიდებულება. აქვე მივუთითებთ, რომ ძალიან ხშირად ის პოსტულატები, რომლებიც დიდ მიღწევებადაა

ჩათვლილი მართვის თანამედროვე მეთოდებისთვის, კარგად დავიწყებული ძველია ქრისტიანული ფილოსოფიის მქონე ინდივიდისთვის.

აღნიშნულის გამო, შენობის აგება სახურავიდან რომ არ გამოგვივიდეს, ვფიქრობთ, ის საფუძველი, რომელზეც უნდა აიგოს შრომითი (და არა მარტო შრომითი) ურთიერთობები საქართველოში, არის „გააზრებული სარწმუნოება“. აქ ვგულისხმობთ სარწმუნოებას არა ფარისევლურად, არა გარეგნულად და მხოლოდ სხვათათვის შესამჩნევად, არამედ საქმით, ვინაიდან „სარწმუნოება, უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო. რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2; 17; 26).

ქვემოთ შევეცდებით, გამოთქმული აზრის შესაბამისად, პარალელურად მოვიყვანოთ ადგილები სახარებიდან, რითაც გვსურს ვაჩვენოთ მართლმადიდებლური ცნობიერების საუკეთესო შესაბამისობა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმატებული შიდასაფირმო ურთიერთობების ფორმირების პროცესთან.

თანამედროვე პერიოდში საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე განაპირობებს სამუშაო ძალის დიდ არჩევანს და სამსახურის დაკარგვის შიშის ქვეშ მყოფი, დაქირავებული პერსონალის მართვის გარკვეულწილად სიმარტივეს. აღნიშნული მდგომარეობა უახლოეს მომავალში შეიცვლება და ფართო საზოგადოებისათვის დღის წესრიგში დადგება კარგი სპეციალისტების სწორად შერჩევისა და მათი „დამაგრების“ პრობლემა. დაკვირვებათა შედეგები ცხადჰყოფს, რომ იმ სფეროებშიც კი, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, წარმატებას დიდად განაპირობებს ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობები.

სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯიმ კოლინზმა და მისმა თანამოაზრეებმა ჩაატარეს ხუთწლიანი ფუნდამენტური კვლევა იმის გასარკვევად, თუ რა გზით შეიძლება გახდეს კარგი ორგანიზაცია საუკეთესო. საწყის ეტაპზე მეცნიერებმა კვლევის ობიექტად XX საუკუნის 500 მოწინავე ორგანიზაციიდან ამოარჩიეს რამდენიმე მათგანი. მათ შორის ის 11 კომპანია, რომლებიც 15

წლის განმავლობაში სტაბილურად მზარდი განვითარების ტემპით გამოირჩეოდა და შეძლო გამხდარიყო საუკეთესო (თხუთმეტწლიანი ინტერვალის შერჩევა კი, იმით იყო გამოწვეული, რომ გამართლების ფაქტორი გამოერიცხათ). ერთ დროს კრიზისში მყოფმა ამ ორგანიზაციებმა 15 წლის შემდეგ შეძლეს ის, რომ მათი აქციების ღირებულებამ 3-ჯერ გადააჭარბა ყველა დარგში არსებული აქციების საშუალო ღირებულებას. კვლევის მიზანი აღნიშნული 11 ორგანიზაციის ასეთი წარმატებული კარიერის მიზეზების გამოვლენა იყო.

მკვლევრებმა შედარებისთვის შეარჩიეს დაახლოებით ამდენივე კომპანია, რომლებიც ერთ დროს ბრწყინავდნენ თავისი წარმატებებით, ხოლო შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო, მათი განვითარების ტემპები მკვეთრად შემცირდა. ზოგიერთმა მათგანმა კი საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

აღნიშნული ორი სახეობის ფირმების მოღვაწეობის შესახებ მოპოვებული მონაცემების ანალიზმა მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ წარმატებულ ორგანიზაციებს სრულიად განსხვავებული თვისებებისა და უნარების მქონე ადამიანები მართავდნენ (ბურჯალიანი, 2004).

„მეხუთე დონე“ - ეს ტერმინი კოლინზის ჯგუფის მიერაა მოფიქრებული და, რასაკვირველია, თავისი ახსნაც მოეძებნება. საქმე ისაა, რომ მკვლევარებმა შემოიტანეს მართვის სხვადასხვა უნარის მქონე ადამიანების ცნება და ხუთ სხვადასხვა დონეში გააერთიანეს. მართვის ყველაზე გამორჩეული და მაღალი უნარების მქონე ხელმძღვანელს კი მეხუთე დონის მენეჯერი უწოდეს. ასეთები იყვნენ: დარვინ სმიტი (კომპანია Kimberly-Clark), კოლმან მოკლერი (კომპანია Gillette) და სხვები.

მორიდებული, მოკრძალებული, ნაკლებადპრეტენზიული, უჩინარი, დაბალი მოთხოვნილებების მქონე (გავიხსენოთ: „ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკა, 16; 15)), ერთი შეხედვით სუსტი, ამასთან საჭიროების შემთხვევაში გაბედული, საკუთარი ორგანიზაციისთვის თავგანწირული, შინაგანად ძლიერი, მტკიცე ნებისყო-

ფის, შრომისმოყვარე – ასე დაახასიათა მკვლევართა ჯგუფმა მართვის უმაღლესი  უნარების მქონე ადამიანი და მას უმაღლესი ტიტული – მეხუთე დონის მენეჯერი მიანიჭა (გავიხსენოთ სახარებიდან - „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (მათე, 22; 39, ლუკა, 10; 27) „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის კეთილი“ (ლუკა, 6; 45. მათე 7; 17).

კიდევ ერთიც: მეხუთე დონის მენეჯერები, განსხვავებით სხვებისგან, ცდილობენ, რომ მათი წარმატება სხვა ადამიანებს ან ფაქტორებს მიაწერონ. თუკი ასეთს ვერ პოულობენ, მაშინ ისინი ყველაფერს იღბალს აბრალებენ. საპირისპირო ხდება, როდესაც საქმე პასუხისმგებლობას ეხება, ისინი ყოველთვის საკუთარ თავში ეძებენ პრობლემებს და არასოდეს ცდილობენ, რომ ყველაფერი უიღბლობას ან სხვებს გადააბრალონ (გავიხსენოთ სახარებიდან: „აღმოიღე პირველად დვირე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (ლუკა, 6; 42) „სამართალი და წყალობა და სარწმუნოება; ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არა დატევებად“ (მათე, 23; 23), „ნუ სჯით თუალთ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (იოანე, 7; 24).

როგორც ჩანს, მეხუთე დონის მენეჯერები დაჯილდოებულნი არიან **ორი ძირითადი თვისებით**: **1) პროფესიული თავდადება**, რომელიც მათ უბიძგებს შექმნან საუკეთესო ორგანიზაცია და მიაღწიონ გამორჩეულ შედეგებს, მშვიდად აუღელვებლად გადალახონ დაბრკოლებები, უზრუნველყონ კომპანიაში უმაღლესი სტანდარტების არსებობა, მტკიცედ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე წარუმატებლობის შემთხვევაში. ასეთი შემთხვევებისთვის წმიდა მოციქული პავლე გვარიგებს: „აღიღეთ ყოვლად საჭურველი იგი ღმრთისა, რაითა შეუძლოთ წინა-დადგომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსავე იქმოდეთ, რაითა სდგეთ. მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვ იგი სიმართლისა. ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად; და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისა, რომელ არს სიტყუა ღმრთისა“ (ეფეს.

6; 13-14; 16-17; I თეს. 5; 8-9), „ესე უწყით, რამეთუ ღმრთის მოყუარეთა ყოველივე განემარჯვების კეთილად...“ (რომ. 8; 28).

**2) თავმდაბლობა,** რომელიც მათ უბიძგებს დარჩნენ შეუმჩნეველნი, მშვიდად აკეთონ თავიანთი საქმე, ყოველთვის ცდილობენ, რომ სხვას ან სხვა რამეებს მიაწერონ წარმატება. ვფიქრობთ, სასარგებლოა შევადაროთ სახარებაში აღნიშნულს - „ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი ამაღლდეს“ (მათე, 10; 10. ლუკა, 10; 7).

მეხუთე დონის მენეჯერთა სურვილი – იყვნენ სხვებისაგან განურჩეველნი, არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან პატივმოყვარენი. პირიქით, ისინი გამორჩეულად პატივმოყვარენი არიან, ოღონდ მეოთხე დონის მენეჯერებისაგან განსხვავებით, მათი პატივმოყვარეობა იმ ორგანიზაციებს უკავშირდება, რომელთაც ისინი მართავენ, და არა საკუთარ თავს. მათი თვითრეალიზაცია კი, საუკეთესო ორგანიზაციის შექმნასთან ერთად მიიღწევა. ამგვარად, წარმატების მიღწევის შემთხვევაში საკუთარი თავის გაკერპებას სასურველი შედეგი არასოდეს მოაქვს, რაც მეოთხე დონის მენეჯერებს ახასიათებთ (მაგალითად, ლი იაკოკა, მან ვერ თქვა უარი დიდებასა და სახელზე, მისი ბიოგრაფიის შესახებ 7 მლნ-ამდე წიგნი გაიყიდა. მისმა კომპანიამ *Chrysler* -მა, კი პოზიციების დათმობა მის სიცოცხლეშივე დაიწყო).

საკმარისად რთულია მეხუთე დონის მენეჯერი გახდე, თუმცა ადამიანების უმეტესობას შეუძლია მიაღწიოს ამას („ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქუენ“ (ლუკა, 11; 9)). ოღონდ იმ პირობით, თუ ექნებათ დიდი სურვილი შექმნან საუკეთესო ორგანიზაცია. და შექმნიან ისე, რომ არასოდეს დაელოდებიან ჯილდოს, რომელიც მათ ამ დამსახურებისთვის ერგებათ, და რომელსაც დიდება, სიდიდრე და პოპულარობა ჰქვია. ეს ყველაფერი ისედაც მოდის წარმატებასთან და საასიკეთო საქმეებთან ერთად. ვინაიდან, როგორც სახარებაშია ნათქვამი: „უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“ (მარკ. 9; 23), „და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“ (მათე, 21; 22) და შე-

დეგად, თუ სულიერი არავინ შეგაქებთ, „ქვანი ღაღადებდენვე“ (ლუკა, 19; 40).

აღნიშნულის გარდა გვინდა მკითხველს სახარებიდან ზოგიერთი ისეთი ადგილი შევახსენოთ, რომელიც შეეხება შრომით ურთიერთობებს, კერძოდ:

1. მათეს სახარებაში (10; 10) იესო აგზავნის რა მოწაფეებს ხალხის განსაკურნებლად, არიგებს მათ, რომ არაფერი იქონიონ თან, რადგან შრომისათვის „მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“. ასევე ლუკას სახარებაშიც (10; 7) აღნიშნულია, რომ „მუშა ღირსია თავისი საზღაურისა“. ამით სახარებაში გაშიფრულია შრომის ანაზღაურების ძირითადი პრინციპი (გვაიხსენოთ, რომ შრომის ანაზღაურებაში უსამართლო დამოკიდებულებამ ჩაუყარა საფუძველი გენდერულ მოძრაობას, რაზეც ზემოთ ვიმსჯელეთ);

2. მათეს (22; 22), მარკოზის (12; 17) და ლუკას სახარებაში (20; 25) აღნიშნულია, რომ ფარისეველთა კითხვაზე უნდა გადაუხადონ თუ არა კეისარს ხარკი, მაცხოვარი პასუხობს: „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“. ამით გადასახადების გადახდის აუცილებლობაზე მიუთითებს მაცხოვარი;

3. სახარებიდან ჩანს, რომ კორუფციული აზროვნება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ იყო პრობლემა მოსახლეობისთვის. ამაზე მეტყველებს იოანე ნათლისმცემლის პასუხები მებაჟეთა და სამხედროთა შეკითხვებზე: იგი არიგებს მათ, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებენ“. აქვე უნდა გავიხსენოთ ასევე უფლის მე-8 მცნება - „არ იპარო“.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სწორედ სახარებისეული სიბრძნე ასაზრდოებს იმ პოსტულატებს, რომლებსაც თანამედროვე მენეჯმენტის თეორეტიკოსები გვთავაზობენ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მსჯელობის გასაგრძელებლად გავიხსენოთ დღეისათვის ძალზე პოპულარული ორგანიზაციული (კორპორაციული) კულტურა - ეს არის ფენომენი, რომელიც ასწავლის და აიძულებს ორგანიზაციის წევრებს მოიქცნენ გარკვეული წესების შესაბამისად (ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, 1999,16-18). ამასთან მიჩნეულია

ისიც, რომ თუ არ აქვს ღირებულებები ფირმას, რომლის გარშემოც ერთიანდება ყველა, იგი წარმატებას ვერ მიაღწევს.

სწორედ ასეთი ურთიერთობებია იმ წარმატების საიდუმლო, „რომლის გამოც... ყოველწლიურად მსოფლიოს ცნობილი კომპანიების ასობით სხვადასხვა მენეჯერი ჩადის ბრაზილიაში, სან-პაულოში, რათა საკუთარი თვალით ნახოს კომპანია, რომელმაც არ იცის, რა არის ადმინისტრაციული ხარჯები, რეცეფცია, მარკეტინგის განყოფილება, სამუშაო ტიტულები: რომლის თითოეული თანამშრომელი თვითონ წყვეტს, რომელ საათზე, რომელ დღეს მოვიდეს სამუშაოზე, რამდენი საათი, რა თანმიმდევრობით იმუშაოს და როდის, რა ვადით აიღოს შვებულება; რომლის თანამშრომელთა დიდ ნაწილს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს საკუთარი ხელფასის და სამივლინებო ხარჯების ოდენობა“ (ებრალიძე, 2003, 16).

კომპანიის საქმიანობის შესასწავლად ჰარვარდის უნივერსიტეტში ჯგუფიც კი შექმნეს. კომპანიაში 1000-მდე ადამიანი მუშაობს. ისინი ერთ დიდ ოჯახად გაერთიანდნენ საკუთარი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გამო. ისინი თვლიან, რომ არსებობენ და შრომობენ არა იმიტომ, რომ ფული იშოვონ, არამედ იმიტომ, რომ უკეთესად იცხოვრონ და სხვებსაც ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნან (გავავლოთ ანალოგი იოშირო ნაკამაცუს მსოფლმხედველობასთან - ი.გ.). კომპანიის ხელმძღვანელმა რიკარდო ზემლერმა ჩათვალა, რომ ფირმა მაშინ გამოავლენდა საკუთარ პოტენციალს, როდესაც თანამშრომლები ჩათვლიდნენ, რომ ეს კომპანია მათი იყო და ისინი არა დაქირავებული მუშები, არამედ საკუთარ ბიზნესში დასაქმებული პირები იყვნენ (გავიხსენოთ ანალოგიური მიდგომა წმიდა წერილიდან „ამიერითდან არღარა ხართ მონა, არამედ შვილ“ (გალ. 4; 7)). საამისოდ კომპანიის მეპატრონემ მიიჩნია „რომ საჭირო იყო სამი კომპონენტის: დემოკრატიის, მოგების განაწილებისა და ინფორმაციის საჯაროობის კომბინაცია“ (ებრალიძე, 2003, 18).

ზედაპირული ეკონომიკური განათლების მქონე ინდივიდიც კი იფიქრებს, რომ თუ თანამშრომლებს უფლება ექნებათ თვითონ დაიწესონ ხელფასები, მეორე თვეს კომპანიას ლიკვიდური სახსრე-

ბი აღარ დარჩება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. „თუ ადამიანი ხედავს, რომ მისი არაკორექტული საქციელის გამო მას საზოგადოება გარიყავს, მაშინ ის ყველა ღონეს იხმარს, რომ რაც შეიძლება კორექტული იყოს“ (ებრალიძე, 2003, 21). ფირმას ჰქონდა რთული პერიოდებიც და იგი მან ღირსეულად დაძლია.

თუ ფირმა „სემკო“-ს[19] შიდასაფირმო მართვის პრინციპებს კარგად დავუკვირდებით დავინახავთ, რომ იგი ძალზედ ჰგავს იაპონური მენეჯმენტის მოდელს. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იაპონიაში მსგავსი ეფექტი მთელი ქვეყნის მასშტაბითაა, ხოლო ბრაზილიაში აღნიშნული ფირმის მაგალითი სხვებისთვის გადამდები არ აღმოჩნდა. სამეცნიერო თვალსაზრისით საკითხავია რამ შეიძლება გამოიწვიოს „სემკო“-ს ტიპის ფირმების მომრავლება და ქვეყნის მასშტაბით მათი ამოქმედება. ჩვენი სუბიექტური აზრით, ამას განაპირობებს თითოეული ერის ცნობიერების, მორალური წესებისა და სოციალური ინსტიტუტების განმსაზღვრელი სახელმწიფო რელიგია. თუ რატომ ვფიქრობთ ასე, მოგახსენებთ იაპონიის მაგალითზე.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ შიდასაფირმო მართვის ორ მოდელს: **ამერიკულსა და იაპონურს,** რომელიც აქცენტს აკეთებს ეფექტიანად მომუშავე გუნდის ჩამოყალიბებასა და ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანებაზე. როცა იაპონელებს მიმართავენ შეკითხვით მათი სიმდიდრის შესახებ, ყოველი მათგანი პასუხობს: „იაპონიის სიმდიდრე ხალხია“. იაპონიამ შეძლო ხალხის შრომისმოყვარეობასა და ინტელექტუალურ პოტენციალზე დაყრდნობით უმოკლეს ვადაში მოეხდინა ტექნიკური რევოლუცია. ისინი ამბობენ, რომ დაექვემდებარენ ღმერთის მოწოდებას - „იშრომე“. შედეგად, იაპონიაში უმუშევრობის დონე წლების მანძილზე 1%-ის ფარგლებში მერყეობს, არსებობს მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავების სისტემა, მტკიცე ოჯახები და ცხოვრების სადა სტილი, თვით უმდიდრეს ადამიანებშიც კი (ალექსიძე, 1992, 45).

იაპონიაში სახელმწიფო რელიგია განსაზღვრავს თითოეული ინდივიდისა და სახელმწიფოს იდეოლოგიას და იგი უზრუნველ-

[19] https://semcoequipamentos.com.br/en/home/

ყოფს ცალკეული პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთმანეთთან ჰარმონიულ დაქვემდებარებას, ისე რომ მიიღება სინერგიული ეფექტი. ამ ქვეყანაში თითოეული მოქალაქე ფიქრობს, რომ **„მან უნდა იზრუნოს სახელმწიფოზე და სახელმწიფო იზრუნებს მასზე“.** კომერციული ორგანიზაციების კონკურენტული გარემოსადმი იაპონური ხედვა გვეუბნება: **„თუ არ გყავს ღირსეული კონკურენტი ყველაფერი გააკეთე, რათა შექმნა ის“**. „სწორედ ღირსეულ  კონკურენტს შეუძლია დღედაღამ ფხიზლად ყოფნა გაიძულოს. სწორედ მას შეუძლია გამუშაოს დაუღალავად, სწორედ ის არის ძალა, რომელიც გაიძულებს რომ იყო წარმატებული. იქ, სადაც არ არის კონკურენცია, არ არის პროფესიონალიზმი, არც ზრუნვა გამარჯვებისთვის და არც პროგრესი“ (მოდებაძე, 2003, 74). ამგვარად, იაპონელები კონკურენტში მტერს კი არ ხედავენ, არამედ მათი წარმატების გარანტს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. აქვე მივუთითებთ, რომ  მართლმადიდებლობა გვასწავლის, „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა. აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“ (ლუკა, 6; 27-28).

იაპონიაში სიცოცხლის მანძილზე დაქირავებული მენეჯერიც კი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ არაფერი ვთქვათ რიგით მუშაკებზე. იაპონიაში რამდენიმე თვით ხელფასზე დროებით უარისთქმაც კი მიღებული მოვლენაა ფირმის ინტერესებიდან გამომდინარე. იაპონიაში ფირმა საკუთარ მეორე ოჯახად აღიქმება და **ყველამ იცის, რომ რაც კარგია ფირმისთვის, კარგია მისი კოლექტივის თითოეული წევრისთვის და რაც ამ ორივესთვისაა კარგი, ის სახელმწიფოს წარმატების გარანტიაა.** ესაა მიზეზი რომ იაპონია კონკურენციაში შეძენილი უპირატესობით სარგებლობს, რაც ცოდნითა და ტექნოლოგიებით განისაზღვრება და რკინის მადნის არმქონე ქვეყანას ფოლადის იმპორტიორად წარმოაჩენს მსოფლიო ბაზარზე.

სწორედ ასეთი ერთობაა მნიშვნელოვანი ქართველებისთვის და შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ერის მამის, წმიდა ილია მარ-

თლის (ჭავჭავაძე) სიტყვები[20]: „რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული, საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტოდ მასზედ, რასაც „ჩემობის“ ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ, აკი ვამბობთ, ერთს წუთსავე მოისპობოდა, ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარ „მეს“ უკან დააყენებდა.

... საიდამ შემოგვეპარა, საიდამ შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა „მე“-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წაგვახდინა ესე? ეგ სენი ახალი სენია და საიდამ არის მოსული, ვისგან დანერგილია - ეგ ადვილი მისახვდომია: იმისგან, ვისაც უძლური „მე“ უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალ-გულოვანი „ჩვენ“... ეს სწორედ მართლმადიდებლური სწავლებით ცხოვრების უარყოფამ მოგვიტანა.

ადამიანებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულს (რაც თუნდაც გ. მენქიუს ეკონომიკის პრინციპებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ) დავამატებთ - უფალი ამბობს: „ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაი იგი შენი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაი, რაითა პირითა ორისა და სამისა მოწამისაითა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაი. ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაიცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათე, 18;

[20] https://mtersasruti.blogspot.com/2011/06/blog-post_22.html

15-17). ანუ მრავალგზის გაფრთხილებასა და გუნდსაც თუ არ მოუსმენს ინდივიდი, ის გარიყვის ღირსია.

თუ უფალი მიუტევებს ადამიანებს, მათგანაც ითხოვს, რომ სულგრძელობა გამოიჩინონ სხვების მიმართაც. ეს მოთხრობილია მათეს სახარებაში, კერძოდ, როცა უფალი დიდი ვალების მქონეს მიუტევებს და გაუშვებს (არ ჩააგდებს დილეგში). ეს უკანასკნელი ხვდება რა თავის მოვალეს, მას სთხოვს ვალის სრულად დაბრუნებას და როდესაც გაიგებს, რომ მევალე ვერ უბრუნებს თანხას, მას მისცემს სამართალში ვალის სრულად დაბრუნებამდე. „ხოლო იხილეს რა მის თანა მონათა მათ საქმე ესე, შეწუხნეს ფრიად; და მივიდეს და აუწყეს უფალსა მათსა ყოველივე იგი, რაიცა იქმნა. მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მოგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე. არა ჯერ-იყო შენდაცა, რაითამცა შეიწყალე შენ თანამონაი იგი, ვითარცა მე შენ შეგიწყალე? და განურისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი ხელთა მტანჯველთასა, ვიდრემდის გარდაიხადოს ყოველი იგი თანა-ნადები მისი. ეგრეთცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ, უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თვისსა ყოვლითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი“ (მათე, 18; 31-35).

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ფირმის წარმატებისთვის ასე აუცილებელია ფასეულობების გათავისება, რაოდენ საჭიროა იგი ქვეყნისთვის, სახელმწიფოსთვის, ერისთვის. „ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა – ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალა“ (ამირეჯიბი, 2003, 246). ნებისმიერი ქვეყნის ზნეობრივი და ურთიერთობის პრინციპები უშუალოდ გამომდინარეობს მისთვის საუკუნეების მანძილზე არსებული ტრადიციული რელიგიის პოსტულატებიდან. ვფიქრობთ, იშვიათი სიბრძნითაა გადმოცემული თითოეული ჩვენთაგანისთვის აუცილებელი თვისებები და ურთიერთობის პრინციპები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიმართულ ლოცვაში: „შეისმინე ლოცვაი ესე ჩუენი და ითხოვე ღვთისა - ძისა შენისაგან მოშურნეობაი და მღვიძარებაი სულთათვს მწყემსთა ჩუენ-

თასა, სიბრძნეი და ძლიერებაი - მთავრობათათვის, სიმართლე და სიწრფელე გულთა მსაჯულთათვის, გონიერება და სიგლახაკე სულთა - წინამძღვართათვის, სიყვარული და ურთიერთ - შოვრის თანხმობა მეუღლეთათვის, მორჩილება - ყმაწვილთათვის, მოთმინება - ჩაგრულთათვის, შიში ღვთისა - მჩაგვრელთათვის, მხიარულება - მწუხარეთათვის, ზომიერება - მხიარულთათვის. გონიერებისა და კეთილმსახურებისა სული დაჰნერგე ჩუენ ყოველთა შორის“.

ხელმძღვანელთა შესახებ წმიდა მამა ისიდორე პელუზიელი წერს: „ხელმძღვანელი კეთილი და ამავე დროს, მკაცრი უნდა იყოს, რათა ღვთივსათნო ადამიანებს მასთან თავისუფლად შეეძლოთ მისვლა, ბიწიერთ კი ეშინოდეთ მისი. თუ ერთ-ერთი ამ თვისებათაგანი არ ექნება, მართვა უფრო მეტად დაემსგავსებოდა უმართაობას. ყველა ხელქვეითს რომ უყვარდეს სათნოება, მაშინ უფროსს მხოლოდ სიკეთე დასჭირდებოდა, ხოლო თუ ყველა ისინი მანკიერნი იქნებოდნენ, მაშინ იგი მხოლოდ მკაცრი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რამდენადაც ხელქვეითთა შორის არიან კეთილნიც და ბოროტნიც, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სიკეთეცა და სიმკაცრეც, რათა თავისი სიკეთით კეთილზნეობრივ ადამიანებში სიკეთის სიყვარული განამტკიცოს, ხოლო შიშით – ავები დანაშაულის ჩადენას გადაარჩინოს“ (ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, 2007, 553). ასევე, „არ იქურდოთ, არ ითვალთმაქცოთ, ერთმანეთი არ მოატყუოთ“ (ლევ. 19: 13**). „ნუ გექნება ჩანთაში ორი განსხვავებული საწონი – დიდი და მცირე... საწონი სრული და სწორი უნდა გქონდეს... რომ დღეგრძელი იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს, რადგან საძაგელია უფლის, შენი ღმერთისთვის ყველა, ვინც ამას აკეთებს, ყველა ვინც უკანონობას სჩადის“ (რჯლ. 25; 13-16).**

ვფიქრობთ, ბიზნესის მფლობელთა და მენეჯერთა მხრიდან სახარებისეული მოწოდებების გათავისებით, სრულიად შესაძლებელია მათი კომპანია გახდეს წარმატებული გრძელვადიან პერიოდშიც.

## 3.2 სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა*

ეკონომიკასა და ბიზნესში სწორი ზღვრული არჩევანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არამარტო ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების დროს, არამედ ფირმებშიც. გ. მენქიუ წერს: **„ინდივიდებსაც და ფირმებსაც უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ, თუ ზღვრული კატეგორიებით იაზროვნებენ“** (მენქიუ, 2008, 6). აღნიშნულის საინტერესო მაგალითია აღწერილი მათეს სახარებაში, კერძოდ, იგავი ტალანტებზე, რომელიც ხშირადაა დისკუსიის საგანი. მათეს სახარებაში ეს იგავი ასეა გადმოცემული:

- „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესნ მონათა თვისთა და მისცის მათ მონაგები თვისი.
- და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა, და მეყსეულად წარვიდა.
- ხოლო წარვიდა რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხუაიღა ხუთი ტალანტი. ეგრეთვე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაი ორი. ...
- შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაი და სიტყუა-ყო მონათა მათ თანა.
- და წარმოდგა, რომელმან ხუთი ქანქარი მოიღო, და მოართუა მას სხუაი-ღა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი იგი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა სხუაი-ღა ხუთი ქანქარი შევსძინე.
- ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა და-

---

* მასალა გადამუშავებულია და ეყრდნობა: გაგნიძე ი. (2023). სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 86-91.

გადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. .... (ასევე განმეორდა 2 ქანქარის მქონეს შემთხვევაშიც)

- მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მოეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიეს.
- და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა; აჰა ესერა შენი შენთანა არს.
- მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიეს.
- ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.
- მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი“ (მათე, 25; 14-29).

სახარების ამ იგავში ჩანს ბატონის გონიერება, დავალების გაცემის დროს მისი სირთულისა და შემსრულებელთა უნარის გათვალისწინების გამო („მისცა კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა“). ასევე, აღსანიშნავია მესაკუთრის გადაწყვეტილება მიღებული შრომითი შედეგების მიხედვით მომუშავეთათვის დიფერენცირებული ჯილდოს გაცემისა და დაწინაურების შესახებ („მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“).

შევნიშნავთ, რომ დავალების მიმცემს (ბატონს) კარგად ესმის მითითების შესრულების აუცილებლობა და შესაძლო საფინანსო რისკზე საკუთარი პასუხისმგებლობაც. აღნიშნული კარგად ჩანს მის მითითებაში მოსამსახურისთვის გაცემული ვერცხლის ვაჭრობაში დაბანდების შესახებ („ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ“). მესაკუთრის ბუნებაც კარგადაა აღწერილი სახარებაში: ისინი „მკიან იქ, სადაც არ დაუთესიათ და კრეფენ იქ, სადაც არ დაუბნევიათ“ და ამასთან თავადაც კარგად უწყიან საკუთარი ქცევის შსახებ.

გვსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ბატონის პასუხზე, როცა მას ტალანტები მოგებით დაუბრუნეს. ორივე წარ-

მატებულ მსახურს ასე მიმართა უფალმა - „კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათე, 25; 21, 23), სადაც ბატონის სიხარულში შესვლის უფლება უახლოესი წრის წარმომადგენელად ჩათვლას, მისი გუნდის წევრობას ნიშნავს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ უფრო წარმატებულს (5/10 ტალანტის მფლობელს) მისცა დამატებით ის ერთი ტალანტი, რომელიც წაართვა მესამე მსახურს (ვინც მიწაში დაფლა ტალანტი). ეს ბატონის გონივრულობაზე მიუთითებს, ვინაიდან მან სტიმულირების მეთოდებშიც (მ.შ. საკუთრების დელეგირების კუთხითაც) დიფერენცირება მოახდინა და უფრო წარმატებულს მეტი ნდობა გამოუცხადა და მეტად წაახალისა.

იგავიდან იმის ამოკითხვაც შესაძლებელია, რომ ყველა დაბანდება მოგებას ვერ მოიტანს, რაც ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ უფალმა უუნარო მსახურს მაინც გამოუცხადა ნდობა და მისცა თავის გამოჩენის შანსი, როცა ერთი ტალანტი დასაბანდებლად უბოძა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ამ იგავის შესახებ თავის ქადაგებაში აღნიშნავდა: „რასა ნიშნავს ძმანო, იგავი, ესე? ნიშნავს შემდეგსა: კაცი იგი, რომელმან დაურიგა ტალანტი, არის თვით ღმერთი: მონანი, რომელთა მიიღეს ვერცხლი, ვართ ჩვენ ყოველნი ადამიანნი: ხოლო ტალანტნი ნიშნავენ ყოველსა ნიჭსა, ესე იგი, გონებასა, ანუ სწავლასა, სიმდიდრესა, ანუ კეთილშობილებასა, თანამდებობასა, ანუ პატივსა, ერთი სიტყვით ყოველსა, რასაცა ღმერთი მისცემს კაცსა. ორნი იგი მონანი, რომელთა განამრავლნეს ვერცხლნი თვისნი და მიიღეს უფლისაგან ქება და აღმატება, მოასწავებენ ქრისტეანთა მათ, რომელნი კეთილად და სასარგებლოდ ხმარობენ ყოველთა ღვთისაგან მიმადლებულთა ნიჭთა; ხოლო უხმარი იგი მონა ნიშნავს კაცსა მას, რომელი მცონარებითა, უზრუნველობითა, და ცუდის-ყოფაქცევითა დაღუპავს თვისთა ნიჭთა“ (ქადაგებანი, I, 2003, 7).

ქართველი მეცნიერები თავის ნაშრომებში აქტიურად განიხილავენ ზემოაღნიშნულ იგავს. ნ. ჩიხლაძე და ი. გოგორიშვილი

ტალანტებს ადარებენ ნიჭს (ცოდნას, ჭკუას). მაგალითად ნ. ჩიხლაძე წერს, რომ უფალმა „სხვადასხვა ადამიანს ნიჭი განსხვავებული ოდენობით მიჰმადლა. ეს ნიჭი განსაზღვრულ საქმიანობას უნდა მოხმარდეს და რაც მთავარია, განმრავლდეს უფლისა და კაცთა სასიკეთოდ.... უფლისათვის მიუღებელია, ვინც არ ამრავლებს ტალანტებს (მინებს), არ იქმს კეთილ და ღვთივსათნო საქმეებს. თანაც დიდს დიდობით, პატარას კი პატარობით მოეკითხება. ვინც ტალანტების გამამრავლებელია მოიპოვებს ცათა სასუფეველს („ბატონის სიხარულს"), ვინც ფლავს მას (მტერნი უფლისანი), საშინელი სამსჯავრო ელის" (ჩიხლაძე, 2013, 135-136).

ი. გოგორიშვილის აზრით, „უფალი ცოდნას კი არ გვაძლევს, არამედ მხოლოდ ნიჭს, მაგრამ ცოდნის სიყვარულით გაცნობიერებას ითხოვს – ჭკუას ითხოვს. ორი ტალანტის გაცემა ნიშნავს შედარებით მცირე შესაძლებლობების მიცემას, ხოლო 5 ტალანტში იგულისხმება მეტი - სავარაუდოდ სიყვარულის უნარის გაცნობიერებაც. სწორედ აქ ძევს განსხვავება ხუთსა და ორ ტალანტს შორის" (გოგორიშვილი, 2022, 129).

ამერიკელმა მეცნიერმა გ. ნორთმა ბიბლიის ეკონომიკურ კომენტარებს 9000 გვერდამდე მოცულობის ნაშრომი მიუძღვნა (გაგნიძე, 2022). გ. ნორთი ტალანტების შესახებ იგავს, დელეგირებული საკუთრების პრობლემის რაკურსით განიხილავს (North, 2012, 6902-6913). მისი აზრით ამ იგავის თეოცენტრული პრინციპი იყო უფლის საკუთრება მის ქონებაზე და მისი დაბანდების პირობებზე. ადამიანი უფლის ქონებას განკარგავს, როგორც უფლის მეურვე. უფალი ამ იგავის ბოლოს თითოეულს როგორც მეურვეს  განსჯის (იერარქია).

რ. სათენმა (Sutton, 1987) იგავზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ხუთპუნქტიანი შეთანხმების მოდელი. ეს პუნქტებია: **პირველი** - ბატონი მოუწოდებს მოსამსახურეებს თავისთან (სუვერენიტეტი); **მეორე** - ის ახდენს მათზე უფლების დელეგირებას, როგორც საკუთარ ეკონომიკურ წარმომადგენლებზე მათთვის თანხის გადაცემით (იერარქია/წარმომადგენლობა); **მესამე** - იმის მიუხედავად, რომ ეს არ არის პირდაპირ აღნიშნული, ის მათ უბრძანებს გა-

აფართოვონ წარმოება (კანონი/მბრძანებლობა). ვინაიდან, სამივე მათგანი დაუყოვნებლივ მოქმედებს მისი არაცხადი ბრძანების შესასრულებლად; **მეოთხე** - ის ბრუნდება და აწესებს პოზიტიურ სანქციებს: აქებს მოგებით დაბრუნებულ დაქირავებულებს; **მეხუთე** - შექება მოიცავს მმართველობას (თანმიმდევრულობა, უწყვეტობა). ამის შემდეგ ის აწესებს ნეგატიურ სანქციებს იმ მეურვის მიმართ, რომელიც მოგების გარეშე დაბრუნდა (მემკვიდრეობის ჩამორთმევა) - ბრძანება ასეთია „და უხმარი ეგე მონაი განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა“ (მათე, 25; 30).

გ. ნორთის აზრით ეს იგავი შეიცავს რამდენიმე თეოლოგიურ გზავნილსაც, თუმცა, მათ შორის ის გამოყოფს სამ მათგანს, კერძოდ: **პირველი** - ყველაფერი ეკუთვნის უფალს; **მეორე** - ის დროებით აძლევს სამართავად ამ რესურსებს ადამიანებს; **მესამე** - ადამიანები ვალდებულნი არიან გაზარდონ ის ქონება, რაც მათ უფალმა ანდო სამართავად. გ. ნორთი გამოყოფს ასევე მეორად გზავნილებსაც - **პირველი,** დასაწყისში უფალი ითხოვდა მოსამსახურეებს ემოქმედათ დამოუკიდებლად დროის განუსაზღვრელ პერიოდში. უფალმა მათ წინასწარ არ განუსაზღვრა, თუ როგორ ემოქმედათ. **მეორე**, მან დაუწესა მოგების კონტროლის სისტემა, აღმავალი იერარქია.

გ. ნორთის აზრით, უფალმა (შევნიშნავთ, რომ გ. ნორთის ნაშრომში უფალი ასევე მოხსენიებულია როგორც მაგისტრი - Master - ი.გ.) წასვლამდე გონივრულად მოახდინა თავისი საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიცირება. დაქირავებულებს უფლება ჰქონდათ დამოუკიდებლად მიეღოთ კაპიტალის მართვის შესახებ გადაწყვეტილებები. შედეგებზე ისინი ლეგალურად პასუხისმგებელნი იყვნენ. **მესამე,** მეურვეობის პირველი ნაბიჯის მიღმა უფალს ჰქონდა თავისი გეგმები. ის საკუთრების დელეგირების ეტაპს იყენებდა როგორც ტესტს (გამოცდას). დაქირავებულები, რომლებმაც, მიიღეს 100%-იანი უკუგება (5 და 2 ტალანტის მიმღებები), პროდუქტიულობისთვის დაჯილდოვდნენ. ნათელია, რომ ეს ჯილდო ეყრდნობოდა მათი საქმიანობის შედეგების ისტორიას.

გ. ნორთი აღნიშნავს, რომ სარგებლის განაკვეთის განხილვა ორი მიზეზითაა მნიშვნელოვანი. **პირველი,** უფლის სამეფოს შესახებ იგავის მიხედვით, სარგებლის მიღება კანონიერად ითვლება. საბოლოოდ უფალი თითოეულთან მიდის და ითხოვს უკუგებას იმ ყველაფრისგან, რაც ადამიანებს მიანდო სამეურვეოდ. **თავისი სამეფოდან წასულმა ბატონმა იცხოვრა საკუთარი სახსრების გამოყენების გარეშე. შესაბამისად, მას აქვს უფლება, მიიღოს მინიმალური უკუგება - სარგებელი. მეორე,** იგავში მკვეთრად განსხვავდება მოგება სარგებლისგან. ორმა მეურვემ მიიღო მოგება 100%-ით. მინიმალური მოთხოვნა კი იყო სარგებლის გადახდა. ზარმაცმა მოსამსახურემ არ ისურვა მინიმალურ რისკზე წასვლა, თუნდაც თანხა კრედიტორისთვის გადაეცა და მინიმალური სარგებელი მისგან მიეღო.

გ. ნორთის მოსაზრებით თითოეული მეურვე (მოსამსახურე) უნდა გამხდარიყო მეწარმე, ანდა თავად უნდა მოეძია მეწარმე, რომელიც თანხას პროდუქტიულად გამოიყენებდა. **ტალანტი მიწაში დასაფლელად არ იყო განკუთვნილი. მას სოციალურად სასარგებლო ფუნქცია უნდა შეესრულებინა.**

გ. ნორთი ასკვნის, რომ იგავის ორი წარმატებული მოსამსახურე იყო მეწარმე. მათ იპოვეს ინვესტიციის განხორციელების გზა და შემოქმედის თანხით, მოგება მიიღეს. როგორც იგავიდან ჩანს, მოგების ეს ნორმა უფრო მაღალი იყო, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ თანხას გამსესხებელთან დააბანდებდნენ. ამრიგად, მეწარმე ისაა, ვინც გაცილებით მეტს რისკავს, ვიდრე ის, ვინც ფულს დებს ბანკში. ამას ეკონომისტები უწოდებენ გაურკვევლობას, რომლის წინასწარ შეფასებაც შეუძლებელია.

გ. ნორთის შეხედულებით სარგებელი ეკუთვნის შემოქმედს. მსახური იყო ლეგალურად ვალდებული რომ დაეცვა ბატონის ინტერესები, ხოლო სარგებლის მიღება მიმოქცევაში გასაშვებ თანხაზე იყო მისდამი არსებული  მინიმალური მოთხოვნა. მან ეს ვერ შეძლო. შემოქმედის მხრიდან მსახურის წარსული საქმიანობის შეფასება ზუსტი იყო; მან ამ მონას მხოლოდ ერთი ტალანტი მიანდო, რადგან კომპეტენცია ადრე არ გამოუვლენია. მეტი რომ მიე-

ცა, მეტი გაიფლანგებოდა. მსახური თვლიდა რომ არაფერი უნდა მიეცა მფლობელისთვის, იმის გარდა რაც მას ანდეს, ანუ ერთი ტალანტი.

გ. ნორთის აზრით, ბატონს შეეძლო თანხის გაორმაგება, თუ ის პირველ ორ მსახურს მისცემდა თანხას. თუმცა, მან ეკონომიკურად უსაფრთხო გზა აირჩია და რისკი შეამცირა პორტფელის დივერსიფიცირებით. საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში მოგების ნორმა დაბალია, მაგრამ უკუგება საიმედო. თუმცა, ბატონი მოტყუვდა.

ზემოაღნიშნული იგავის გააზრებისას მოგების მიღების აუცილებლობაზე მიუთითებენ ქართველი მეცნიერები, კერძოდ, მ. ცეცხლაძე (2021) და ბ. მღებრიშვილი (2020).

მ. ცეცხლაძის აზრით, „ხშირად დომინირებს მცდარი აზრი, რომ ქრისტიანობა უარყოფს კერძო საკუთრებას. რა თქმა უნდა ამ ქვეყნად ყველაფრის მფლობელი ღმერთია: „უფლისა არს ქუეყანაი და სავსებაი მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა...“ (ფსალ. 23). მაგრამ ამქვეყნიური მატერიალური ღირებულებები სწორედ ადამიანებისთვის შექმნა, ამასთან, მეტს აძლევს იმას, ვინც მეტს ფლობს ან უკეთ განაგებს: „რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა, და ვისაც არა  აქვს, ისიც წაერთმევა, რაცა აქვს“ (მარ. 4; 25). ამასვე გულისხმობს იგავი ტალანტების შესახებ: მას უფრო მეტი მიეცემა, ვინც მინდობილ ტალატებს უფრო მეტს შეჰმატებს, ხოლო ვინც არ შეჰმატებს, რაც აქვს მიცემული, ისიც წაერთმევა (მათე, 25; 14-30). იმავეს მიგვანიშნებს „იგავი მინაზე“ (ლუკა,19; 11-27)“ (ცეცხლაძე, 2021, 427).

ბ. მღებრიშვილის აზრით, „განხილული იგავი პირდაპირ მიანიშნებს ადამიანებს იმაზე, რომ უნდა იშრომონ და თანაც მომგებიანად. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ საქმე არ არსებობს რისკის გარეშე. მართალია, ერთი ტალანტის მფლობელმა ვერცხლის დაბანდება ვერ გაბედა მისი მფლობელის შიშით, მაგრამ გამოჩნდა, რომ შიში უნდა დაეძლია, უნდა გაერისკა და ვერცხლი დაებანდებინა. სიზარმაცეს და გაურისკაობას სიკეთე არ მოაქვს არც ცალკეული ადამიანისთვის და არც მთელი საზოგადოებისთვის. ადამიანმა

უნდა იშრომოს და თან შეეცადოს, რომ მისი შრომა იყოს სარგებლის მომტანი. ასეთია შრომისა და  მოგების მართმადიდებლური და სახარებისეული ფილოსოფია“ (ბ. მღებრიშვილი, 2020, 308).

ზოგიერთი ავტორი არ ემხრობა ტალანტების მატერიალური ფორმით განხილვას. ნ. ჩიხლაძე აღნიშნავს - „არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი აღთქმის ეს ნაწილი ახდენს მევახშეობის ერთგვარ ლეგალიზებას, ანუ ამ იგავის პირდაპირი აღქმა დაუშვებელია“ (ჩიხლაძე, 2013, 149). ავტორი ამ მოსაზრებას ასაბუთებს წმიდა იოანე ოქროპირის ნაშრომიდან ციტირებით, სადაც წმიდა მამა განასხვავებს სულიერ და ნივთიერ სიმდიდრეს და მოგვიწოდებს სულიერი სიმდიდრის დაგროვებისკენ.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, გავიხსენოთ მოტივაციის თეორიებიდან ერთ-ერთი თანამედროვე - დევიდ ნედლერისა და ედუარდ ლოულერის მიერ შემუშავებული მოლოდინის თეორია. ეს თეორია აღმოჩენად იყო მიჩნეული გასულ საუკუნეში. თუ შევადარებთ სახარებისეულ იგავში მოცემულ სტუმულირების მეთოდებსა და მოტივაციის თეორიის მოწოდებებს, ბევრ მსგავსებას აღმოვაჩენთ (Гагнидзе, 2020, 27). ასე მაგალითად, თეორიის ავტორები თვლიან, რომ „მენეჯერები შეძლებენ მომუშავეების შრომის მწარმოებლურობის გაზრდას, თუ:

1. ჯილდოს ღირებულებას გათვლიან ისე, რომ მან დააკმაყოფილოს თითოეული მომუშავე;
2. განსაზღვრავენ შრომის მწარმოებლურობის სასურველ დონეს;
3. ეს დონე იქნება მიღწევადი მომუშავეთათვის;
4. დამყარდება ურთიერთკავშირი ჯილდოსა და შრომის მწარმოებლურობას შორის;
5. უზრუნველყოფილი იქნება ჯილდოს საკმარისი დონე“ (Речмен и др., 1995, 323).

იგივე შეიძლება აღვნიშნოთ „სამართლიანობის თეორიის“ შემთხვევაშიც, რომელიც 1960 წელს ჩამოაყალიბა ჯ. სტეისი ადამსმა. „სამართლიანობის თეორია არის მოტივაციის თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანების მიერ მათი სამსახუ-

რებრივი შედეგებისა და მათ მიერ შეტანილი წვლილის შესაბამისობის სამართლიანობაზე. მოტივაციის განსაზღვრის დროს უფრო მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ მიღებული შედეგების და მის მიერ ორგანიზაციაში შეტანილი წვლილის შეფარდებითი, ვიდრე აბსოლუტური დონე“ (ჯონსი და ჯორჯი, 2006, 222).

თანამედროვე პერიოდში „არსებული თეორიებიდან ყველაზე ჰუმანური დღეისათვის არის ადამიანური პოტენციალის მართვის თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანისადმი დამოკიდებულების შერჩევისას სწორ ორიენტირს მოგვცემს მისი არსებული და სამომავლო შესაძლებლობების გათვალისწინება. მსგავსი თეორიების მორალურ-ეთიკურ მისიად დადგენილია, რომ ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის მიერ საკუთარი და სხვათა არსებული და პოტენციური უნარების განვითარებას“ (გულუა, 2013, 49).

ვფიქრობთ, ამ თეორიასაც საუკეთესოდ ხსნის იგავი ტალანტების შესახებ, კერძოდ, ბატონმა ტალანტები გასცა მომუშავეთა ამჟამინდელი უნარების შესაბამისად. ვერცხლის დაბანდება გამოწვევა იყო დაქირავებულთათვის, ვინაიდან არ ჰქონდათ საამისო გამოცდილება, ანუ ბატონმა ხელი შეუწყო მსახურთა „არსებული“ (რაც მასთან მსახურების შედეგად გამოავლინეს) და „პოტენციური“ (ვერცხლის დაბანდების შედეგად უნდა გამოვლენილიყო) უნარების განვითარებას.

აქვე, შეტანილი წვლილის შეფარდებითი და აბსოლუტური გაზომვის საუკეთესო მაგალითად სახარებიდან შესაძლებელია გავისხენოთ ღარიბი ქვრივის მიერ შეწირული „ორნი მწულილნის“ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც უფალმა უფრო მეტად შეიწირა, ვიდრე მდიდართა მიერ გაღებული დიდი შენაწირი (მარკ. 2; 41-44).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მაღალი შრომითი შედეგების მისაღწევად მატერიალური და არამატერიალური („შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათე, 25; 21)) წახალისების ფორმები, ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ჯერ კიდევ სახარებაში იყო მოცემული.

# დასკვნა

საბაზრო ეკონომიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნის მოსახლეობისთვის სრულიად ახალი სისტემაა და შესაბამისად, მისი გამოწვევების სწორად გადასალახად თაობების გამოცდილებაა საჭირო. განვლილი სამ ათეულზე მეტი პერიოდი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მინიმუმ, მოსესა და ებრაელთა 40 წლიანი უდაბნოში სიარულის ანალოგი გვესაჭიროება უნივერსალური საკაცობრიო ფასეულობების ცხოვრების წესში ხელახლა გასათავისებლად, რაშიც, ჩვენი აზრით, მხოლოდ გააზრებული სარწმუნოება თუ დაგვეხმარება.

წარმოდგენილი ნაშრომის პირველ თავში განვიხილეთ გ. მენქიუს აღიარებულ ნაშრომში „ეკონომიკის პრინციპები“ (მენქიუ, 2008) ჩამოყალიბებული ეკონომიკის 10 პრინციპი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით. ვფიქრობთ, აღნიშნული მსჯელობით კიდევ ერთხელ დადასტურდა ის მოსაზრება, რომ მართლმადიდებლური სწავლება ხელს უწყობს ეკონომიკის იმ 10 უნივერსალური პრინციპის ეფექტიანად გამოყენებას, რაც ეკონომიკის ნებისმიერი პრობლემის ასახსნელად გამოდგება. გაწეული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკის თეორია, გადაწყვეტილების მიღების თეორია, ბოლო დროს ძალზე პოპულარული - ქცევითი თეორია, საკმაოდ გამდიდრდებოდა, თუ ინდივიდთა გადაწყვეტილებებს იმ მრავალფეროვნებით განიხილავდნენ, როგორც ეს მართლმადიდებლურ სწავლებაშია გადმოცემული.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ეკონომიკის თეორიისა და მართლმადიდებლური სწავლების თანაკვეთის სხვა მიმართულებები. განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის საუკეთესო დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, არის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლისეული მიდგომა - „მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკვე იმ დროს, ეს იყო უნივერსიტეტის იდეის ჩანასახი, ვინაიდან აკადემიას ერთმანეთთან დაპირისპირების გარეშე, ჰარმონიულად უნდა განეხორციელებინა უახლესი ცოდნისა და ქრისტიანული სწავლების, როგორც ქცევის წესებისა

და ფასეულობათა სისტემის, სიმბიოზი (ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზს სწორედ ამ დამოკიდებულების ამსახველი პანო ამშვენებს).

ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამართლიანობა კეთილდღეობის ეკონომიკაში გულისხმობს ერთიდაიმავე ჯგუფებისთვის ერთნაირ, ხოლო განსხვავებული ჯგუფებისთვის - განსხვავებულ მოპყრობას, სასტარტო პირობებში განსხვავების შესამცირებლად. ნაშრომში განხორციელებულმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ მართლმადიდებლური სწავლება მოითხოვს ანალოგიურ დამოკიდებულებას როგორც მრევლთან, ასევე, საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

გენდერული მოძრაობა უცხოეთში დაიწყო შრომის ანაზღაურებაში ქალსა და მამაკაცს შორის გაუმჭვირვალობასა და ერთსა და იმავე სამუშაო ადგილზე 22%-ზე მეტი განსხვავების აღმოჩენის გამო. მართლმადიდებლური სწავლება მამაკაცს მოუწოდებს არ გაუბრაზდეს მეუღლეს, მას როგორც უნაზეს ჭურჭელს მოეპყრას და შეძლოს მისთვის თავგანწირვა, ქალს კი ისეთი მორჩილებისკენ - რომელიც უფლისთვისაა სათნო. საქართველოში დედოფალს მეფეს ვუწოდებთ, კანონმდებლობით კაცსაც და ქალსაც თანაბარი უფლებები აქვს, უამრავი ქალი წმიდანი ჰყავს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (გაგნიძე, 2017, 110), არც შრომის ანაზღაურებაშია განსხვავება საჯარო სექტორში ერთსა და იმავე სამუშაო ადგილზე და სხვა. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობა და მართლმადიდებლური სწავლება, გენდერული თანასწორობის საკითხებთან სრულიადაც არ მოდის წინააღმდეგობაში, და როგორც მამაკაცს, ასევე ქალს თანაბრად მოუწოდებს ერთმანეთის პატივისცემისკენ საზოგადოებასა თუ ოჯახში. ჩვენი აზრით, ოჯახში ძალადობა და განქორწინებათა დიდი წილი საქართველოში, სწორედ მართლმადიდებლური სწავლებიდან განდგომილი ცხოვრების წესით აიხსნება.

ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და წრიული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის აუცილებლობა მსოფლიოში ჭარბწარმოების, დიდი რაოდენობის ნარჩენების და არაგანახლებადი რესურსების არარაციონალური გამოყენების დიდმა მასშტაბმა წარმოქმნა. ევროპაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღეს პირველი კანონი ველური ბუნების დასაცავად. საქართველოში ბუნების დაცვის აუცილებლობის იდეა უძველეს წარსულში ჩაისახა. მაგალითად, თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია „ტყის მცველნი“, ხოლო უფრო ადრეულ სიგელში (1078 წ) დასახელებულნი არიან „ტყის მცველთუხუცესნი“.

მართლმადიდებლური სწავლება სამონასტრო მეურნეობების მაგალითზე, ყველას მოუწოდებს რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების შესახებ. ხაზგასასმელია ქართულ მონასტრებში დაყენებული ღვინოების უდიდესი წარმატების მაგალითები (ალავერდის მონასტრის ღვინო უკვე ათეულ წელზე მეტია თითქმის ყველა დიდ გამოფენაზე უმაღლესი მედლებით ჯილდოვდება), რაც საქმისადმი განსაკუთრებული მონდომებით დამოკიდებულებისკენ მოუწოდებს ყველას.

მსოფლიო ეკონომიკა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად ნახტომისებური განვითარების ეპოქაშია. ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში საუფლო სიტყვის გავრცელების დიდი შესაძლებლობაა და მისი გამოყენება აუცილებელია. „სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი იყო ქრისტეს რჯულზე ქადაგება. დღეისათვის ინტერნეტის მეშვეობით ეს შეზღუდვა თითქმის არ არსებობს. ამიტომაც, ინტერნეტს უნდა მივუდგეთ როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ღმერთმა მოგვცა საკუთარი სიტყვის გასავრცელებლად“ (სურმანიძე, 2016,151).

ზემოაღნიშნული განვითარების სწრაფი ტემპის გამო, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მიმართულებით კვლევის მასშტაბები შედარებით შემცირდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ის მაჩვენებლები, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთ აღიარებულ კვლევით ორგანიზაციაში, ლოზანის საერთაშორისო მენეჯმენტის განვითარების

ინსტიტუტში ჩატარებულ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევებს უდევს საფუძვლად.

თუ ამ მაჩვენებლებს შევადარებთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ „განათლება 4.0“-თვის საჭირო უნარების ჩამონათვალს (WEF, 2023) და იმავე ორგანიზაციის მიერ, სამუშაოთა მომავლის შესახებ ბოლოდროინდელ ანგარიშებში (WEF, FoJ, 2025) ხაზგასმულ „რბილი უნარების“ ფლობის აუცილებლობას, მრავალ მსგავსებას აღმოვაჩენთ.

შესაბამისად, თუ განხორციელებული ანალიზის მიხედვით, მართლმამდიდებლური სარწმუნოება ხელს უწყობს ზემოთ განხილული, ბიზნესის ეფექტიანობის განმსაზღვრელ ხუთ ქვეფაქტორს შორის „დამოკიდებულებებისა და ფასეულობების“ შვიდი მაჩვენებლის განვითარებას, ის არც ციფრული ტრანსფორმაციის პროცესისთვის იქნება ხელის შემშლელი.

ორი გამორჩეულად წარმატებული ქვეყანა იაპონია და ისრაელი არის სარწმუნობისა და ტრადიციების დამცველი და შემნახველი და იმავდროულად წარმატებული ეკონომიკის მქონე, რაც იმას ადასტურებს, რომ სარწმუნოებით ცხოვრება ეკონომიკის წარმატებას ხელს სრულიადაც არ უშლის.

ნაშრომის მესამე ნაწილი ეთმობა შიდასაფირმო ურთიერთობების ანალიზს მართლმადიდებლური სწავლების პრიზმით. ბიზნესის წარმოება მოგების მიღებასა და მძიმე კონკურენციულ ბრძოლას უკავშირდება, სადაც ერთი შეხედვით რთულია ოქროს შუალედის პოვნა, მაგრამ, ვისაც უფალმა მიანიჭა მეწარმის უნარი, მან ის აუცილებლად უნდა გამოიყენოს საიმისოდ, რომ საკუთარ თავსაც და სხვებსაც სარჩო-საბადებლის წესიერი შრომით მოპოვება შეაძლებინოს. ტალანტების შესახებ სახარებისეულ იგავში ჩანს საკუთრების დელეგირების პროცესში სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობა. უფალმა დაუშვა სარგებლის დაუბრუნებლობის შესაძლებლობაც კი, იმის საჩვენებლად, რომ მოგება შეიძლება ყოველთვის ვერ მოიტანოს გადაწყვეტილებამ და ამაზე პასუხისმგებელი საკუთრების გამცემიც უნდა იყოს და მიმღებიც. გასათვალისწინებელია ასევე, შრომის შედეგების წახალისების

აუცილებლობის და დიფერენცირების უფლისმიერი ქცევის გააზრებაც. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სახარების ამ იგავში გადმოცემული სტიმულირების ფორმები სრულ თანხვედრაშია გასულ საუკუნეში პოპულარულ მოტივაციისა და სამართლიანობის თეორიებთან. ასევე, ამჟამად არსებულ - ადამიანური პოტენციალის მართვის თეორიასთან.

თუ გვსურს საქართველოს ისტორიაში განმეორდეს XII საუკუნის სიდიადე, „მაშინ სახელმწიფო ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს კერძო, პირადი ინტერესები, და ორივე მათგანში უპირატესობა უნდა მიენიჭოს, სულიერს მატერიალურთან შედარებით“ (გაგნიძე, 2007, 16-17).

საქართველოს თითოეული მოქალაქე, „ჭეშმარიტი ქრისტიანი მართასაც უნდა იტევდეს და მარიამსაც, მართასავით უნდა ირჯებოდეს წარმავალი მიწიერი ღირებულებების მოსაპოვებლად, რათა გადაარჩინოს არა მარტო ხორცი, არამედ სულიც და შეძლოს მარიამისეული სწრაფვა მარადიულისაკენ სასუფეველის მოსაპოვებლად“ (ცეცხლაძე, 2021, 430).

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ თუ გაგრძელდება კვლევები მართლმადიდებლური სწავლებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა მიღწევების შეჯერების მიმართულებით, მაშინ გაცილებით გაუადვილდება ერს სარწმუნოებაში შესვლა და მასთან ხელახალი სისხლხორცეული ზიარება. ასეთი რწმენა მიიყვანს ადამიანთა უმრავლესობას საქმის შესრულებისადმი მაღალ პასუხისმგებლობამდე: „ყოველსავე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24). სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, საქართველოს ეკონომიკის წარმატების უმნიშვნელოვანესი საფუძველი მართლმადიდებლური მცნებებით ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე) (2015). მიწათ მოქმედება - ანი და ჰოე, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 11-16.
2. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, რედ. კუტალაძე ი., გამომც. შპს „არდანი“, თბ., 1999.
3. ალექსიძე ნ. მენეჯმენტი, მოტივაციური ფაქტორები და მეცნიერული ბიზნესი (ბიოტექნოლოგია, ეკოლოგია), გამომც. „ზედაშე“, თბ.,1992.
4. ახალი აღთქუმაი, საქართველოს საპატრიარქო, გამომც. „ალილო“, თბ., 2005.
5. ბაკურაძე ა. (2016). ქორწინება და განქორწინება - შედეგები და რელიგიური ხედვა, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 25-29.
6. ბერიძე თ., შიხაშვილი გ. (2016). თეოლოგიური ეკონომიკის და მართვის სამეურნეო-სამართლებრივი ასპექტები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 31-37.
7. ბერიძე რ. გენდერული თანასწორობის პრობლემა საქართველოში, საინფორმაციო ბიულეტენი, გენდერული სტრატეგია და რეგიონული განვითარების პერსპექტივები, თბ., 2003.
8. ბერი ეფრემ ფილოთეველი, მამობრივი დარიგებანი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, თბ., 2012, გვ. 379.
9. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
10. ბურჯალიანი, ჯ. (2004). იოშირო ნაკამაცუ, ჟურნალი „სტრატეგია და ორგანიზაცია“ #3.

11. გაგნიძე ი. (2023). სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 86-91.
12. გაგნიძე ი. (2022). გერი ნორთი და მისი წიგნი „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.73-79.
13. გაგნიძე ი. (2021). „ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანასწორობა კეთილდღეობის ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 46-50.
14. გაგნიძე ი. (2020). ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.100-106.
15. გაგნიძე ი. (2019). ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 36-39.
16. გაგნიძე ი. (2017). გენდერული თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, ალავერდი, ალავერდის ეპარქიის სეზონური გამოცემა, გაზაფხული-ზაფხული, #17-18, გვ.106-110.
17. გაგნიძე ი. (2016). გენდერული თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 38-43.
18. გაგნიძე ი. (2015). ეკონომიკის მდგრადი განვითარება მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით, VIII საერთაშორი-

სო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 31-35.
19. გაგნიძე ი. (2013). განათლებისა და რწმენის ურთიერთკავშირის სინერგიული ეფექტის შესახებ, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბ., გვ. 31-34.
20. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013, 70 გვ.
21. გაგნიძე ი. (2011). მართლმადიდებლური სარწმუნოება – საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ. #6, გვ.6 5-74.
22. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2007, 38 გვ.
23. გოგორიშვილი ი. (2022). უფალი არის უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ გამომცემლობა, თბ., გვ.125-130.
24. გოგორიშვილი ი. (2015). მდგრადი მოხმარება როგორც ქრისტიანული ფასეულობა და მისი დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 36-39.
25. გრძელიშვილი ნ. (2013). რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, გვ. 41-48.
26. გოგოხია რ. (2016). საკუთარი თავის შეცნობიდან უფლის შეცნობამდე, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 49-58.

27. გულუა ე. (2013). ადამიანის პოტენციალის მართვის საფუძვლები ბიბლიაში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, გვ. 49-53.
28. დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი) (2013). პერსონალური ინფორმაციის ხელშეუხებლობა, როგორც ბიზნესის განვითარების ფუნდამენტური პირობა, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, გვ. 19-22.
29. დეკანოზი ბიძინა (გუნია) (2016). „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან...“ (ტიტე 1,16), IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 11-14.
30. დეკანოზი ნიკოლოზი (ნიკოლაიშვილი), ბაბუნაშვილი ე. (2015). „ვინ, რატომ და რისთვის“ თანაფარდობა „რა, როგორ და ვისთვის“-თან“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ.17-24.
31. დურგლიშვილი ნ. ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, სადისკუსიო წერილების სერია, #3, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, საქართველო, თბ.,1997.
32. ებრალიძე ც. (2003). მენეჯმენტი მენეჯერების გარეშე, ჟურნ. „სტრატეგია და ორგანიზაცია“, #2,
33. მაღლაკელიძე შ. სახელმწიფოს როლი განათლებაში (ლექციების ონლაინ კურსი), http://videochannel.iliauni.edu.ge
34. ლოცვანი, გამომცემლობა „გვირგვინი“, თბ., 2007.
35. იოანე ოქროპირი, ქრისტიანული ქორწინება და ცოლ-ქმრობა, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2002.
36. კვირის პალიტრა, კალენდარი, 14.07.2015.
37. კიკნაძე თ., დონაძე ნ. (2006). გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე, თბ.

38. ლაჰოუსენი ვ., ჟვანია ი. (2014). გენდერული მეინსტრიმინ-
გი, პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეების-
თვის გაეროს ქალთა ორგანიზაცია, თბ.
39. ლოცვები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის 45 სასწაულთმოქ-
მედი ხატისადმი, „აკრიანი“, თბ., 2001.
40. მართლმადიდებლური კატეხიზმო, მეორე გამოცემა, საქარ-
თველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2001.
41. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „დიოგენე“, თბ.,
2008.
42. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „დიოგენე“, თბ.,
2000.
43. მექვაბიშვილი ე. (2016). გლობალური ფინანსური კრიზისის
მართლმადიდებლური განზომილება, IX საერთაშორისო სა-
მეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“,
მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუ-
თაისი, გვ. 88-92.
44. მიქელაშვილი მ. (2019). საგადასახადო კულტურის ფორმი-
რების პრობლემები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა“,
#10-12, გვ. 6-18.
45. მიქელაშვილი მ. (2015). ბიბლია და გადასახადები, როგორც
მორალური კატეგორია, VIII საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა
კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 74-
81.
46. მოდებაძე შ. ის ვინც მოკეთის საფარის მიღმა იმალება,
ჟურნ. „სტრატეგია და ორგანიზაცია“, #2, 2003.
47. მღებრიშვილი ბ. (2020). მომგებიანად მუშაობისა და სიმ-
დიდრის მართლმადიდებლური ფილოსოფია, V საერთაშო-
რისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწ-
ვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული,
თსუ გამომცემლობა, თბ., გვ. 306-311.
48. მღებრიშვილი ბ. (2013). ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და
ქრისტიანული კულტურა, VII სამეცნიერო კონფერენცია
„ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ
გამომცემლობა, თბილისი-გორი, გვ. 76-79.

49. მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი: „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“, პრეამბულა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2012. www.logos.org.ge.
50. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა, თსუ გამომცემლობა, თბ., 2020, 420 გვ.
51. პაპაჩაშვილი ნ. (2016). მართლმადიდებლურ-ეკონომიკური პარადიგმები თანამედროვე საქართველოში, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 124-131.
52. პაპაჩაშვილი ნ. (2013). შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, თბ., გვ. 86-89.
53. რწმენა და ცოდნა, პატრიარქი განათლებისა და მეცნიერების შესახებ, საქართველოს საპარტრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ISBN 978-9941-404-32-0, www.logos.org.ge.
54. საქართველოს დიდება, ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები, შემდგ. გ. კალანდაძე, თბ., 2009.
55. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, შემდგ. გ. კალანდაძე, თბ., 2007.
56. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, თბ., 2010. http://www.feminizmi.org/wp-content/uploads/2015/02/genderuli-tavasworobis-shesaxeb.pdf
57. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004), შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი, თბ., 2004.
58. სახოკია თ. ქართული ანდაზები, თბ., 2012.
59. სიბრძნის საუნჯე, კომპოზიცია ვ. კუპრავა, თბ., 1987.

60. სლოუმენი ჯ., გარიტი დ., გეტსი ჯ., ჯონსი ე. ეკონომიკა ბიზნესისთვის, მერვე გამოცემა, თსუ გამომცემლობა, ნაწილი პირველი, თბ., 2025.
61. სურმანიძე ზ. (2015). ინტერნეტეკონომიკა და ქრისტიანობა, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 148-151.
62. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა, თქუმულნი 1860-70 წლებში, ტომი პერველი, ზუგდიდი, 2003.
63. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I და II, თბ., 1990.
64. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2023. www.geostat.ge
65. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022. https://www.geostat.ge/media/59555/VAW-GEO-WEB4-3_28.12.pdf
66. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1981.
67. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის მამათა გამონათქვამები, შემდგ., კალანდაძე გ., თბ., 2007.
68. ღირსი მამა ალექსი (შუშანია), თბ., 1999.
69. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 2016.
70. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2015.
71. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 2006.
72. შავიანიძე დ. (2016). რელიგიურობა - ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი (დასავლეთ საქართველოს ახა-

ლი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 152-156.

73. შიხაშვილი გ. (2013). თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, გვ. 107-112.

74. ჩარექიშვილი ლ. (2015). ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის ახალი მიმართულება, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. VIII, #3, გვ. 58-67.

75. ჩვენი ღირსებანი, წიგნი პირველი, გამომც. ემ-პი-ჯი, თბ., 2011.

76. ჩიხლაძე ნ. (2013). მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 250 გვ.

77. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ. (2013). აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში, VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, თბ., გვ. 58-64.

78. ჩიხლაძე ნ. (2009). გადასახადებისა და დაბეგვრის მართლმადიდებლური საწყისები, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, თბ., ნოემბერი, გვ. 20-24.

79. ცეცხლაძე მ. (2021). „მართა - მარიამის იგავის“ ეკონომიკური გააზრება, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.425-432.

80. ცეცხლაძე მ. (2016). ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უხილავი ხელი, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ქუთაისი, გვ. 176-181,

81. ღავთაძე გ., შავიანიძე დ. (2020) ქართული ტრადიცია-ჩვეულებები და ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), V საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.419-427.
82. ჭანიძე ქ. (2015). ქრისტიანობის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-ბათუმი, გვ. 164-168.
83. ჭილაძე ი. (2013). რწმენის გავლენა აღრიცხვის ობიექტურობის ხარისხზე, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი-გორი, გვ. 149-153.
84. ხარაიშვილი ე. (2009). საეკლესიო წარმოების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბ., გვ. 141-143.
85. ჯონსი გ. რ., ჯორჯი ჯ. მ. თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2006.
86. Begg D., Fisher S. & Dornbusch R. Economics, Third Edition, McGRAW-HILL BOOK COMPANY, UK, 1991.
87. Stiglitz, J. E. Economics of the Public Sector, Third Edition, W.W. Norton &Company, New York/London, 2000
88. Golubev, K. (2019). PRIVATE AND PUBLIC PROPERTY IN CHRISTIAN SOCIETY, Proceedings of the 4th International Scientific Conference Papers “Challenges of Globalization in Economics and Business”, TSU, Tbilisi, 2019, pp. 68-72.
89. Haupt, R. (2015). Business and Christian Faith: a Contradiction?, Proceedings of the 8th International Scientific Conference Papers, Batumi 5-6 September, pp. 187-190.
90. Haydanka, E., Tokar, M. (2015). The Peace Treaty between Byzantine and the Kievan Rus in the light of the Development of Christianity and Sociopolitical Institutes on the Ancient Ukrainian Lands, Proceedings of the 8th International Scientific Conference Papers, Batumi 5-6 September, pp. 191-193.
91. Larionov, D. (2015). The Main Tendencies in the Catholic Economic Thought, Proceedings of the 9th International

Scientific Conference Papers, Batumi, 5-6 September, pp. 215-217.
92. Lukin, S. (2015) Formation of The Orthodox Doctrine of Social Responsibility of Business, Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers, Batumi, 5-6 September, pp. 218-227.
93. North, G., “An Economic Commentary on the Bible”, A multi-volume exposition, 2012, Third Edition, Point Five Press, https://www.garynorth.com
94. Petrauskiene, R., Spukiene, R. (2015). Situation of Small and Medium Business in Lithuania and Support for Religious Communities, Proceedings of the 8th International Scientific Conference Papers, Batumi 5-6 September, pp. 195-202.
95. Shields, K. (2019). Going Circular: How Global Business is Embracing the Circular Economy. Ed: Cheah, P-K. Newsweek Vantage. Newsweek and Think Big Partners WLL. https://www.newsweek.com/vantage-how-global-business-embracing-circular-economy-1302720
96. Sutton, R. R. (1987). *That You May Prosper: Dominion By Covenant*, 2nd ed. (Tyler, Texas: Institute for Christian Economics, [1987] 1992), ch. 2. (http://bit.ly/rstymp)
97. World Economic Forum. (2025). The Future of Jobs Report, Insight Report, https://reports.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs_Report_2025.pdf
98. World Economic Forum. (2023). Defining Education 4.0: A Taxonomy for the Future of Learning, WHITE PAPER, JANUARY 2023. https://www3.weforum.org/docs/WEF_Defining_Education_4.0_2023.pdf
99. World Economic Forum. (2014). The Global Competitiveness Report, 2014-2015. https://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2014-15.pdf

100. World Economic Forum. (2011). The Global Competitiveness Report, 2011-2012. https://www3.weforum.org/docs/WEF_GCR_Report_2011-12.pdf
101. World Economic Forum. (2008). The Global Competitiveness Report, 2008-2009. https://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2008-09.pdf
102. Гагнидзе И. (2020) Некоторые принципы экономики по Грегори Мэнкью и православное учение, Сборник статей участников IV Международной научно-практической конференции 24–26 Января, Минск, ст. 26-28.
103. Портер М., Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, ст.162.
104. Речмен Д. Д., Мескон М. П., Боуви К. Л., Тилл Д. В. Современный бизнес, Т. 1, М., «Республика», 1995.

**ინტერნეტ-რესურსები**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია http://www.oecd.org/corporate/mne/

ლოზანის საერთაშორისო მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუ-ტი www.imd.org

ლოზანის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრი World Competitiveness Center - IMD business school for management and leadership courses

საქართველოს საპატრიარქო, მეცნიერება და რელიგია https://orthodoxy.ge/metsniereba.htm

საქართველოს საპატრიარქო, ახალი აღთქმა https://orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/2korintelta/2korintelta-8.htm

ISO 26000 http://www.iso.org/iso/home/standards/iso26000.htm

საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისთვის

http://european.ge/saqartvelos-mdgradi-ganvitarebis-koncefciistvis/
ფირმა სემკოს ოფიციალური ვებ-გვერდი
https://semcoequipamentos.com.br/en/home/
რა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
http://www.businessnewsdaily.com/4679-corporate-social-responsibility.html
სამმაგი სპირალის მოდელის მიმართულება
http://www.economist.com/node/14301663
ISO 26000, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, CSR, https://www.iso.org/iso-26000-social-responsibility.html

# ORTHODOXY AND ECONOMY
# III FILLED AND REVISED EDITION
## A N N O T A T I O N

The concept of the “New Athens and New Jerusalem”, as envisioned by the Georgian monarch St David IV the Builder, remains pertinent today. Just as the construction of any edifice begins with a solid foundation, so too should industrial relations in Georgia rest upon a firm grounding in what may be termed “comprehended religion” – specifically, Orthodox Christianity.

For generations raised in Soviet Georgia, where religious education was absent, Orthodox studies came to be regarded as the preserve of philologists and historians alone. This perception has been passed down to younger generations. As a result, Orthodox studies and the theory of economics continue to be viewed as largely separate and unrelated disciplines.

This work explores the rationale for state intervention in the education system and examines the educational responsibilities borne by the state. One of the principal arguments in favour of such intervention is the perceived need to establish a shared set of societal values. Consequently, it is argued that the norms introduced through educational reforms should not conflict with the longstanding traditions and customs of Georgia, which have been shaped over centuries by the influence of Christianity.

This perspective implies a harmonious integration of knowledge and faith within the individual. Such a view finds support in the writings and reflections of notable thinkers including Goethe, Planck, and Einstein. It also resonates with the teachings and insights of figures such as Saint Ilia the Righteous (Ilia Chavchavadze), Saint Gabriel the Bishop (Kikodze), and His Holiness Ilia II, the Catholicos-Patriarch of All Georgia. Drawing on both the Old and New Testaments, the discussion addresses the symbolic transformation of the serpent from an emblem of evil to a representation of wisdom.

According to leading experts, any political, social, or economic model within a given country inevitably evolves in response to its religious and national characteristics and traditions. Historically, Georgia has endured persistent incursions by nations with markedly different cultural frameworks - both qualitatively and in terms of developmental stages. These challenges compelled Georgia to respond rapidly and pragmatically to externally imposed innovations, often necessitating adaptation.

Such adaptations, however, were frequently excessive and marked by resistance to elements incompatible with the country's traditional values. Over the centuries, Georgian culture and customs have been fundamentally shaped by the teachings of Orthodox Christianity. This work outlines key biblical principles concerning labour relations and remuneration, and explores the potential for their invocation and application within the context of Georgia's contemporary economic system.

This study also undertakes a comparative analysis of the wisdom found in the Gospels and the views expressed by Professor Gregory Mankiw of Harvard University, particularly his formulation of the ten fundamental principles of economics as outlined in his textbook *Principles of Economics*. The work incorporates selected passages from the Gospels and the Holy Scriptures that bear notable analogies to the concepts discussed in Mankiw's text, offering insights into the resolution of specific economic challenges. These parallels are presented as further evidence of the timeless relevance of the wisdom embedded in Orthodox Christian thought.

In his seminal work The Competitive Advantage of Nations, Michael Porter, a renowned professor at Harvard University, observed: "The competitiveness of a country results from the combination of its organisational model and management practices, which are most appropriate for particular countries and the sources of competitiveness within specific industries. Differences in national values, culture, economic structures, institutional functioning, and

historical development contribute to the attainment of competitive advantage.”

According to the 2025 yearbook published by the World Competitiveness Research Centre in Lausanne, over 300 indicators of global competitiveness are classified into four main categories: (1) Economic Performance; (2) Government Efficiency; (3) Business Efficiency; and (4) Infrastructure. Among the five sub-factors shaping business effectiveness is the category of “Approaches and Values”, which is further assessed through seven indicators: attitudes towards globalisation, the country’s international image, national culture, flexibility and adaptability, the need for economic and social reform, value systems, and corporate values.

This article draws upon citations from the Gospels and Epistles, data from the Ministry of Economy’s official website, and the perspectives of prominent Georgian scholars to argue that Orthodox Christianity constitutes a significant factor in enhancing the competitiveness of Georgia’s economy.

Horizontal and vertical equity are fundamental principles within the field of welfare economics. Horizontal equity refers to the equal treatment of individuals in similar circumstances, while vertical equity denotes differential treatment aimed at mitigating the effects of inherent disparities among individuals. An analysis of selected passages from the New Testament (Matthew 23:23; Romans 13:7; John 7:24; Colossians 4:1; Mark 12:42-44; 2 Corinthians 8:11-15; James 2:1-10) suggests that Orthodox Christian teachings are broadly consistent with these principles.

This work also examines the Parable of the Talents from the Gospel of Matthew (Matthew 25:14–29), in which the master entrusts his servants with five, two, and one talent respectively, charging them with the responsibility to invest and generate returns. The interpretation of "talents" varies among scholars. Some regard them as symbolic of material wealth, while others equate them with intellectual or cognitive capabilities, thereby underscoring the ethical

imperative to employ such resources for the benefit of both the individual and wider society.

Moreover, the legitimacy of generating profit is a significant point of consideration in this context. To explore this theme further, the study introduces Georgian readers to the work of the prominent scholar Gary North, who was raised in Southern California and dedicated his career to synthesising Austrian economic theory with theological conservatism. It is anticipated that engagement with North's volume *Economic Commentaries on the Bible* will serve as a foundation for further scholarly inquiry among Georgian economists and interested readers alike.

# რედაქტორის მინაწერი

წინამდებარე სამეცნიერო-ეკონომიკური ნაშრომი მართლმადიდებლური მოძღვრების ხელთუქმნელ იდეალებზეა დაფუძნებული. მისი ავტორი, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, სულ უფრო და უფრო თანმიმდევრულად ცდილობს სიღრმისეულად ჩაწვდეს ბიბლიის უკიდეგანო სიბრძნეს, რაც თავისთავად ახალ ცხოვრებაში შესვლას, ახალ ღვთივკურთხეულ ადამიანად ჩამოყალიბებას ნიშნავს ... და ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა ბოლო პერიოდში საქართველოში ტოტალურად შემოჭრილი ევრო-ამერიკული ლიბერალიზმის ყოვლისმომცველი სული, რაც ღვთის შემოქმედი სულის ანტიპოდია, წალეკვით ემუქრება ყოველივე უფლისმიერს, თუმცა, მისი პერსპექტივა ფრიად უპერსპექტივოა, რამეთუ „ბოროტეულთ მათივე ძალადობა წალეკავს“ (სიბრძნე სოლომონისა, 21.7). რაც უფრო მწვავდება აღნიშნული ბრძოლა, მით უფრო ბევრი ქართველი ითავისებს სენტენციას იმის შესახებ, რომ უღმერთობა საკაცობრიო დანაშაულია, ხოლო „ტალანტი, მრწამსის გარეშე ქმნის არამზადებს“.

ინეზა გაგნიძე იმ იშვიათ ქართველ მკვლევართა შორისაა, რომელთაც გათავისებული აქვთ უბერებელი მართლმადიდებლური მოძღვრებისა და ეკონომიკური კვლევების ურღვევი კავშირის რწმენა, რომ უიდეოლოგიო ეკონომიკა არარაობა და ფუჭია. ქ-ნი ი. გაგნიძე უპრეტენზიოდ, მაგრამ ბეჯითად მისდევს ბრძენი ილია II-ის ქადაგებას იმის შესახებ, რომ „ადამიანი ღვთის ქმნილებათა გვირგვინია და თავისი სულიერი მოღვაწეობით ღმერთთან მსგავსებას უნდა მიაღწიოს“... არ დაღლას და დიდ წარმატებას ვუსურვებ ამ მიმართულებით ჩვენს ავტორს, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ „ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა“ (ზვიად გამსახურდია).

***პროფესორი რევაზ გოგოხია***

გამომცემლობა „უნივერსალი“
Publishing House **“UNIVERSAL”**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია, 4, ☎: 5(99) 33 52 02 , 5(99) 17 22 30
4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universali505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com